

ნადირობა კოსმოსურ სხივებზე A6



"შემოდგომის ბაღები" A7



დავით უსტიაშვილი: „ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწევთ" C2


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

სამშაბათი, 18 ივლისი, 2006 წელი. №159 (1311)

ფასი 50 თეთრი



© გაზეთი 24 საათი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

### შსკ-ს სხდომის ბედი გაურკვეველია

17-18 ივლისს თბილისში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ჩაიშალა. რუსულმა და ოსურმა მხარეებმა საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს. ამის მიზეზი პარასკევს, სამხედრო პოლიციის მიერ რუსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის, იური პოპოვისა და რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილის ვალერი ევნევიჩის გორთან დროებით დაკავებისა და ცხინვალში არშეშვების ფაქტი გახდა.

A2

## სამართალი

### N7 საპყრობილის პატიმრებზე კანონი არ ვრცელდება

მკაცრი რეჟიმის N7 საპყრობილეში ჩატარებული მონიტორინგისას სახალხო დამცველმა პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები აღმოაჩინა.

A4


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 18/07 | 19/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 36 |
| ბათუმი | 30 | 23 |
| სოხუმი | 32 | 28 |
| ქუთაისი | 35 | 30 |
| გორი | 32 | 29 |
| თელავი | 36 | 35 |
| ონი | 28 | 21 |
| ზუგდიდი | 33 | 30 |
| სამტრედია | 34 | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7650 |
| ევრო | 2.2209 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2245 |
| რუბლი | 0.0655 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| აგორა | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# "დიდი რვიანის" ჯგუფური ინდივიდუალიზმი

ნიკა თარაშვილი
*სანქტ-პეტერბურგიდან*



*საჯაროდ პოზიციების დაფიქსირება რვიანის ლიდერებმა ცალ-ცალკე ამჯობინეს.*

*დასრულდა "დიდი რვიანის" სამდღიანი სამიტი სანქტ-პეტერბურგში. უდავოდ, დატვირთული სამუშაო გრაფიკის შედეგად მიღებულია ოცამდე ოფიციალური დოკუმენტი. მასპინძლები თავმოწონებით აცხადებდნენ, რომ დღის წესრიგის ყველა საკითხზე მიღებული განცხადება, დეკლარაცია თუ კომუნიკე თითქმის შესწორების გარეშე (ან უმნიშვნელო შესწორებებით) მოიწონეს "დიდი რვიანის" ლიდერებმა. სავარაუდოდ, ოფიციალური ბრიფინგების მიღმა მსოფლიოს ყველზე ძლევამოსილ მმართველთა შორის დაძაბული დიალოგებიც შედგა. "დიდი რვიანის" ლიდერები ყველა საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვანნი რომ არ ყოფილან, მოულოდნელი და, მით უმეტეს, არანორმალურიც არ იყო. თუმცა ის, რომ შემაჯამებელი პრესკონფერენციის გამართვა თითქმის ყველა ლიდერმა ცალკე მოისურვა, უკვე ნათლად მეტყველებს აზრთა კარდინალურ სხვადასხვაობაზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# "მშრალი რუსული ზაფხული"

B

*თუ ხელისუფლება დროულად არ მიიღებს ზომებს, რუსული ალკოჰოლური ბაზრის "პარალიჩი" საგანგაშო ფორმებს მიიღებს და აგვისტოში რუსეთის რეგიონებში ლეგალური ალკოჰოლური სასმელების სერიოზული დეფიციტი შეიქმნება. ამის შესახებ რუსეთის ალკოჰოლური ბაზრის მონაწილეები ხელისუფლების მისამართით გაკეთებულ ოფიციალურ მიმართვებში საუბრობენ.*



# სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია კვლავ სტიქიას ებრძვის

ინდონეზია და ჩინეთი კვლავ სტიქიური უბედურების წინაშე აღმოჩნდნენ. თუ ინდონეზიის შემთხვევაში სტიქიური უბდეურების მიზეზი კვლავ ცუნამია, ჩინეთს ეკონომიკური და ჰუმანიტარული ზარალით ტროპიკული ქარიშხალი "ბილისი" ემუქრება.

ინდონეზიის კუნძულ იავას თავს ორი მეტრის სიმაღლის ცუნამი ინდოეთის ოკენაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაატყდა. მიწისძვრა გრინვიჩის დროით, დილის 08:24 საათზე მოხდა გუშინ. ბიძგები იმდენად ძლიერი იყო, რომ ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მაღალსართულიანი სახლების გარკვეული რაოდენობა დაზიანდა კიდეც. ესქპერტთა თქმით, მიწისძვრის სიმძლავრე რიხტერის სკალით 7.2 ბალი იყო. მისი ეპიცენტრი ინდოეთის ოკეანეში, კუნძულ იავას სამხრეთ-დასავლეთით 240 კმ-ის სიღრმეზე იყო.

გაგრძელება A2 გვერდზე



# "დიდი რვიანი" და საქართველო

*რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყანა დიდი რვიანის სამიტისათვის? - ქართველი ექსპეტები ამ საკითხის შესახებ განსხვავებულ შეფასებებს აკეთებენ. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს თემას ბუში-პუტინის დიალოგისას დიდი დრო დაეთმო. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ყურადღების ცენტრში მოქცევის შანსი ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვაკარგვინა. ოპოზიცია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ქართული დიპლომატიის წარმატების შესახებ ნაადრევად მიიჩნევს. ექპერტთა ნაწილი კი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამიტის წინ ბუშისა და სააკაშვილის შეხვედრა შეერთებული შტატების საქართველოსადმი მხარდაჭერის დემონსტრირება იყო.*

ვერიკო თევზაძე

რამდენად წარმოჩინდა "დიდი რვიანის" დღის წესრიგში საქართველოს თემა? უნდა ველოდოთ თუ არა კონკრეტულ შედეგებს? მოახდენს თუ არა სამიტი გავლენას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე? - ამ შეკითხვით მივმართეთ ექსპერტებს და პოლიტიკოსებს.

***არჩილ გეგეშიძე, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:***

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ "დიდი რვიანის" დღის წესრიგში მოხვდა საქართველოს თემატიკა. თანაც, საკითხის განხილვას დიდი დრო დაეთმო. დასავლეთი ("დიდი რვიანი", როგორც ვიცით, დასავლური ინსტიტუტია, რომელსაც ბოლოს შეუერთდა რუსეთი) ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განიხილავს საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას. თუკი აქამდე იგი ზრუნავდა საქართველოზე, როგორც დახმარების ობიექტზე, კრიზისიდან, კრიტიკული სიტუაციებიდან გამოყვანის ობიექტზე, დღეს იწყებს საქართველოს განვითარების კურსზე ზრუნვას და აცნობიერებს, რომ ამ კურსის განხორციელებას ხელს უშლის მოუგვარებელი კონფლიქტები. კონფლიქტების მოგვარების გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი დემოკრატიული გარდაქმნების ჩატარება, თანამედროვე დასავლური ყაიდის დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება. პირადად მე ასე აღვიქვამ დიდი რვიანის მიერ საქართველოს პრობლემატიკის წინ წამოწევას.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საპატრულო პოლიციას პროკურატურაში უჩივიან

*6 მაისს საგარეჯოს რაიონის გზატკეცილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ნარკორეალიზატორობაში ეჭვმიტანილი დააკავეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ პატრულისთვის ინფორმატორის მიერ მიცემული ინფორმაცია ცრუ იყო. დაზარალებულებმა - ზურაბ იმერლიშვილმა და დიანა ქაჩლიშვილმა, შელახული უფლებების დასაცავად, ოლქის პროკურატურას განცხადებით მიმართეს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

დიანა ქაჩლიშვილი და მისი მეუღლის დეიდაშვილი - ზურა იმერლიშვილი, რომლებიც თბილისში ავტობაზრობაზე მანქანის გასაყიდად მიდიოდნენ, საგარეჯოს რაიონში პატრულმა გააჩერა. როგორც დაზარალებულები იხსენებენ, სამართალდამცველები მათგან იმ ნარკოტიკების ამოღებას ცდილობდნენ, რომელიც თითქოსდა მანქანაში ჰქონდათ გადამალული.

**"საღამოს რვა საათი იქნებოდა, როცა პატრულმა გაგვაჩერა. მანქანიდან გადმოსვლაც არ დაგვაცადეს, გვითხრეს, ნარკოტიკების გადატანაში ხართ ეჭვმიტანილებიო. მე და ჩემი მეუღლის დეიდაშვილმა ერთმანეთს გაოცებულებმა შევხედეთ. ამის შემდეგ, მანქანაში ჩემს შვილებთან ერთად ჩაგვკეტეს და მინებსაც აუწიეს. უჰაერობისგან ძლივს ვსუნთქავდით. ეს ყველაფერი ორ საათს გაგრძელდა, მანადე კი სიტყვიერ შეურაცხყოფას არ იშურებდნენ,"** - აცხადებს დიანა ქაჩლიშვილი.

უკანონოდ, გაუგებარი მოტივით ადამიანების მანქანაში გამოკეტვა პატრულის თანამშრომლებმა იმით ახსნეს, რომ უფროსს - დავით ტაბუცაძეს ელოდებოდნენ. მისი გამოჩენის შემდეგ კი, ჩხრეკა დაიწყეს. დიანა ქაჩლიშვილს ხელბორკილები დაადეს, რადგან ნარკორეალიზატორობაში ეჭვმიტანილად ჰყავდათ მიჩნეული. პატრულის თანამშრომლებმა ნარკოტიკი საბარგულში და სავარძლების ქვეშ რომ ვერ ნახეს, ბოლოს მანქანის სავარძლები დანებით დაჭრეს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც დაზარალებულები ამბობენ, ჩხრეკა არაკანონიერად განხორციელდა. ქაჩლიშვილი ამბობს, რომ პატრულს მათთვის არც ჩხრეკის ოქმი და არც დაკავების შესახებ მოსამართლის ბრძანება არ უჩვენებია.

გაგრძელება A4 გვერდზე

# დაძაბულობა იზრდება

## საერთაშორისო საზოგადოება ლიბან-ისრაელის კონფლიქტის მოგვარების გზებს ეძებს

თეა მაისურაძე

გაეროს უშიშროების საბჭო ლიბან-ისრაელის კონფლიქტის ზონაში საეთაშორისო ძალების შეყვანის საკითხს განიხილავს. გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ახლო აღმოსავლეთში შექმნილ სიტუაციას კრიტიკულს უწოდებენ და დაძაბულობის მოსახსნელად მხარეებს ერთობლივი ქმედებებისკენ მოუწოდებენ. ტონი ბლერის განცხადებით, საერთაშორისო ძალები უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ შეწყდეს ლიბანის მხრიდან ისრაელზე ძალადობა, და ამის შემდეგ იერუსალიმსაც აღარ ექნება "ჰეზბოლაზე" თავდასხმის მიზეზი. თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რომელი სახელმწიფოები შეუერთდებიან სამშვიდობო ძალებს და რა მანდატით იმოქმედებენ ისინი.

გაეროს გენერალური მდივნის აზრით, სასწრაფოდ უნდა გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები არსებული დაძაბულობის გასანეიტრალებლად. 1978 წლიდან ისრაელი-ლიბანის საზღვარზე 2000-მდე ჯარისკაცით დაკომპლექტებული გაეროს მონიტორინგის მისიაა განლაგებული. თუმცა ისინი, როგორც ჩანს, აღნიშნულ რეგიონში მშვიდობას ვერ უზრუნველყოფენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ქართველი სამხედროებისთვის SSOP-ის მორიგი პროგრამა დაიწყო

საქართველოს შეიარაღებული ძალების კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრის ბაზაზე გუშინ ქართულ-ამერიკული "სტაბილურობის შენარჩუნების და განმტკიცების"(SSOP) პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო.

საზეიმო ცერემონიას თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, აშშ-ის ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი, სამხედრო ატაშე ალან ჰესტერი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრნენ.

SSOP -ის პროგრამას ამჯერად მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის 500-მდე სამხედრო მოსამსახურე გაივლის, რომელსაც კაპიტანი კახა კობაიძე მეთაურობს. ბატალიონის პირად შემადგენლობას ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები 12 კვირის განმავლობაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოამზადებენ. პროგრამის განმავლობაში გათვალისწინებულია საბრძოლო, ფიზიკური, ტოპოგრაფიული, საცეცხლე და თანამედროვე ტაქტიკური ელემენტების დაუფლება.

როგორც ჟურნალისტებს ირაკლი ოქრუაშვილმა განუცხადა, "სტაბილურობის შენარჩუნების და განმტკიცების"(SSOP) პროგრამა ოთხი თვის წინ დასრულდა, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის ამერიკაში ვიზიტის დროს მისი გაგრძელება გადაწყდა. მინისტრის თქმით, 31-ე ბატალიონი წლის ბოლოსთვის ერაყში მეორე ბრიგადას ჩაენაცვლება.

ამერიკის ელჩის ჯონ ტეფტის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა 15 თვის განმავლობაში გაგრძელდება და მას ამერიკის მთავრობა 30 მლნ დოლარით დააფინანსებს. ელჩის თქმით, წინა პროგრამებისგან განსხვავებით, ამ პროგრამით ამერიკელი სამხედროები ქართველ კოლეგებს მხოლოდ გაწვრთნიან და ნაწილობრივ აღჭურვავენ. წვრთნებს კი საზღვაო ქვეითების ნაცვლად ამერიკის არმიის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ჯონსი უხელმძღვანელებს. ჯონ ტეფტის განცხადებით, თავად ის ფაქტი, რომ პროგრამის მეთაურად პოლკოვნიკი ჯონსი დაინიშნა, იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის მთავრობა ქართული ნაწილების გაწვრთნას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება.

*ინტერპრესნიუსი*

## საქართველომ და გაერო-ს განვითარების პროგრამამ ჩარჩო ხელშეკრულება გააფორმეს

მთავრობის კანცელარიაში, გუშინ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს რეგიონალურმა დირექტორმა კალმან მიზეიმ ხელი მოაწერეს სამწლიანი თანამშრომლობის გეგმას.

როგორც ხელმოწერის და მოლაპარაკების შემდეგ ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებს განუცხადა, გაეროს განვითარების პროგრამის დახმარება საქართველოსთვის, რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ძალიან მნიშვნელოვანია.

მისივე თქმით, სწორედ ამ დახმარების საშუალებით გახდა შესაძლებელი სახელმწიფო სამსახურში კომპეტენტური კადრების აყვანა, სახელმწიფო სამსახურში ხელფასების გაზრდა, რაც, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. გაერო-ს განვითარების პროგრამის დახმარების დამსახურებაა ჯანდაცვის, სოციალურ სფეროებში და განათლების სისტემაში რეფორმების დაწყება.

ზურაბ ნოღაიდელის განცხადებით, სწორედ ამ პროგრამის დახმარებით საქართველო შეძლებს სასამართლო სისტემაში რეფორმის განხორციელებასაც.

მისი თქმით, ხელმოწერილი გეგმა არის ჩარჩო დოკუმენტი და უკვე კონკრეტული მიმართულებების მიხედვით შედგება ცალკე შეთანხმება, თუ რა კონკრეტული დახმარება გამოიყოფა ამათუიმ სფეროში.

თავად კალმან მიზეიმ განაცხადა, რომ სამწლიანი პროგრამა გულისხმობს საქართველოში დაწყებული რეფორმების გაგრძელებას. ეს შეეხება, როგორც ეკონომიკურ სფეროს, ასევე სამთავრობო რეფორმირებას და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასაც.

*ინტერპრესნიუსი*

## ქართული მხარე რუსეთის WTO-ში გაწევრიანებას არ თანხმდება

"საქართველო არ დაუშვებს იმას, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო გახდეს",- განაცხადა დღეს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა.

მისი განცხადებით, რუსეთმა 2004 წელს მიღწეული შეთანხმება დაარღვია.

"2004 წელს მიღწეული შეთანხმებიდან არც ერთი დაცული არ არის და შესაბამისად, ქართული მხარე რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას არ თანხმდება. საქართველოსთან ერთად ამის წინააღმდეგია აშშ-ც. საქართველოს მიერ გამოცხადებული უარის შემდეგ ამერიკამ ჩათვალა, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს",-განაცხადა გაბაშვილმა.

მისივე თქმით, საკითხის განხილვა გადატანილია სექტემბრისთვის.

"თუ წლის ბოლომდე ქვეყნებს შორის თანხმობა მიღწეული არ იქნება 2006 წელს რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანა არ იქნება",-განაცხადა გაბაშვილმა. გაბაშვილი 2004 წლის შეთანხმებიდან რუსეთის მიერ სამ შეუსრულებელ პირობას ასახელებს 1. რუსეთის ფედერაციაში არ უნდა განხორციელებულიყო ქართული სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ემბარგო. 2. არ უნდა გადაკეტილიყო ლარსის სასაზღვრო პუნქტი, რის გამოც სავაჭრო ურთიერთობები პრაქტიკულად შეწყვეტილია. 3. საქართველოს უნდა შეძლებოდა გაეკონტროლებინა აფხაზეთისა და ოსეთის (ადლერ განთიადის და როკის) გასასვლელები და იქ საბაჟო კონტროლი დაემყარებინა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ზურაბ ნოღაიდელი ნატო-ს ელჩებს შეხვდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, 25-26 ივლისს, ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში გაემგზავრება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" პრემიერ-მინისტის აპარატში განუცხადეს, ვიზიტის მთავარი მიზანი პრემიერ-მინისტრის ნატო-ს ელჩებთან შეხვედრაა.

ამ შეხვედრების ძირითადი სასაუბრო თემა საქართველოს მხარდაჭერა იქნება ნატო-ში გაწევრიანების გზაზე.

*ინტერპრესნიუსი*

## დაუმორჩილებლობის ახალი ტალღა უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის ე.წ მეამბოხე პროფესურამ დროებით შეწყვეტილი აქციები გუშინ განაახლა და კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ ისინი "ლომაია-ხუბუას რეჟიმს" დამორჩილებას არ აპირებენ. მათ ისიც განაცხადეს, რომ უკვე დაიწყეს რადიკალურ მოქმედებაზე გადასვლა. ამ თემაზე სასაუბროდ შეიკრიბნენ "დიდი სამეცნიერო საბჭოს", ალტერნატიული საბჭოს წევრები და მეცნიერთა აკადემიის მოძრაობის წარმომადგენლები. ისინი ერთობლივი ძალებით გეგმავენ ახალი საპროტესტო ტალღის აგორებას, რომელიც დღეიდან მუდმივ ხასიათს მიიღებს. მეცნიერების შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რის გამოც შეხვედრისა და სამომდეო გეგმის დეტალები ბოლომდე უცნობი დარჩა. თუმცა, როგორც მეცნიერები ირწმუნებიან ამ ცვლილებებს მალე დაინახავს საზოგადოება.

**" ჩვენ უნივერსიტეტის გადარჩენა არა საკუთარი თანამდებობების გამო, არამედ მომავალი თაობების გადასარჩენად გვინდა,"** - აცხადებს პროფესორი ჯემალ მებონია.

შეხვედრის მონაწილეთა განცხადებით, უნივერსიტეტში დღეიდან იარსებებს დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის მუდმივი კერა, და თუ მოხდება ისე, რომ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს უახლოეს მომავალში, "თვითონ პრეზიდენტს საიაპელაციოდ თანამდებობიდან წასვლა მოუწევს".

*24 საათი*

# შსკ-ს სხდომის ბედი გაურკვეველია

*17-18 ივლისს თბილისში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა ჩაიშალა. რუსულმა და ოსურმა მხარეებმა საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს. ამის მიზეზი პარასკევს, სამხედრო პოლიციის მიერ რუსეთის მხრიდან შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარის, იური პოპოვისა და რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ვალერი ევნევიჩის გორთან დროებით დაკავებისა და ცხინვალში არშეშვების ფაქტი გახდა.*

ნათია მსხილაძე

ქართული მხარის განცხადებით, ამ პირების გადაადგილება საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არ იყო შეთანხმებული.

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, შესაძლოა ივლისის ბოლოს, ან აგვისტოს დასაწყისში მოსკოვში ჩატარდეს.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ოსური მხარე კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიან გზას ემხრობა, მაგრამ შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან **" საქართველო, როგორც პრაქტიკა მოწმობს, არ არის ის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა".**

**"ამ ფონზე გასაგებია ქართული მხარის სურვილი, ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ პროტოკოლზე ხელი არ მოეწერა,"** - აცხადებენ ცხინვალში.

რაც შეეხება რუსულ მხარეს, მან შერეულ სამშვიდობო კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე უარი ჯერ კიდევ შაბათს განაცხადა. კერძოდ, ამის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა იური პოპოვმა გააკეთა. იური პოპოვი, რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ვალერი ევნევიჩი და კიდევ ორი რუსი სამხედრო პირი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა გორში 14 ივლისს დააკავეს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ დაგმო სამხედრო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის გადაწყვეტილება რუსი დიპლომატების დროებით შეჩერების თაობაზე და მას უპასუხისმგებლო ქმედება უწოდა.

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, რუს დიპლომატებთან დაკავშირებული ინციდენტი განხილვის საგანი გახდება, რადგან ვენის კონვენციით დიპლომატიურ მისიებს და მათ მანქანებს უსაფრთხოების სრული გარანტია უნდა ჰქონდეთ.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩაშლის მიზეზად ქართული მხარე კი, ცხინვალის პროვოკაციულ ქმედებებს ასახელებს.

ამის შესახებ გუშინ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გააკეთა. **" აღნიშნული პროვოკაციული ქმედებები შეინიშნებოდა ოსური მხარისაგან ბოლო ორი კვირის განმავლობაში. მიუხედავად მოლაპარაკების ჩაშლისა, საქართველო მაინც შეეცდება კონფლიქტების დარგულირებას არსებული სამშვიდობო გეგმის ფარგლებში,"** - აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი თარგამაძის განცხადებით, შერეული კომისიის სხდომა შესაძლოა, საერთოდ არ ჩატარდეს.

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი კარელ დე გუხტი ქართულ-ოსური კონფლიქტის დასარეგულირებლად, მხარეებს კონსტრუქციული დიალოგის განახლების შესაძლებლობის გამოყენების აუცილებლობისაკენ მიუთითებს. მისი განცხადებით, განსაკუთრებით გამწვავებული დაძაბულობის დროს აღნიშნული შესაძლებლობა ყველა მხარემ უნდა გამოიყენოს, რათა კონფლიქტის ზონაში არსებული პრობლემები ერთობლივი ძალისხმევით მოგვარდეს.

კარელ დე გუხტმა საქართველოს სამხედრო პოლიციის მიერ რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლების დაკავების ფაქტი დაგმო და თბილისში 17 ივლისს დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის გადადების გამო სინანული გამოთქვა.

# პარლამენტი რუსი სამშვიდობოების საკითხს განიხილავს

დღეს საქართველოს პარლამენტი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეწყვეტის საკითხს განიხილავს. გუშინ პარლამენტის ბიურომ იმსჯელა დადგენილების პროექტზე, რომელიც კონფლიქტის ზონებში რუსეთის სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის შეწყვეტას ითვალისწინებს. დადგენილების პროექტი ერთობლივად მოამზადეს იურიდიულ საკითხთა, საგარეო ურთიერთობათა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებმა.

პროექტის მიხედვით, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა წლების განმავლობაში ვერ შეძლეს მანდატით გათვალისწინებული მთავარი ფუნქციის შესრულება - კონფლიქტის ზონებში მშვიდობის შენარჩუნება. საქართველოს პარლამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია რუსეთის სამშვიდობო ძალების ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონებში დარჩენა და ავალებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ დაიწყოს პროცედურები რუსეთის სამშვიდობო ძალების გასაყვანად.

ხვალინდელ რიგგარეშე სხდომას საპარლამენტო ოპოზიცია კვლავ არ დაესწრება.

*მედიანიუსი*

# დაძაბულობა იზრდება

პირველი გვერდიდან

ოფიციალური იერუსალიმი გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის განცხადებას ეხმაურება და მიიჩნევს, რომ ჯერჯერობით არ არის არანაირი აუცილებლობა ისრაელი-ლიბანის საზღვარზე ახალი ძალის განლაგებისა. თუმცა, ისრაელი მიესალმება საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც გაერო-ს რეზოლუციის იმპლემენტაციას გულისხმობს და რომლის მიხედვითაც "ჰეზბოლას" დაჯგუფების განიარაღება მოხდება.

გაერო-ს გენერალური მდივნისა და ტონი ბლერის ამგვარი განცხადებები ახლო აღმოსავლეთში ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა.

შეგახსენებთ, რომ ისრაელმა ლიბანზე იერიში გასული კვირის ოთხშაბათს მიიტანა. ამის მიზეზი ლიბანის სამხედრო დაჯგუფების "ჰეზბოლას" მიერ ორი ებრაელი ჯარისკაცის გატაცება გახდა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, საბრძოლო მოქმედებების შედეგად ლიბანში უკვე 130, ხოლო ისრეალში კი 24 ადამიანი დაიღუპა.

გუშინ ისრაელმა მორიგი იერიში მიიტანა ბეირუთის სამხრეთით მდებარე ჰეი სულმის რაიონზე, რომელიც ძირითადად შიიტი მუსლიმანებით არის დასახლებული. ოფიციალური იერუსალიმის განცხადებით, ისრაელი მხოლოდ იმ ტერიტორიებზე ახორციელებს თავდასხმას, სადაც "ჰეზბოლას" დაჯგუფების ობიექტებია განთავსებული, თუმცა ოფიციალური ბეირუთის განცხადებით, ჰეი სულმის ტერიტორიაზე "ჰეზბოლას" არანაირი ობიექტი არ არის.



ბეირუთი ისრაელის ავიაციის მორიგი იერიშის შემდეგ.

ისრაელმა თავდასხმა განახორციელა ლიბანის ჯარის სადაზვერვო ბაზაზეც, რასაც 9 სამხედრო პირის სიცოცხლე შეეწირა. ებრაელმა სამხედროებმა ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე საწვავის ორი საწყობი და ბეირუთის პორტი დაბომბეს, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა.

ლიბანიდან უცხო ქვეყნების მოქალაქეთა ევაკუაცია დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ ბეირუთის საერთაშორისო აეროპორტი აღარ ფუნქციონირებს, მოსახლეობის ცხელი ზონიდან გაყვანის ერთადერთ საშუალებად რჩება ზღვა (კვიპროსი) და ავტობუსი (სირიის გავლით). ლიბანში ათასობით უცხოელი ტურისტი იმყოფება, რომლებიც აქ ზაფხულის გასატარებლად ჩამოვიდნენ.

ისრაელის ქმედებებს ლიბანელთა მხრიდან შეტევების ახალი ტალღა მოჰყვა. "ჰეზბოლას" დაჯგუფებამ იერიში მიიტანა ისრაელის ტერიტორიაზე, კერძოდ ლიბანის საზღვართან განლაგებულ ქალაქებზე აფულასა და ნაზარეთზე.

საერთაშორისო საზოგადოება მომხდარს უარყოფითად აფასებს და კონფლიქტის მოგვარების გზებს ეძებს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი დომენიკ დე ვილპენი ბეირუთში იმყოფება და ამით ცდილობს, გამოხატოს თავისი თანაგრძნობა ლიბანელი ხალხისადმი.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანოუჩერ მოტაკი დამასკოში გაემგზავრა, მას შემდეგ. რაც ოფიციალურმა თეირანმა პირობა დადო , რომ მხარს დაუჭერს სირიას და დაეხმარება მას იმ შემთხვევაში, თუ ისრეალი დამასკოზე იერიშს მიიტანს.

ისრაელი ლიბანის პარალელურად პალესტინაში, ღაზას სექტორშიც განაგრძობს საბრძოლო მოქმედებებს. გუშინ გამთენიისას საჰაერო დაბომბვის შედეგად პალესტინელი სამხედრო დაიღუპა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ისრაელმა რამდენიმეჯერ განახორციელა თავდასხმა ღაზას სექტორში განთავსებულ პალესტინის საგარეო საქმეთა სამინისრტროზე, რის შედეგადაც შენობა სერიოზულად დაზიანდა. ღაზას სექტორში ისრაელის საბრძოლო მოქმედებებს საფუძვლად პალესტინელი სამხედროების მიერ ებრაელი ჯარისკაცის გატაცება დაედო.

# სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია კვლავ სტიქიას ებრძვის

პირველი გვერდიდან

საგანგებო ბრიფინგზე პრეზიდენტ სუსილო ბამბანგ იუდჰოიონოს მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით, ცუნამის 5 ადამიანი ემსხვერპლა. თვითმხილველების თქმით, რასაც ოფიციალური ხელისუფლებაც ადასტურებს, საკმაოდ დიდია ზარალი, რომელიც კუნძულზე განლაგებულმა სასტუმროებმა, რესტორნებმა და საცხოვრებელმა სახლებმა განიცადეს. განსაკუთრებით კუნძულის დასავლეთი ნაწილი, პანგანდარანის პლაჟზე მცხოვრები მოსახლეობა დაზარალდა. უზარმაზარი ტალღებისთვის თავი რომ დაეღწიათ, მათ უახლოეს გორაკებისთვის მოუწიათ თავის შეფარება.

**"პლაჟზე ყველა სახლი დანგრეულია, პატარა სასტუმროები და რამდენიმე რესტორანი კი მთლიანად განადგურებულია"**, - განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა ადგილობრივი რადიოსადგურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ინდონეზიასთან შედარებით გაცილებით დიდია მსხვერპლის რაოდენობა ჩინეთში, სადაც ტროპიკულ ქარიშხალს "ბილისს" სულ მცირე 150 კაცი ემსხვერპლა. ამას გადაულებელი წვიმებიც ემატება, რომელმაც არაერთხელ გამოიწვია წყალდიდობა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში და მილიონობით ადამიანი იძულებული გახადა საკუთარი საცხოვრებელი სახლები დაეტოვებინა.

მაშველთა ბრიგადებს ჯერ კიდევ არ დაუმთავრებიათ ქუჩების გაწმენდა და იმ ათასობით სახლის მონახულება, სადაც ხალხია დარჩენილი და შველას ელის. თუმცა, არც სინოპტიკოსების პროგნოზები და- [illegible]

გაზეთის "ჩაინა დეილი" თანახმად, ყველაზე მეტად ჰუნანის პროვინციაა დაზარალებული, სადაც სტიქიის შემოტევას სულ მცირე 78 ადამიანი ემსხვერპლა. წყალდიდობამ ათასობით სახლი დაანგრია და უზარმაზარ ტერიტორიაზე ნათესები გაანადგურა.

გუანდანის პროვინციაში, სადაც მსხვერპლის რაოდენობა 33 კაცია, წყალდიდობამ მწყობრიდან გამოიყვანა პეკინი-გუანჩჟოუს სარკინიგზო მაგისტრალი, რის გამოც ღია ცის ქვეშ დარჩა 5 000-ზედ მეტი მგზავრი. მეზობელ ლიჩანის პროვინციაში კი წყალდიდობამ, რომლის სიღრმე 3 მეტრზე მეტი იყო, ადგილობრივი ხელისუფლებას 1 600 პატიმრის ევაკუაცია აიძულა ციხიდან.

წყალდიდობაა ასევე ჩუნჩყოუსა და ფუძიანის პროვინციებშიც, სადაც სტიქიის შედეგად ასევე მოჰყვა მსხვერპლი. ტროპიკული ქარიშხალი "ბილისი" ჩინეთს თავს პარასკევს დაატყდა, მანამდე კი სერიოზული ზარალი ფილიპინებმა და ტაივანმაც განიცადეს. ქარიშხალმა სიმძლავრე ჩინეთში შეღწევამდე დაკარგა და სწორედ, ამიტომ მოხვდა იგი შემდეგ ტროპიკული ქარიშხლის კატეგორიაში.

ჩინეთისთვის მიმდინარე წლის განმავლობაში ეს სტიქიის შეტევის პირველი შემთხვევა არ არის, ჯერ კიდევ ივნისში სულ მცირე 349 ადამიანი დაიღუპა ქარიშხლისა და ძლიერი წვიმების გამო, რომლებიც თავს ქვეყნის რამდენიმე რაიონს დაატყდა.

სტატისტიკურად, ძლიერი წვიმებისა და ქარიშხლის გამო, ყოველწლიურად ათასობით ჩინელი იღუპება. თუმცა, როგორც მეტეოროლოგები აღნიშნავენ, წყნარი ოკეანის [illegible]

*24 საათი*

### მოკლედ

#### საქართველოს მთავრობა დსთ-დან გამოსვლის საკითხზე მუშაობას აგრძელებს

საქართველოს დსთ-დან გამოსვლის მიზანშეწონილობის საკითხზე საქართველოს მთავრობა მუშაობას აგრძელებს. როგორც გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ჯერ კიდევ გრძელდება დსთ-დან გამოსვლის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების შესწავლა. ამასთანავე, საქართველო უკვე ორმხრივ ურთიერთობებზე გადადის დსთ-ს სხვადასხვა სახელმწიფოებთან, თუმცა შესწავლის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება და წინასწარ, მისივე თქმით, შეუძლებელია დასკვნების გაკეთება.

საქართველოს პრეზიდენტმა, დაახლოებით ერთი თვის წინ, მთავრობას დაავალა შეესწავლათ დსთ-დან გამოსვლის მიზანშეწონილობის საკითხი. პრეზიდენტის თქმით, ამ ნაბიჯით არც ერთი ქართველი მეწარმე არ უნდა დაზარალდეს. **ინტერპრესნიუსი**

#### ერაყში ტერაქტების შედეგად 70 ადამიანი დაიღუპა

ერაყის ჩრდილოეთით მომხდარი აფეთქების შედეგად 28 ადამიანი დაიღუპა, 19 კი - დაიჭრა.

აფეთქება ტუზ კურმატუში, ბაღდადიდან 170 კილომეტრში, ერთ-ერთ კაფეში მოხდა. კაფე შიიტურ მეჩეთთან ახლოს მდებარეობდა. დაღუპულთაგან უმრავლესობა ხანდაზმული იყო. კიდევ ერთი აფეთქება მოხდა ქალაქ ელ მაჰმუდიას ბაზარში. აფეთქებისას 42 დაიღუპა, 30-ზე მეტი კი - დაიჭრა. პოლიცია მომხდარის რამდენიმე ვერსიაზე საუბრობს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ბაზარში შეიარაღებული ჯგუფი შეიჭრა და მშვიდობიან მოქალაქეებს ცეცხლი გაუხსნა, რასაც პოლიციელთა მხრიდანაც მოჰყვა საპასუხო სროლა. შემთხვევის სხვა დეტალები უცნობია. **ინტერპრესნიუსი**

#### მიწისძვრით დაზარალებულებისთვის ბინების დაკანონება გრძელდება

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის თავმჯდომარის აკაკი გონგლაძის ინფორმაციით, თბილისში, 2002 წელს მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულებისთვის გადაცემული 346 ბინიდან მობინადრეებს იურიდიულად დაუკანონდათ 234 ბინა. დაუკანონებელი 112 ბინიდან 42 მოქალაქეს ბინების დაკანონებაზე უარი ეთქვათ.

ამ კატეგორიებს განეკუთვნებიან:

1. ის ოჯახები, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ თბილისთან და არიან ჩამოსულები რაიონებიდან (10 ასეთ ოჯახი ამ დრომდე ცხოვრობს ბინებში).

2.იმ ოჯახებს, რომელნიც მიწისძვრის შედეგად არ დაზარალებულან და მიუხედავად ამისა, ცხოვრობენ სახელმწიფოს მერ გადაცემულ ბინებში.

3. იმ ოჯახებს, რომლთაც მიწისძვრის დროს ბინები დაგირავებული ჰქონდათ და უკანონოდ ისარგებლეს ამ სიტუაციით.

4. იმ ოჯახებს, რომელთაც სულადობა არ შეეფარდება მიღებული ბინის ფართს.

ამ უკანასკნელთ ხელისუფლება შესაბამისი ფართის ბინებით დააკმაყოფილებს. ამ მოქალაქეების ნაწილის გამოსახლებაზე სასამართლომ დადგენილება უკვე გამოიტანა. ნაწილი კი განხილვის პროცესშია. ბინების დაკანონება 2-3 თვეში სარულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### ზედამხედველობის სამსახური საამქროების გარეუბანში გადატანას მოითხოვს

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური დედაქალაქის დასახლებულ რაიონებიდან სამშენებლო მასალების დამამუშავებელი საამქროების გადატანას მოითხოვს. დედაქალაქში სამშენებლო მასალების დამამუშავებელი საწარმოები აბინძურებენ გარემოს და მათი ხმაური და მტვერი მოქალაქეების პროტესტს იწვევს. სწორედ ამიტომ, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სასახურმა დაიწყო სამშენებლო მასალების გადამამუშავებელი საწარმოების შემოწმება. აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, დავით ავალიანის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე შემოწმდა ბელიაშვილის ქუჩაზე განთავსებული 9 საწარმო აქედან 6 მათგანის დახურვისა და სხვა ტერიტორიაზე გადატანის მოთხოვნა სასამართლომ უკვე დააკმაყოფილა. რაც შეეხება დანარჩენ სამს, მათ თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მიიღებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

#### კახეთში მასობრივი მოწამვლის მიზეზებს იკვლევენ

მასობრივი მოწამვლის შემთხვევათა გამოსავლენად ყვარლის რაიონში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტები ჩავიდნენ.

როგორც "ინტერპრესნიუსს" დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სპეციალისტებმა განუცხადეს, ადგილზე გამოიკვლიეს ყველა ის პირი, ვისაც მოწამლულებთან ჰქონდათ კონტაქტი, ანალიზის ნიმუშები კი გამოსაკვლევად თბილისში წაიღეს.

ყვარლის რაიონში, ლეკებთან დასახლებულ სოფელ ჩანთლისყურში 14 ივლისს 15 ადამიანი მოიწამლა. მათგან 6 მცირეწლოვანი ბავშვია. მოწამლულებს შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ, თუმცა ჯერჯერობით ვერ [illegible] **ინტერპრესნიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარამელი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, ლუიზა ქარია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# "დიდი რვიანის" ჯგუფური ინდივიდუალიზმი

პირველი გვერდიდან


კმაყოფილი სტუმარ-მასპინძელი.

სანქტ-პეტერბურგის სამიტზე პრესკონფერენციათა მაქსიმუმი დაფიქსირდა. განსაკუთრებით თვალში საცემი რუსი "ნიუსმეიკერების" მედიასთან აქტიურობა იყო. თითქმის ყველა რუსმა მეტ-ნაკლებად გავლენიანმა მოხელემ თავი მოვალედ ჩათვალა, მედიის 4 ათასი წარმომადგენლისთვის თავისი შეხედულებები გაეზიარებინა (თუ თავს მოეხვია). უცხოელი სტუმრები ამ მხრივ ნაკლებად აქტიურობდნენ, უფრო მეტიც, მაგალითად, ამერიკის დელეგაციამ მხოლოდ თეთრი სახლის "პულის" ჟურნალისტებისთვის გამართა ორიოდე ბრიფინგი.

"დიდი რვიანის" სამიტების ისტორიაში, ახალი სიტყვა იყო მთავარი მასპინძლის ყოველი დღის ბოლოს (შუაღამისას) ორგანიზებული შეხვედრები მედიასთან. პუტინის თქმით, ასეთი რეგულარული "ანგარიშები" მედიისთვისაც საინტერესო იქნებოდა და "საერთო საქმესაც" წაადგებოდა.

ასეთივე სიახლე იყო სამიტის შემაჯამებელი ინდივიდუალური ბრიფინგები "დიდი რვიანის" თითქმის ყველა წევრი-ქვეყნის ლიდერის მხრიდან, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი დროში ერთმანეთს დაემთხვა - ალბათ, იმის ნიშნად, რომ გასული წლის გლენიგლზის "ერთსულოვნებიდან" აღარაფერია დარჩენილი.

ერთადერთი, ვინც სამიტის დასრულების შემდეგ პრესასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა, აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო. **"მე 14.15-ზე უნდა გავფრინდე, რათა, ბოლოს და ბოლოს, დავასვენო ჩემი დაცვის თანამშრომლები,"** - აღნიშნა ბუშმა.

პრესასთან ურთიერთობის სიხშირით ყველა რეკორდი მოხსნა მასპინძელი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. სამ დღეში მან სამი "ექსკლუზიური" შეხვედრა გამართა პრესის წარმომადგენლებთან, რომ არაფერი ვთქვათ სხვა ლიდერებთან ორმხრივი შეხვედრების გაშუქებაზე.

რუსეთის პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობდა სიტუაციის ბატონ-პატრონის იმიჯის მორგებას და ხშირად ეს ფრიად მოხერხებულადაც გამოსდიოდა.

"დიდი რვიანის" სამიტის ფარგლებში დაგეგმილ დასკვნით პრესკონფერენციაზე ვლადიმირ პუტინს საათზე მეტი დააგვიანდა. რუსეთის პრეზიდენტი ცდილობდა, დამაჯერებლად ელაპარაკა. მისი თქმით, იმედგაცრუებული არც ერთ საკითხთან მიმართებაში არ დარჩენილა. **"ყველა მიზანი მიღწეულია,"** - განაცხადა პრეზიდენტმა პუტინმა. თუმცა, "მიღწეულ მიზნებზე" დეტალურად ლაპარაკისას ვლადიმირ პუტინს არაფერი უთქვამს რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების გაცრუებულ პერსპექტივებზე. მას იმის სპეციალურად აღნიშვნაც მოუხდა, რომ, მართალია, "დიდი რვიანის" დანარჩენი ლიდერები დაეთანხმნენ რუსეთის ინიციატივებს, მაგრამ სამიტის მსვლელობისას მათი (თავმჯდომარე ქვეყნის მიერ მომზადბული წინადადებების) დახვეწაც მოუწიათ - მაგალითად, თუნდაც იმის გამო, რომ (ენერგორესურსების) მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს განსხვავებული ინტერესები აქვთ, - ამბობს პუტინი ენერგოუსაფრთხოების ყბადაღებულ თემასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარის დასკვნით კომუნიკეში დღის წესრიგში შეტანილი ყველა თემა აისახა - გლობალური ენერგოუსაფრთხოება, განათლების თანამედროვე სისტემების განვითარება და ბრძოლა ინფექციურ დაავადებებთან. იქ მოხვდა, ასევე, ე.წ. სხვადასხვა საკითხებზე გაკეთებული განცხადებები (მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა, საერთაშორისო ვაჭრობა, ბრძოლა მეკობრულ და კონტრაფაქტულ საქონელთან, კორუფციასთან ბძოლა და აფრიკის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა) და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები (მგი-ს გაუვრცელებლობა, საერთაშორისო ნარკოტრეფიკინგი, პოსტკონფლიქტური სტაბილიზაცია და აღდგენა, იარაღით უკანონო ვაჭრობა, მოლაპარაკებები კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი). კომუნიკეს ბოლოში ნათქვამია, რომ შეხვედრის დროს წამოიწია მთიანი ყარაბაღის საკითხიც.

მოკლედ, იმედისმომცემი წინასწარი განცხადებების მიუხედავად, არაფერი საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მეზობლად არსებული კონფლიქტების საკითხს არცთუ მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა დიდი რვიანის ორმხრივი და მრავალხრივი შეხვედრების დროს, რუსული მხარე ყველანაირად გაურბოდა ამ საკითხის წამოწევას.

სამიტის დასასრულს მხოლოდ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა დაადასტურეს, რომ ეს საკითხები განიხილებოდა ორხრივი შეხვედრების დროს. მერკელის თქმით, ვლადიმირ პუტინმა აუხსნა თავის კოლეგებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტებს მხოლოდ ეთნიკური საფუძველი აქვს.

სავარაუდოდ, დანარჩენი ლიდერების გამოსვლების ძირითადი ნაწილი ახლო აღმოსავლეთის ბოლოდროინდელმა კრიზისმა და საერთაშორისო მედიასაშუალებების ამ საკითხის მიმართ ინტერესმა დაჩრდილა. თუმცა, შესაძლოა, "არნახული" სტუმართმოყვარეობის შემხედვარე მსოფლიოს ლიდერებს "მოერიდათ" მასპინძლის საწყენ თემებზე საუბარი.

ეჭვგარეშეა, სანქტ-პეტერბურგის სამიტის შესახებ შეფასებები კიდევ დიდი ხნის მანძილზე წამყვანი იქნება მსოფლიო მედიაში და, შესაძლოა, სამშობლოში დაბრუნებულ ქვეყნის პირველ პირებს ან მათზე დაბალი რანგის პოლიტიკოსებს მომავალში გაუჩნდეთ რუსეთის პირუთვნელი "დახასიათების" სურვილი.

# "დიდი რვიანი" და საქართველო

პირველი გვერდიდან

დასავლეთი იმასაც აცნობიერებს, რომ სხვა ფორმატები საქართველოში არსებული კონფლიქტების განხილვისა (გაერო, გაერო-ს უშიშროების საბჭო, გნებავთ, ეუთო და მის ფარგლებში არსებული შერეული საკონტროლო კომისია) ვერ ამართლებენ, მათ შედეგები ვერ გამოიღეს. საჭიროა სხვა მექანიზმების გამოყენება. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია რუსეთთან ორმხრივი დიალოგი.

უკვე სასურველია, რომ ევროკავშირმაც რუსეთთან ორმხრივ დიალოგში პრინციპულად და კატეგორიულად დასვას ეს საკითხები. ასევე სასურველია აღნიშნული თემის განხილვა ნატო-რუსეთის თანამშრომლობის საბჭოში და საერთოდ, ყველგან, სადაც კი შესაძლებელია ორმხრივ რეჟიმში რუსეთთან ამის თაობაზე საუბარი.

არ ველოდები, რომ სამიტის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რადიკალურად შეიცვლება. რუსეთი საკმაოდ ინერციული ქვეყანაა და, შესაბამისად, ასე სწრაფად საქართველოსთან ურთიერთობების რადიკალურად შეცვლა უკეთესობისკენ არარეალურად მესახება.

"დიდი რვიანის" ეს შეხვედრა არ უნდა განვიხილოთ პანაცეად, ერთჯერად, აუცილებელ და საკმარის პირობად იმისათვის, რომ საქრთველო-რუსეთის ურთიერთობები მოგვარდეს. ეს დიდი პროცესის სერიოზული ეტაპი გახლავთ, ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს დიდი რვიანის სხვა სამიტებზე და, აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმხრივი დიალოგის სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. ასეთ ვითარებაში რუსეთი მიხვდება, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს. იგი ამგვარ დათმობებზე ადრე წავიდა ბალტიისპირეთის ქვეყნებთან მიმართებაში, ნატო-ს გაფართოების საკითხის გადაჭრისას.

***კოტე გაბაშვილი, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:***

ამ დონეზე საქართველოს თემის განხილვა ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის ჩვენი ქვეყნის სერიოზული დიპლომატიური გამარჯვება. თავისთავად ის ფაქტი, რომ ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტებმა ხანგრძლივი დრო დაგვითმეს, ბევრს ნიშნავს. შედეგებს უნდა ველოდოთ. ყოველ შემთხვევაში, გაუარესება გამორიცხულია. საბოლოო ჯამში, საკითხი ნათლად წარმოჩინდება მოსკოვში სააკაშვილი-პუტინის შეხვედრის შემდეგ. მე მგონი, გარკვეული წინსვლის შანსი მაინც არსებობს.

***ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი:***

პრეზიდენტის 16 ივლისის სალამოს გამოსვლა იმის შესახებ, რომ ჩვენმა დიპლომატიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია, იყო ნაჩქარევი. თავისთავად ის, რომ "დიდი რვიანის" შეხვედრაზე სიტყვა "საქართველო" გაიჟღერებს, ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მთავარია, იქ ითქვას, როგორ აღიდგინოს საქართველომ თავისი ტერიტორიული მთლიანობა, ვინ დაგვეხმარება ამაში და კონკრეტულად რა ნაბიჯები იქნება გადადგმული.

***გიორგი ხელაშვილი, ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში:***

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოზე მაინცდამაინც ბევრი საუბარი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც ისრაელსა და ლიბანს შორის ომი დაიწყო, სხვა თემებმა წამოიწია წინ. უფრო მწვავედ დადგა ენერგოუსაფრთხოების საკითხი. ამან დაყო "დიდი რვიანი", ნაწილი ისრაელს მიემხრო, ნაწილი - ლიბანს. აქტუალური გახდა ნავთობის ფასის საკითხი, რამაც კიდევ უფრო გაამყარა რუსეთის პოზიციები. ევროპისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა რუსეთის მიერ გაზის და ნავთობის სტაბილური მიწოდება. პარალელურად გამწვავდა ჩრდილოეთ კორეის საკითხი. ყველაფერმა ამან შთანთქა საქართველოს თემა.

თუ დავაკვირდებოდით, ერთი რამ კარგად ჩანდა - ამ დღეებში ყველაზე თავდაჯერებულად რუსეთის პრეზიდენტი იქცეოდა. დანარჩენები ან ასრულებენ ლიდერობის ვადას, ან კიდევ მათი რეიტინგი, როგორც, მაგალითად, ბუშისა, დაბალია.

ასე რომ, ძნელი სათქმელია, რამდენად სერიოზულად განიხილავდნენ სამიტზე საქართველოს თემას.

საქართველო და კონფლიქტები პირადად პუტინისათვის უკვე პრესტიჟის საგნად იქცა და მე ეჭვი მეპარება, რომ მას რაიმე დაეთმო თავისი ამერიკელი კოლეგისათვის. მით უმეტეს, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამერიკელებს სულ უფრო მეტად და მეტად სჭირდებათ პუტინი. ამის დადასტურება იყო თუნდაც ის, რომ ბუშმა ვერ გაბედა პუტინის გაკრიტიკება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

არა მგონია, ისეთი ფუნდამენტური ძვრა მოხდეს ოსეთის და აფხაზეთის საკითხებში, როგორიცაა კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო გააქტიურება. ამის მოლოდინი, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. ცნობილია, რომ სააკაშვილი უნდა შეხვდეს პუტინს. საბოლოო ჯამში, ამ შეხვედრას უნდა დაველოდოთ.

***დავით დარჩიაშვილი, პოლიტოლოგი:***

საქართველოს თემა დიდი რვიანის ორი დიდი მოთამაშისათვის თანაბრად საინტერესოა და მნიშვნელოვანია. რუსეთის მხრიდან გასაგებია ამბიცია, რომ ამ ტერიტორიაზე სპეციალური კონტროლი შეინარჩუნოს. ამერიკის მთავარი მიზანი კი დემოკრატიის და თავისუფლების გავრცელებაა. ასეთ ვითარებაში შესაბამისი არჩევანი უნდა გაკეთდეს.

ჩემი აზრით, შედეგი იქნება ის, რომ რუსეთის მხრიდან ემოციები დაცხრება. ეჭვი მეპარება, რომ ამ სამიტის შემდეგ რუსეთმა საბოლოოდ გადაიფიქროს სამხრეთ კავკასიაში დესტრუქციული როლის თამაში, მაგრამ, გარკვეულწილად, რბილ ტონს აირჩევს. იგი შეეცდება, შთაბეჭდილება მაინც შექმნას, რომ კონფლიქტების დარეგულირებაზე სერიოზულად ზრუნავს. კერძოდ, რა ფორმას მიიღებს ეს ყოველივე, ამას მომავალი გვიჩვენებს.

სასწაულების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. თუმცა რუსეთის ქმედებების შერბილება ქვეყნის შიდა ინსტიტუტების უფრო წყნარად მშენებლობის საშუალებას მოგვცემს. რამდენადაც მდგრადი იქნება ქართული სახელმწიფოებრიობა, მით მეტია შანსი ამ პრობლემების მეტ-ნაკლებად ადეკვატურად დარეგულირებისა.

***გია ნოდია, პოლიტოლოგი:***

რამდენადაც ინფორმირებული ვარ, საქართველოს თემა მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ ყოფილა. შანსი ამ თემის დასმისა იყო გუშინწინ პუტინის ბუშთან შეხვედრაზე, მაგრამ იქ ბევრი არაფერი მომხდარა. სამიტის თემატიკის შეცვლაზე დიდად იმოქმედა ახლო აღმოსავლეთის კრიზისმა ლიბანსა და ისრაელს შორის. ყურადღებამ ამ საკითხზე გადაინაცვლა. ყველა აღნიშნავს - ახლო აღმოსავლეთის მოვლენები რომ არა, საქართველო იქნებოდა მთავარი თემა.

"დიდი რვიანის" სამიტს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე უშუალო გავლენა ნაკლებად ექნება. თავისთავად, უფრო მნიშვნელოვანი იყო სამიტის წინ ბუშის და სააკაშვილის შეხვედრა, რაც ერთგვარი დემონსტრაცია იყო საქართველოსადმი ამერიკის მხარდაჭერისა. ეს შეიძლება ქართული დიპლომატიის წარმატებად მივიჩნიოთ.

# საქართველოში იაპონიის საელჩო გაიხსნება

იაპონია მზად არის საქართველოში ინვესტიციები განახორციელოს. აღნიშნული განცხადება იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იაკოკო იამანაკამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საპარლამენტო დელეგაციასთან შეხვედრისას გააკეთა.

დახურული შეხვედრა პროტოკოლით გათვალისწინებულზე მეტ ხანს გაგრძელდა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ დიალოგისას ყურადღება გაამახვილა იაპონია-საქართველოს პარლამენტებს შორის ურთიერთობის გაღრმავებაზე.

ბურჯანაძემ იაპონელ სტუმრებთან საქართველოს საგარეო კურსის შესახებ ისაუბრა და, გარკვეულწილად, შეეხო მის გამოსვლას გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რუსი სამშვიდობო ძალები ფორმატით ვერ მუშაობენ, ამიტომ საქართველოს პარლამენტი უახლოეს დღეებში მიიღებს მის კონფლიქტური ზონებიდან გაყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, უახლოეს ხანებში საქართველოში იაპონიის საელჩო გაიხსნება, რომელიც უფრო გააააქტიურებს ურთიერთობებს საქართველო-იაპონიას შორის და ხალხებს შორისაც.

*ინტერპრესნიუსი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია „საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო: ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# არასამთავრობოები საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივიან

დღეს, 12 საათზე, საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომა გაიმართება. საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა, შეაჩეროს იმ მუხლის მოქმედება, რომლის საფუძველზეც დაპატიმრებულები არიან "თანასწორობის ინსტიტუტის" წარმომადგენლები - ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ზურაბ რთველიაშვილი და ჯაბა ჯიშკარიანი.

საუბარია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის არაკონსტიტუციურობაზე, რომლის მოქმედების შეჩერებასაც არასამთავრობო ორგანიზაციები "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ითხოვს.

სწორედ ამ მუხლის საფუძველზე გამოაქვთ მოსამართლეებს სადამსჯელო სანქციები "ურჩი" ადვოკატებისთვის. სიღნაღის სასამართლოს მოსამართლემ ხვიჩა კიკილაშვილმა "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატი ონისე მებონია ადმინისტრაციული წესით დასაჯა - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე, მას 30-დღიანი პატიმრობა შეუფარდა, იმის გამო, რომ ადვოკატმა მოსამართლის მოქმედების თაობაზე ეთიკურ ფორმებში შენიშვნა გამოთქვა, რაც მოსამართლემ მას, მართლმსაჯულების შეურაცხყოფად ჩაუთვალა.

მსგავსი ფაქტი მოხდა მცხეთის საქალაქო სასამართლოში. ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატმა თამარ გაბისონიამ მოსამართლე ნინო ჭალიძეს სთხოვა, რეაგირება მოეხდინა მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელ ქმედებებზე. ადვოკატის მოთხოვნა მოსამართლისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რის გამოც, ადვოკატ გაბისონიას მან გაფრთხილება მისცა და მსგავსი ქმედების განმეორების შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ გურულმა პროცესიდან გააძევა ადვოკატი ეკა ბესელია, იმის გამო, რომ ადვოკატმა განსასჯელის, რომელსაც იგი იცავდა, შუამდგომლობის ოქმში შეტანა მოითხოვა.

208-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოს ადვოკატმა ონისე მებონიამ მიმართა, რომლის წარმომადგენლებიც არიან "კონსტიტუციის 42 მუხლი" და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

სადავო მუხლის მოქმედების შეჩერება მოითხოვა "საქართველოს იურისტთა ასოციაციამაც".

ადვოკატები აცხადებენ, რომ აღნიშნული მუხლი საფრთხეს უქმნის დაცვის ინსტიტუტის არსებობას, იგი რეპრესიული ნორმაა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსამართლეს, ადვოკატი საქმეს ჩამოაშოროს. გარდა ამისა, ხსენებული მუხლი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს ზღუდავს. **24 საათი**

## მოკლედ

### კიდევ ორი გარდაცვლილი პატიმარი

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის N1 საპყრობილის ერთ-ერთ საკანში 24 წლის პატიმარი გიორგი ანდიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს. წინასწარი ინფორმაციით, პატიმარმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ექსპერტების დასკვნით, გარდაცვალება მექანიკურმა ასფიქსიამ გამოიწვია. გიორგი ანდრიაშვილი 2005 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. სასამართლომ იგი ძარცვის ბრალდებით გაასამართლა და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა. ანდრიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა აღძრა.

პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა 32 წლის პატიმარი მერაბ ბუქური. ბუქური 2006 წლის 17 იანვარს ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს და მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ფილტვების დისიმინირებული ტუბერკულოზით დაავადებული ბუქური პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში 6 ივნისს სასწრაფო წესით გადაიყვანეს. იგი 15 ივლისს ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა. **24 საათი**

### სანდრო გირგვლიანის საქმის სხდომის ოქმები არასრულყოფილია

სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატებმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გირგვლიანის საქმის სასამართლო განხილვისას შედგენილ სხდომის ოქმებზე შენიშვნები დააფიქსირეს. გირგვლიანის ოჯახის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, საპროცესო ნორმების თანახმად, თუ სხდომის ოქმების ჩანაწერში რომელიმე მხარე უზუსტობას აღმოაჩენს, მას შეუძლია მოსამართლეს ოქმების შესწორების მოთხოვნით მიმართოს.

მისივე თქმით, შენიშვნები მაშინ იწერება, თუ მხარე მიიჩნევს, რომ სხდომის ოქმები არასწორად ასახავს პროცესებზე დაფიქსირებულ მოვლენებს. "ჩვენი მოთხოვნით, სანამ სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრება მოხდება, მანამ მოსამართლემ უნდა იმსჯელოს ადვოკატების შუამდგომლობაზე - დაემატება თუ არა ოქმის ჩანაწერებს გარკვეული საკითხები. მთელი რიგი საკითხების გამოტოვება იმისთვის არის მიმართული, რომ ყველანაირად იქნას აცილებული იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც გირგვლიანის გარდაცვალების დღეს "შარდენ ბარში" სუფრასთან ისხდნენ", - განაცხადა შავგულიძემ. როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, "გაერთიანებული ქართული ბანკის" ყოფილი თანამშრომელის სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს: შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილ უფროსს გია ალანიას - 8 წელი, ამავე სამმართველოს ყოფილ თანამშრომლებს: ავთანდილ აფციაურს, ალექსანდრე ღაჭავას და მიხეილ ბიბილურიძეს კი 7-7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. **ინტერპრესნიუსი**

### ომბუდსმენის მოხსენებაზე უმრავლესობას სათქმელი არაფერი აქვს

საქართველოს სახალხო დამცველ სოზარ სუბარის საპარლამენტო ანგარიშთან დაკავშირებით დეპუტატებს სათქმელი არაფერი აქვთ. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება პარლამენტმა დადგენილებით უნდა შეაფასოს. თუმცა, როგორც დეპუტატები განმარტავენ, მოქმედი კანონმდებლობა ომბუდსმენის ანგარიშის დადგენილებით შეფასების ვალდებულებას არ განსაზღვრავს. "სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს სათქმელი, თუმცა, შესაძლოა, მივიღოთ გადაწყვეტილება და მხოლოდ ცნობად მივიღოთ სახალხო დამცველის მოხსენება", - აღნიშნა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. ბიუროზე კამათი გაიმართა, აქვს თუ არა პარლამენტს შესაძლებლობა ცნობად მიღების შესახებ გადაწყვეტილება დადგენილების გარეშე გააფორმოს.

შეგახსენებთ, საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა 14 ივლისს პარლამენტს წარუდგინა ანგარიში, რომელიც 2005 წლის მეორე ნახევარსა და 2006 წლის დასაწყისში საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებს ეხება. ომბუდსმენის ანგარიშში მწვავე შეფასებები მიეცა ამირან რობაქიძისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობებს, შალვა რამიშვილის საქმეს, 27 მარტს ციხეში მომხდარ ბუნტს, კანონდარღვევით ჩატარებულ სპეცოპერაციებს, დამნაშავე პოლიციელების დაუსჯელობის პრაქტიკას, არაობიექტურად გამოძიებულ საქმეებს, პოლიციელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღევის გახშირებულ ფაქტებს, პენიტენციურ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებას, მოსამართლეების მიერ დაშვებულ კანონდარღვევებს, დევნილების პრობლემებს და ა.შ. **ინტერპრესნიუსი**

### "ტარასას" საქმე სასამართლოში

ამ დღეებში თბილისის საქალაქო სასამართლოს არსებითი განხილვისთვის ე.წ. კანონიერი ქურდის ტარიელ ფოცხვერიას, მეტსახელად "ტარასას" საქმე გადაეცემა. ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატის შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, პროკურატურამ დაკავებულის დაცვის მხარეს საბრალდებო დასკვნა გადასცა.

როგორც ცნობილია, "ტარასა", მიმდინარე წლის 27 მარტს, ციხეში მომხდარ ბუნტის ორგანიზებასა და "კანონიერ ქურდობაშია" ბრალდებული. ფოცხვერიას, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ფოცხვერიას წინააღმდეგ აღძრული საქმის წარმოება თავიდანვე მთელი რიგი კანონდარღვევებით განხორციელდა და ამის დამადასტურებელი საბუთებიც მრავლად მოიპოვება. ტარიელ ფოცხვერია ამ დროისთვის რუსთავის N6 საპყრობილედან თბილისის N7 საპყრობილეშია გადმოყვანილი, სადაც ე.წ. კანონიერი ქურდები იხდიან სასჯელს. როგორც ხაჭაპურიძე ირწმუნება, ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, თუმცა მისთვის ექსპერტიზის ჩატარება დამოუკიდებელმა ექსპერტმაც კი ვერ გაბედა. უკრაინიდან დეპორტირებული "კანონიერი ქურდი" ტარიელ ფოცხვერია შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 24 მაისს, თბილისის აეროპორტში, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთის დროს დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

### საერთაშორისო და ქართველი არასამთავრობოები წამების წინააღმდეგ

დღეს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია "ციხის საერთაშორისო რეფორმა" და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" "წამების წინააღმდეგ ახალი ეროვნული სისტემის" პრეზენტაციას გამართავენ. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში" აცხადებენ, ორგანიზაციის ხელმძღვანელები მერი მერფი და ანა დოლიძე, სხვა გამომსვლელებთან ერთად, ისაუბრებენ აღნიშნული სისტემის შესახებ, რომლის შედეგადაც ადამიანები უფრო მეტად იქნებიან დაცული წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან. გარდა ამისა, აღნიშნული სისტემა ითვალისწინებს, რომ ნებისმიერ თავისუფლებაშეზღუდულ პირს ჰქონდეს უფლება, პირდაპირ მიმართოს გაერო-ს წამების წინააღმდეგ მებრძოლ ქვეკომიტეტს. **ინტერპრესნიუსი**

# საპატრულო პოლიციას პროკურატურაში უჩივიან

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველებმა დანაშაულის კვალს რომ ვერ მიაგნეს, თავის გამართლების მიზნით, სხვა მეთოდს მიმართეს. მძღოლი რაიონის ნარკოლოგიურ განყოფილებაში წაიყვანეს. შემოწმების შედეგად, მას "სუბოტექსის" ზემოქმედების ქვეშ ყოფნა დაუდგინდა. თუმცა, დაზარალებულები ამ ფაქტსაც ეჭქვეშ აყენებენ.

**"შემოწმების შედეგები ყალბია. პატრულის და ნარკოლოგიურის თანამშრომლები ზურას წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ის ანალიზის ჩასატარებლად მოწმის გარეშე წაიყვანეს. თანაც, წინასწარ ისე გადაულაპარაკეს ერთმანეთს, რომ მივხვდი, ყველაფერი პატრულის სასარგებლოდ გაკეთდებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ექიმმა ზურას პასუხი ისე გამოუცხადა, მასზე ბედნიერი არავინ იყო,"** - იხსენებს დიანა ქაჩლიშვილი. ამის შემდეგ, ზურა იმერლიშვილს მართვის მოწმობა ჩამოართვეს და მანქანის მართვა ორი წლით აუკრძალეს. რაც შეეხება ავტომობილს, ის ჩალაუბნის საგუშაგოზე გააჩერეს. ექვსსაათიანი დაკავების შემდეგ, "დანაშაულში ეჭვმიტანილები" ჩალაუბნის საგუშაგოზე პატრულის მანქანით მიაბრძანეს, საიდანაც სახლში საკუთარი მანქანით დაბრუნდნენ.

ზურა იმერლიშვილი საგარეჯოში ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევით არ დაკმაყოფილდა და ხელახალი პროცედურა გურჯაანში გაიარა, სადაც საპირისპირო პასუხი მიიღო. თუმცა, გურჯაანის ნარკოლოგიური სამსახურის წარმომადგენლებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ იმერლიშვილი სხვა ნარკოტიკულ ნივთიერებაზე შეამოწმეს.

მოგვიანებით, მომხდარი ინციდენტის შესახებ ყველაფერი გაირკვა. როგორც დიანა ქაჩლიშვილი აცხადებს, ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე, მისი ქმრის დეიდაშვილს თელაველი თეონა გელაძე დაუახლოვდა. იგი მათ პროკურორის შვილად გაეცნო. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის პატრულთან თანამშრომლობდა.

**"მომხდარიდან რამდენიმე დღით ადრე თეონამ მე და ზურას გვთხოვა, იქნებ ლაგოდეხში წამიყვანოთო. ჩვენც უარი ვერ ვუთხარით. შემდეგ კი, დედოფლისწყაროში წასვლა მოგვთხოვა. სხვა რა გზა გვქონდა, სტუმარს გზაზე ხომ ვერ მივატოვებდით? ამის შემდეგ სახლში დავბრუნდით. თეონა იმდენად დაგვიახლოვდა, რომ ჩვენი თითქმის ყველაფერი იცოდა. ახლახან შევიტყვეთ, რომ იგი პატრულთან არაოფიციალურად თანამშრომლობდა. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ პატრულმა დაკავების დროს მითხრა, თუ ნარკორეალიზატორი არ ხარ, რა გინდოდათ ლაგოდეხელ და დედოფლისწყაროელ "ბარიგებთანო". არ გამოვრიცხავთ, რომ ყველაფერი მისი მოწყობილი იყო. მან ჩვენი თბილისში წასვლის შესახებ იცოდა,"** - ამბობს დიანა ქაჩლიშვილი.

საგარეჯოს პატრულისთვის უშედეგოდ დამთავრებული ოპერაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თეონა გელაძე თაღლითობისთვის დააკავეს. თუმცა, როგორც საპატრულო პოლიციის უფროსმა დავით ტაბუცაძემ პირად საუბარში გვითხრა, გელაძე ცრუ ინფორმაციის გამო დააკავეს.

პატრულის მუშაობით უკმაყოფილებას თელაველი თამარ ხახუტაშვილიც გამოთქვამს. ამის მიზეზი საგარეჯო-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე არსებული წრიულია, სადაც ძალზე ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები და სადაც პატრულია ჩასაფრებული.

**"თბილისიდან ჩემთვის წყნარად - სამოცით მოვდიოდი. უეცრად, რაღაც ბრახუნის ხმა მომესმა, რყევაც ვიგრძენი და მანქანა გავაჩერე. ამასობაში პატრულიც გამოჩნდა, რომელმაც გაქცევაში დამადანაშაულა. არადა, იმავე წამს როგორ გავჩერდებოდი? ფაქტობრივად, ოცი მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ დავამუხრუჭე. ისე ვიმოქმედე, როგორც ასეთი შემთხვევის დროს ნებისმიერი მძღოლი მოიქცეოდა. მანქანას მარჯვენა მხარეს ჰქონდა დარტყმული. მე, ფაქტობრივად, დამნაშავე არ ვიყავი. იმ მძღოლის ბრალი იყო, რომელიც დამეჯახა,"** - ამბობს ხახუტაშვილი და იქვე იხსენებს, თუ როგორ უჭერდა მხარს პატრული იმ მანქანის მძღოლს, რომელიც მის ავტომობილს დაეჯახა.

**"როცა ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ვითომდა დაზარალებულებმა, ჩემზე ფიზიკური ზეწოლაც მოახდინეს. თავი რომ დამეცვა, პატრულის მანქანში ჩავჯექი. მან კი გადმომაგდო და თან უცენზურო სიტყვებით შეურაცხყოფა მომაყენა. ასეთი ფაქტები მას შემდეგაც იყო, როცა ნარკოლოგიურში მიმიყვანეს და შემოწმება სცადეს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი დამიდგინეს. ცუდად გავხდი და წყალი ვითხოვე, მათ კი მიპასუხეს - გაიარ-გამოიარე და გაგივლისო. თუ მტყუანი ვიყავი, პატრული ბოლოს რატომ მაქეზებდა, ქალი არ იყო, თუ ამათ მანქანა არ გააკეთებინოო,"** - კითხულობს თამარ ხახუტაშვილი.

მართალია დაზარალებული ხახუტაშვილი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა, მაგრამ, როგორც იგი ამბობს, სამართალდამცველების ზეწოლის გამო, თავისი მანქანის შეკეთება თვითონვე ითავა. პატრულმა მას მართვის მოწმობა ჩამოართვა, რომლის დაბრუნებაც 200 ლარი დაუჯდა. მისი თქმით, მოწმობის დაბრუნებას პატრულის თანამშრომლებმა მუქარაც მიაყოლეს. **"ასე მითხრეს, თუ გვიჩივლებ, მართვის მოწმობას დაემშვიდობეო,"** - ამბობს ხახუტაშვილი.

შელახული უფლებების დასაცავად ზურაბ იმერლიშვილმა და დიანა ქაჩლიშვილმა კახეთის საოლქო პროკურატურას მიმართეს. პროკურორის მოადგილის ვაჟა მაღრაძის განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით, ძიება მიმდინარეობს. საპატრულო სამსახურის უფროსი დავით ტაბუცაძე კი მისი უწყების წინააღმდეგ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს.

**"ეს ყველაფერი ტყუილია, პროვოკაციაა და მეტი არაფერი. დანარჩენი კომენტარი თუ გინდათ, სამინისტროს პრესცენტრს მიმართეთ,"** - განაცხადა ჩვენთან სატელეფონო საუბრისას ტაბუცაძემ.

რამდენად ობიექტურად გამოიძიებს პროკურატურა მომხდარ ფაქტს, ძნელი სათქმელია, რადგან უკვე მეორე თვეა, დაზარალებულები ჩივიან, მაგრამ გამოძიებას დაკითხვაზე ჯერაც არავინ დაუბარებია. ამის გამო, ისინი დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციებს სთხოვენ.



საგარეჯოს წრიულზე განლაგებული პატრული.

# N7 საპყრობილის პატიმრებზე კანონი არ ვრცელდება

მკაცრი რეჟიმის N7 საპყრობილეში ჩატარებული მონიტორინგისას სახალხო დამცველმა პატიმართა უფლებების დარღვევის ფაქტები აღმოაჩინა. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, პატიმრები არ სარგებლობენ დღეში ერთსაათიანი გასეირნების უფლებით, რაც "პატიმრობის შესახებ" კანონით არის გათვალისწინებული. ამასთან, საპყრობილის ადმინისტრაცია არ აძლევს განსასჯელებს კანონით გათვალისწინებული სამი ხანმოკლე და ერთი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას. პატიმრებს არ აქვთ პირადი ჰიგიენის დაცვის პირობები და ჰიგიენური მოხმარების ნივთები. მათ დეკემბერში დაწყებული ამბოხის დროს ჩამოართვეს ნათლობის ჯვრები, ხატები, ლოცვის წიგნები, სანთლები და სხვა პირადი ნივთები. ამანათის სახით პატიმრები მხოლოდ წყალს, წვენსა და ხილს იღებენ.

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის აბელაშვილის ხელმოწერით მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ საპყრობილეში არსებული საყოფაცხოვრებო პირობები საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ნორმებით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს შეესაბამება. დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ხუხუას განმარტებით კი, რამდენიმე პატიმარმა უარი თქვა პაემანზე იმ მოტივით, რომ ისინი მხოლოდ 2 თვეა, რაც საპყრობილეში იმყოფებიან და მათ მიმართ ადმინისტრაციის მიერ პაემნის ნებართვა გაცემული ვერ იქნება. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ხუხუას, ბელაშვილისა და საპყრობილის დირექტორის მეგისი ქარდავას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. როგორც ომბუდსმენის აპარატში აღნიშნავენ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის ვრცელი ნუსხიდან, საპყრობილის ადმინისტრაციამ მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნა დააკმაყოფილა. **პრაიმ-ნიუსი**





**ქალაქური რომანი**

როდესაც გიყვარს, გგონია, რომ მას იცნობდი ყოველთვის. იმიტომ, რომ ისიც ანიჭებს უპირატესობას ნათელ ფერებს და სალონის მრავალფეროვან გაფორმებას. იმიტომ, რომ მასთან ერთად მარტივია და იმიტომ, რომ მასაც უყვარს თქვენი ახალი Getz და თქვენი ძველი და ულამაზესი ქალაქი მსოფლიოში

HYUNDAI Official Partner

სამოდელო რიგი: Getz $9.900-დან; Santa FE New $28.100-დან; Tucson $18.800-დან; Sonata $18.900-დან; Terracan $23.500-დან; H-1 $21.500-დან

www.hyundai.ge

HYUNDAI Drive your way

# მოასწავებს თუ არა ბასაევის საიდუმლოებით მოცული სიკვდილი ომის დასასრულს?

*ჩეჩენი საველე მეთაურის საიდუმლოებით მოცული გარდაცვალება ჩრდილოეთ კავკასიაში კონფლიქტის შესაძლო დასასრულზე მიანიშნებს.*

ტიმურ ალიევი,
ალი-იურტი, ინგუშეთი

ძებნილი ჩეჩენი საველე მეთაური შამილ ბასაევი შესაძლოა უბედური შემთხვევის წყალობით დაიღუპა და არა წინასწარ დაუგეგმავი ოპერაციის შედეგად, როგორც ამას რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსკოვისთვის ბასაევის სიკვდილი უდიდესი გამარჯვებაა. ამ მოვლენამ მალე ჩეჩნეთში შესაძლოა შეიარაღებულ კონფლიქტსაც დაუსვას წერტილი.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ეპიცენტრი ჩეჩნეთის საზღვრის მახლობლად, ინგუშეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფელი ალი-იურტი იყო. ამ ადგილზე, ვიწრო გზის გასწვრივ სახლების რიგი დგას, რომლებსაც კარ-ფანჯრებიც კი არ აქვს, ხოლო მოპირდაპირე მხარეს გორაკები, ხევი, მინდვრები და ტყეა.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელი ინგუშეთის დედაქალაქიდან – მაგასიდან მხოლოდ ხუთი კილომეტრითაა დაშორებული, იქ მაინც ცოტა ხალხი ცხოვრობს. ალი-იურტიდან პრეზიდენტის სასახლის ოქროსფერი გუმბათს დანახვა შეიძლება, საკმაოდ ახლოსაა ინგუშეთის უმთავრესი ქალაქი ნაზრანიც. 10 ივლისს, 12:30 საათზე ერთ-ერთი სახლი ძლიერმა აფეთქებამ შეარყია. აფეთქებას ავტომატის ჯერის მსგავსი ხმა მოჰყვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სახლში შენახული ხელყუმბარები აფეთქდა. პირველი აფეთქება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი ხმა ნაზრანშიც კი გაიგონეს.

ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, 10-15 წუთში შემთხვევის ადგილზე უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები მივიდნენ და ყველაფერი დალუქეს.

როგორც ადგილობრივი მილიციის თანამშრომლები აცხადებენ, ისინი ალი-იურტში ერთ-ერთი პირველები მოვიდნენ და სახლთან, სადაც აფეთქება მოხდა, შავ ტანსაცმელში ჩაცმული ოთხი მამაკაცის გვამი იპოვეს. ორი მათგანის სხეული შედარებით უვნებლად იყო შენარჩუნებული, დანარჩენი ორის კი – საკმაოდ დაზიანებული. მილიციელებმა „კამაზის“ საბარგო ავტომანქანისა და „ჟიგულის“ მარკის ორი ავტომანქანის დამწვარი ნაწილები აღმოაჩინეს.

ორი გარდაცვლილი – ტარჰან განიჟევი და ისა კუშტოვი მალევე ამოიცნეს, რადგან მათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები აღმოაჩნდათ. დანარჩენი ორი მამაკაცის ვინაობა კი გაურკვეველი რჩებოდა. წინასწარი გამოძიების მასალების თანახმად, ისინი მაშინ დაიღუპნენ, როცა ერთ-ერთ მათგანს ხელყუმბარა აუფეთქდა.

მხოლოდ დილით გავრცელდა ხმები, რომ ერთ-ერთი ამოუცნობი გვამი ცნობილ ჩეჩენ „ბოევიკს“ შამილ ბასაევს ეკუთვნოდა, რომელზეც რუსეთის ხელისუფლებას 12 წელზე მეტი. ხნის განმავლობაში ძებნა ჰქონდა გამოცხადებული.

ინგუშეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის წარმომადგენელმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ გვამს ცალი ფეხი არ ჰქონდა, ბასაევმა კი ქვედა კიდური 2000 წელს, ნაღმზე აფეთქების შედეგად დაკარგა. თუმცა ალი-იურტში მომხდარი აფეთქების ადგილზე ფეხის პროტეზი არ აღმოუჩენიათ.

მოგვიანებით, დღის 4 საათზე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ოფიციალურად მოახსენა, რომ „ინგუშეთში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს შამილ ბასაევი და სხვა ბანდიტები გაანადგურეს“.

პატრუშევის განცხადებით, ეს ,,ბოევიკები“ ინგუშეთში შეტაკების მოწყობას გეგმავდნენ.

„ისინი „დიდი რვიანის“ სამიტის წინ რუსეთის ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენის მიზნით ტერორისტული აქტებისა და საბოტაჟის მოწყობას აპირებდნენ“, – განაცხადა პატრუშევმა.

მედიის წარმომადგენლებს ბასაევის გვამი არ აჩვენეს, მაგრამ განუცხადეს, რომ იგი აფეთქების დროს მოგლეჯილი თავით ამოიცნეს. ამჟამად აცხადებენ, რომ ადამიანის სხეულის ქსოვილის ნიმუშები, რომელიც ბასაევს ჰგავდა, დნმ-ის ანალიზის ჩასატარებლად როსტოვის ლაბორატორიაშია გაგზავნილი.

გვამის ჩვენებაზე უარის თქმამ ადგილობრივ მოსახლეობაში ეჭვები მაშინვე გააჩინა.

„ბასაევი ბევრჯერ „მოკლეს“, მაგრამ იგი როგორღაც ყოველთვის ცოცხალი რჩებოდა. თავად ბასაევი ასეთ შეხვედრაზე არ წავიდოდა. ნუთუ მას დამხმარეები არ ჰყავს?“ – იკითხა ტაქსის მძღოლმა ბისლან იევლოევმა.

თუმცა იმავე დღეს ჩრდილოეთ კავკასიის უმთავრესმა ისლამისტურმა ვებ-გვერდმა „კავკაზ ცენტრმა“ ბასაევის დაღუპვის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა და მას „მოწამე გმირი“ უწოდა.

იმავდროულად, რუსეთის მედიამ ინფორმაცია გაავრცელა, რომ ბასაევი უშიშროების ძალების მიერ წინასწარ დაგეგმილი სპეცოპერაციის დროს დაიღუპა. გავრცელებული ცნობით, სატვირთო ავტომანქანა სავარაუდოდ რუსებმა აიყვანეს ან აფეთქება დისტანციური ასაფეთქებელი მოწყობილობით განხორციელდა.

საღამოს, შენობაში დარჩენილი ხელყუმბარების განადგურების შემდეგ ჟურნალისტებს აფეთქების ადგილის ნახვის უფლება მისცეს. სამხედრო ინჟინრების განცხადებით, მათ დაახლოებით 185 ხელყუმბარა გაუვნებელყვეს.

აფეთქების ადგილზე ჟურნალისტებმა განადგურებული საბარგო ავტომანქანის ლითონის ნაწილები, ხელყუმბარები და რამდენიმე სისხლიანი ბალიში ნახეს. გვერდზე მდებარე სახლი სერიოზულად დაზიანდა, ეზოს აგურის გალავანში კი დიდი ნაპრალი მოჩანდა. თუმცა აფეთქების შედეგად მიწაში გაჩენილი ორმო არსად იყო, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სატვირთო მანქანა ბოლომდე დატვირთული არ ყოფილა, აფეთქება კი ზედა და გვერდითი მიმართულებით მოხდა.

ჩეჩნეთის პრომოსკოვური ორიენტაციის პრემიერ-მინისტრი რამზან კადიროვი ამ ახალ ამბავს სიხარულით შეხვდა და მხოლოდ დანანებით თქვა – ბასაევი მე უნდა მომეკლაო.

კადიროვის განცხადებით, მეამბოხეთა ახლახან არჩეული პრეზიდენტის დოკუ უმაროვის მოკვლაღა დარჩა და ამით ომიც დამთავრდება.

ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრე მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის ამჟამად ლონდონსი მცხოვრები საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ ზაკაევი, ბასაევისგან თავს შორს იჭერდნენ. მათი განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა გაგრძელდება.

თუმცა, ბევრი ექსპერტის აზრით, ბასაევის სიკვდილი ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომარეობას ძირეულად შეცვლის.

„ბასაევი ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრე პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის დროს შექმნილი წინააღმდეგობის ფრონტის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო და ახლა ისიც მკვდარია“, – განაცხადა რადიო ,,თავისუფლების“ წარმომადგენელმა ანდრეი ბაბიცკიმ, რომელიც ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. მის მიერ გასულ წელს ბასაევთან ჩაწერილმა და ტელევიზია ABC-ის ეთერში გასულმა ინტერვიუმ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

„საქმიანობა, რომელსაც ბასაევი ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელი რესპუბლიკების სამხედრო დაჯგუფებებთან და მიწისქვეშა ორგანიზაციებთან ერთად აწარმოებდა, მნიშვნელოვნად შესუსტდება“, – განაცხადა ბაბიცკიმ.

„ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოხდება. საბოტაჟის აქტების რაოდენობა, რომლებსაც „სამხედრო ოპერაციებს“ უწოდებენ, ისედაც შემცირდა“, – დასძინა ბაბიცკიმ.

„ბასაევის ლიკვიდაციის შემდეგ ჩეჩნეთი თავისუფლად ამოისუნთქავს. გავბედავ და არ დავუჯერებ ბევრ ექსპერტს, რომლებიც კავკასიური კონფლიქტების წარსულ გამოცდილებას მახსენებენ“, – განაცხადა კავკასიის საკითხების ექსპერტმა და ნაციონალური საინფორმაციო სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ილია მაკსაკოვმა.

„ახლანდელი მდგომარეობა ძირეულად განსხვავებულია. ახმედ კადიროვმა განაცხადა, რომ ომი მაშინ დამთავრდება, როცა ცნობილი პიროვნებები ცოცხალი აღარ იქნებიანო. ახლა ყველა მათგანი განადგურებულია“, – განაცხადა მაკსაკოვმა, რომელმაც მეამბოხეთა მიერ მოკლული ჩეჩნეთის პრომოსკოვური ორიენტაციის პრეზიდენტის სიტყვები გაიხსენა.

ჩეჩენი პოლიტოლოგი ედილბეკ ხასმაგომადოვი ბასაევის არაგმირულ სიკვდილში, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, ცოცხალი ლეგენდა გამხდარიყო, მეამბოხეთა „უზენაეს სამართალს“ ხედავს.

ხასმაგომადოვის აზრით, ბასაევის რეპუტაცია მისივე მიერ წარმოებული პი არ კამპანიის შედეგი იყო.

„ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ყველა გახმაურებული ტერორისტული აქტი, რომლებზეც მან პასუხისმგებლობა აიღო, თავიდანვე დაგეგმილი იყო, როგორც ბასაევისა და მისი შესაძლებლობების პროპაგანდა“, – განაცხადა პოლიტოლოგმა.

ხასმაგომადოვის ვარაუდით, დანარჩენი მეამბოხეები აწ გარდაცვლილი საველე მეთაურის საქმიანობას გააგრძელებენ.

„ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილურობის მიზეზი ბასაევი არ ყოფილა. იგი უბრალოდ თავის სასარგებლოდ იყენებდა არსებულ სიტუაციას, მაგრამ ამგვარი მდგომარეობა თვითონ არ შეუქმნია“, – დასძინა ხოსმაგომადოვმა.

ჩეჩნეთში ბასაევის გარდაცვალების გამო მწუხარებას ცოტა ვინმე თუ გამოხატავს.

გროზნოს მკვიდრის, 34 წლის ბუღალტერის ლუიზა ასაევას თქმით, დამოუკიდებლობის მომხრე სხვა ლიდერების, ყოფილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვისა და ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის სიკვდილმა მასზე იმოქმედა, ბასაევის სიკვდილს კი იგივე რეაქცია არ გამოუწვევია.

„მასხადოვის სიკვდილი, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, გულთან ახლოს მივიტანე. იგივე მოხდა მაშინაც, როცა გელაევი დაიღუპა. ვფიქრობ, მასთან შეთანხმება რომ მომხდარიყო, ძალიან კარგი იქნებოდა. თუმცა ბასაევის გარდაცვალების შესახებ რომ გავიგე, მის მიმართ რაიმე ადამიანური თანაგრძნობა არ გაჩენია“, – გვითხრა ლუიზამ.

ასაევას განცხადებით, ბასაევის სიკვდილი კონფლიქტის დასასრულს ნიშნავს.

„ომი ისედაც თითქმის შეჩერებულია, ეს კი ბოლო წერტილია. არც ერთ მეამბოხე ლიდერს ბასაევის მსგავსი პოზიცია, დონე და უარყოფითი ავტორიტეტი არ აქვს“, – გვითხრა ლუიზამ.

„მეორე ბასაევი აღარ იქნება“, – დასძინა მან.

ტიმურ ალიევი, IWPR -ის კოორდინატორი ჩეჩნეთში, ნაზრანი

# ბასაევი: ბუნტისთავობიდან ექსტრემიზმამდე

*როგორ იქცა რადიკალი სტუდენტი სასტიკ საველე მეთაურად.*

თომას დე ვაალი,
ლონდონი

შამილ ბასაევი საშინელი დანაშაულების ჩამდენ ადამიანს არ ჰგავდა. ყოველთვის რბილად საუბრობდა და თავისი მრგვალი შუბლით, ხშირი წვერითა და გრძელი რუსული ფრაზებით შესაძლოა ვინმეს მოსკოველი ინტელექტუალიც ჰგონებოდა. მას საშიში გარეგნობა არ ჰქონია, თუმცა ასეთი მასშტაბითა და რაოდენობით ხალხის ტერორიზება ისტორიაში ცოტას თუ მოუხერხებია.

ბასაევი თავისი რეპუტაციით მანიპულირებდა და კრემლის მიერ მისი დაკავების ამაო მცდელობებს გარკვეულ თამაშად აღიქვამდა. ბოლო წლების განმავლობაში მიცემულ იშვიათ ინტერვიუებში ბასაევი მიანიშნებდა, რომ საშიში ტერორისტის ტიტული მოსწონდა.

თავისი სისხლიანი კარიერის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე საზარელი ოპერაციების (დუბროვკის თეატრსა და ბესლანის პირველი საშუალო სკოლაზე თავდასხმის) დაგეგმვის შემდეგ ბასაევმა ტერორისტის რეპუტაცია კიდევ უფრო გაიმყარა.

ბასაევი დეტალურად გეგმავდა ოპერაციებს და კრემლში თავისი მტრების დასამცირებლად საზოგადოებრივი ყურადღების მაქსიმალურად მიპყრობას ცდილობდა.

ბასაევის ისლამისტ მებრძოლად მოხსენიება კორექტული არ იქნებოდა. მისი ისტორია გარუსებული ჩეჩენის ბიოგრაფიაა, რომელმაც საკუთარ თავში ძლიერი ნაციონალიზმის გრძნობის გაღვივების შემდეგ ნებისმიერი ძალის მორჩილებაზე უარი განაცხადა. რადიკალი სტუდენტის იდეალი ჩე გევარა იყო. მას ცნობილი რევოლუციონერის პლაკატი კედელზეც ჰქონდა გაკრული.

ბასაევი 1965 წელს, ტრადიციულად მებრძოლი სულისკვეთების მქონე სოფელ ვედენოში დაიბადა. ვედენო XIX საუკუნეში დიდი დაღესტნელი მებრძოლის იმამ შამილის უმთავრეს საყრდენ წერტილს წარმოადგენდა.

ბასაევის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, მისი ოჯახი ყაზახეთიდან დაბრუნდა, სადაც ჩეჩნები სტალინმა მასობრივად გადაასახლა. ცნობილია, რომ ბირთვული ცდების შედეგად, რომლებიც იმ დროს ყაზახეთში ხორციელდებოდა, ბასაევის ნათესავები დაავადნენ კიდეც.

შამილ ბასაევი მოსკოვში სწავლობდა, სადაც მისი ერთ-ერთი მასწავლებელი კონსტანტინ ბოროვოი იყო. მოგვიანებით ეს უკანასკნელი ცნობილი მეწარმე და პოლიტიკოსი გახდა. 1991 წლის აგვისტოში, ბასაევი მიტინგებში მონაწილეობდა – დემოკრატიის მომხრეები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შესაჩერებლად მოსკოვში თეთრ სახლს იცავდნენ.

1991 წლის ნოემბერში ბასაევმა საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობის მიზნით თვითმფრინავი გაიტაცა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა მოითხოვა. მოგვიანებით მან ყველა მგზავრი უვნებლად გაათავისუფლა.

ამის შემდეგ ბასაევი პროფესიონალი მებრძოლი გახდა და შეიძლება ითქვას, ვერ ისვენებდა, თუ სადმე ვინმეს არ ებრძოდა. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დროს იგი აზერბაიჯანის მხარეს იბრძოდა. მან 1992 წლის მაისში სომხების მიერ ალყაში მოქცეული შუშა ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა.

მოგვიანებით, ბასაევი აფხაზეთში გადავიდა, სადაც აფხაზების დასახმარებლად შექმნილ მოხალისეთა კოალიციას შეუერთდა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიელებისაგან და რუსი ოფიცრებისაგან შედგებოდა. აფხაზეთში, სადაც დღესაც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. თუმცა ამჟამად მკვეთრი პრორუსული ორიენტაციის მქონე რეგიონში მის მიმართ სიმპატიას ღიად არ გამოხატავენ. სწორედ ამ დროიდან გაჩნდა ეჭვები ბასაევის რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია ფაქტებით არასდროს დადასტურებულა.

ბასაევმა მოწოდებას საბოლოოდ მაშინ მიაგნო, როცა 1994 წლის დეკემბერში ბორის ელცინმა ჩეჩნეთში ჯარი შეიყვანა. ბასაევი 1994-96 წლებში მიმდინარე ყველა უმთავრეს ბრძოლაში, მათ შორის 1996 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარისგან გროზნოს გათავისუფლების ოსტატურად დაგეგმილ ოპერაციაშიც მონაწილეობდა.

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ოპერაციის – 1995 წლის ივნისში რუსეთის სამხრეთ ნაწილში ქალაქ ბუდიონოვსკის საავადმყოფოზე თავდასხმის დროს ბასაევი სიკვდილს სასწაულით გადაურჩა. რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ტლანქად განხორციელებული შეტევის შემდეგ, რომელსაც ასამდე ადამიანის დაღუპვა მოჰყვა, რუსეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა თავდამსხმელებთან მოლაპარაკება აწარმოა. მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ პრემიერ-მინისტრი ბასაევისა და მისი ხალხისთვის თავისუფალი კორიდორის შექმნას დათანხმდა.

რუსეთში ბასაევი სისხლისმსმელ ტერორისტად აღიქმებოდა, თუმცა ჩეჩნეთში მას ბევრი გმირად მიიჩნევდა.

მას შემდეგ, რაც ვედენოს მახლობლად განხორციელებული დაბომბვის დროს ბასაევის ოჯახის 11 წევრი დაიღუპა, მას ბრძოლის ახალი მოტივი გაუჩნდა. ბასაევს ჩეჩნეთში ღრმად ფესვგადგმული ტრადიცია – სისხლის აღების წყურვილი ამოძრავებდა. ვისაც მასთან იმ დროს უსაუბრია, აღნიშნავს, რომ ბასაევს ფსიქიური აშლილობის ნიშნები ჰქონდა. გაზეთ „ობზერვერის“ ყოფილი კორესპონდენტი მოსკოვში, ბრიტანელი ჟურნალისტი ვიქტორია კლარკი ჩეჩნეთის მთებში ბასაევთან ჩაწერილ ინტერვიუს იხსენებს. ინტერვიუ 1995 წელს შედგა, როცა ეს უკანასკნელი პოპულარობის ზენიტში იყო.

„მთებში, სადაც იგი გველოდებოდა, ჩუმად წაგვიყვანეს. მთელი ღამის განმავლობაში შეუჩერებლად საუბრობდა. ხოლო როცა მან კრემლზე რადიოაქტიური მტვერის ჩამოყრის შესახებ დაიწყო საუბარი, საკუთარ თავზე კონტროლი საერთოდ დაკარგა“, – ამბობს კლარკი.

ინტერვიუს დროს ბასაევმა რუსეთის ისტორიის მიმართ უცნაური, შეიძლება ითქვას, მანიაკური ინტერესი გამოავლინა.

„რუსეთის სიმბოლო – ორთავიანი არწივი საშინელი ბოროტების გამოხატულებაა. ასე ცხოვრება არც ერთ სულიერს არ შეუძლია, ამიტომ სხვა ერების სისხლი უნდა გამოწოვოს“, – უთხრა ბასაევმა კლარკს.

1997 წლის იანვარში ბასაევი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როცა ჩეჩნეთის პრეზიდენტის არჩევნებში (ეს ერთადერთი არჩევნები იყო ჩეჩნეთის ისტორიაში, რომელსაც საერთაშორისო დამკვირვებლები აკვირდებოდნენ) ხმათა ერთი მეოთხედი მოიპოვა. მაგრამ მას შემდეგ, რაც დე ფაქტო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩეჩნეთი ნგრევის ქაოსში ჩაიძირა, ბასაევის რეპუტაციამ მალე მსხვრევა დაიწყო. მასსა და მის თანამებრძოლებს კორუფციასა და ადამიანთა გატაცებებში ადანაშაულებდნენ. არაბ ჯიჰადისტთან ემირ ხატაბთან ალიანსის შექმნის შემდეგ ბასაევს ის ჩეჩნები განუდგნენ, რომლებიც კონფლიქტით დაიღალნენ და მოსკოვთან გონივრულ მოლაპარაკებაზე წასვლას ამჯობინებდნენ.

როგორც ჩანს, ბასაევს მოსწონდა, როცა რუსეთის №1 მტრად აცხადებდნენ, თუმცა მისმა ასეთმა სტერეოტიპულმა დამოკიდებულებამ ფატალური შედეგი გამოიღო. 1999 წელს თავისი მეტოქის – პრეზიდენტ ასლან მასხადოვის სურვილის საწინააღმდეგოდ ბასაევმა ხატაბთან ერთად მეზობელ დაღესტნის რესპუბლიკაში შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო. ეს რუსეთის ახლადდანიშნული პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის დაღესტანში ჩაფრენისა და ჩეჩნეთში ომის განახლების მიზეზი გახდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებისას ბასაევმა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოდან გაქცევის დროს დანაღმულ მინდორზე აფეთქდა და ფეხი დაკარგა. თუმცა ამით ჩეჩენ რადიკალებს შორის მითიური მებრძოლის რეპუტაცია კიდევ უფრო გაიმყარა. ბევრს სჯეროდა, რომ სიკვდილის დამარცხება შეეძლო. ბევრის გასაოცრად, ამ შემთხვევის შემდეგ ბასაევმა კიდევ ექვსი წელი იცოცხლა და საკუთარ თავზე მთავარი ისლამისტი რადიკალის როლის აღების შემდეგ გაცილებით უფრო ზომიერი მასხადოვი დაჩრდილა.

კრემლის მასხრად ასაგდებად ბასაევი ინტერნეტს იყენებდა და სიამაყით აცხადებდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისუფლად გადაადგილდებოდა. უფრო მეტიც, კრასნოდარის რეგიონში მცხოვრებ რუსი ეროვნების ქალზე იგი მესამედ დაქორწინდა. დუბროვკის თეატრსა და ბესლანის სკოლაზე განხორციელებულმა თავდასხმებმა დაადასტურა, რომ ბასაევი რუსეთის ნებისმიერ წერტილში თავდასხმის მოსაწყობად მზად იყო. ბესლანის სკოლაში 330 ადამიანის დაღუპვამ იმ ადამიანის საბოლოო დაკნინება გამოაჩინა, რომელიც ერთ დროს თავს დემოკრატად აცხადებდა.

ბასაევი ნიჭიერი მებრძოლი და ბრწყინვალე პროპაგანდისტი, ამავე დროს ძალიან უცნაური და ბოროტი ადამიანი იყო. მის გარდაცვალებას ძალიან ცოტა იგლოვებს. ჩეჩნების ძირითადი ნაწილი კი შვებით ამოისუნთქებს. ადამიანი, რომელიც მათ რეპუტაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით ლახავდა, მკვდარია.

თომას დე ვაალი, IWPR-ის კავკასიის პროგრამის რედაქტორი.

# აზერბაიჯანელი მეთევზეები თევზჭერაზე დაწესებულ აკრძალვას არ ემორჩილებიან

*აზერბაიჯანში უკანონო თევზჭერა და ზღვის პროდუქტებით ვაჭრობა გრძელდება, ხელისუფლება კი ბრაკონიერობის აღსაკვეთად ქმედით ზომებს არ იღებს.*

იდრაკ აბასოვი, ლენქორანი-ნარდარანი-ბაქო



ჩვენი ავტომანქანა ნელი სვლით უახლოვდებოდა აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილისკენ მიმავალი გზის მოსახვევს, როცა გაცვეთილ ტანსაცმელში გამოწყობილმა ხუთმა მამაკაცმა ალყა შემოგვარტყა. თითოეულ მათგანს ხელში უზარმაზარი, 70-80 სანტიმეტრის სიგრძის თევზი ეჭირა.

„თითო 10 შირვანად (20 დოლარი)“, – დაიყვირეს გამყიდველებმა. მათ გვითხრეს, რომ თითო თევზი დაახლოებით 3-დან 3,5 კილოგრამამდე იწონიდა და ფასის დაკლებაც შეიძლებოდა.

თევზის გამყიდველებს 15 ივნისს, ბაქოდან 300 კილომეტრის მოშორებით მდებარე ლენქორანის ოლქის სოფელ გუმბაშში შევხვდით, რომელიც კასპიის ზღვის სანაპიროზეა განლაგებული.

აზერბაიჯანელები ზუთხის ჭერაზე სახელმწიფოს მიერ დაწესებულ აკრძალვას არ ემორჩილებიან. ზუთხის ჭერა მას შემდეგ აიკრძალა, რაც გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნასა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციის სამდივნომ (CITES) მიმდინარე წლის დასაწყისში კასპიის ზღვისპირეთის ოთხ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ზუთხისა და ზუთხის პროდუქტებზე საექსპორტო კვოტების გაცემაზე უარი განუცხადა.

CITES-ის განცხადებით, ექსპორტის აკრძალვა აუცილებელი ზომა იყო კასპიის ზღვის დაბინძურების თავიდან აცილების, ზუთხის რაოდენობის გაზრდისა და ბრაკონიერობასთან ბრძოლისთვის.

„ხიზილალით უკანონო ვაჭრობა არა მარტო ზუთხის რაოდენობაზე აისახება, არამედ ხიზილალით კანონიერი ვაჭრობის განვითარებას უქმნის საფრთხეს“, – განაცხადა ევროპის კომისიის გარემოს დაცვითი სფეროს უფროსმა თანამშრომელმა ჰიუგო მარია შალიმ.

CITES-ის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ხიზილალით ვაჭრობის წლიური ბრუნვა 300-450 მილიონ ევროს შეადგენს. თუმცა, ორგანიზაციის განცხადებით, დიდი რაოდენობით ხიზილალა შავ ბაზარზე არალეგალურად იყიდება. ამიტომ, სავარაუდოდ, სინამდვილეში წლიური ბრუნვა გაცილებით უფრო დიდია.

სოფელ გუმბაშის გამყიდველებმა, რომლებმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს, განაცხადეს, რომ მათ თევზი ბრაკონიერებისგან შეიძინეს. მათი ადგილსამყოფელი არ გვითხრეს, თუმცა ბრაკონიერების მონახვა საკმაოდ იოლი აღმოჩნდა. ლენქორანის სანაპიროზე სეირნობისას შეგიძლიათ დაინახოთ, რომ მეთევზეები მთელ ოჯახებით გამოდიან და ზღვაში თევზა ბადეებით იჭერენ.

ალიმარდანს ბაქოდან ჩამოსული მდიდარი მყიდველი ვეგონე და ზუთხი ოთხ დოლარად, ზუთხისებრთა სახეობის სხვა თევზი კი ცოტა ნაკლებ ფასად შემომთავაზა. დაჟინებით განაცხადა, რომ შავი ხიზილალა არ ჰქონდა.

„აქ პატარა თევზს ვიჭერთ. ხიზილალას კი დიდი თევზი იძლევა, რომლის დასაჭერად ზღვაში ღრმად შეცურვაა საჭირო. ჩვენი ნავები კი პატარაა და დიდ მანძილზე შესვლა არ შეგვიძლია“, – გვითხრა ალიმარდანმა.

როცა გაიგო, რომ არა პოტენციური მყიდველი, არამედ ჟურნალისტი ვიყავი, მითხრა – თევზი, რომლის ყიდვასაც გთავაზობდი, სხვისი საკუთრება იყოო. თუმცა ,,სხვისი” სახელი არ გაამხილა. შემდეგ კი ალიმარდანმა ჩვენთან საუბრის გაგრძელებაზე საერთოდ უარი განაცხადა და მხოლოდ ის აღიარა, რომ მას თევზის სხვა სახეობის დასაჭერად საჭირო ლიცენზიაც არ ჰქონდა.

„ბაქოდან ჩამოსული ინსპექტორის შესახებ“ ხმა ადგილობრივ მეთევზეებში მაშინვე გავრცელდა. ამის შემდეგ ჩვენთან საუბარს ყველა გაურბოდა.

იგივე განმეორდა სანაპიროზე მდებარე სხვა სოფელში, ნარდარანშიც, რომელიც ბაქოდან 35 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. თუმცა ამ სოფლის მაცხოვრებლებლი ლენქორანელებთან შედარებით გაცილებით გაბედულები აღმოჩნდნენ.

ალიმამედი ძირითადად საზანს იჭერს, თუმცა, ხანდახან მის ბადეში ზუთხიც ხვდება.

„ზღვაში გასვლის შემდეგ ხშირად უკან ხელცარიელი ვბრუნდებით. ზღვაში თევზი აღარ დარჩა და არასდროს იცი, მოხვდება თუ არა ზუთხი შენს ბადეში. ეს ყველაფერი ლატარიას ჰგავს“, – გვითხრა ალიმამედმა.

ალიმამედს სჯერა, რომ თევზის დასაჭერად ნებართვის აღება არ სჭირდება, რადგან როგორც თავად ამბობს, ზღვა ვინმეს კერძო საკუთრება არ არის. ალიმამედის ბაბუა და მამა თავს თევზაობით ირჩენდნენ და ისიც ამ ტრადიციას აგრძელებს.

ბევრ რიგით მოქალაქეს სჯერა, რომ ბრაკონიერები ოფიციალურ პირებს ქრთამს სთავაზობენ, თუმცა, ჩვენთან საუბრისას ეს ინფორმაცია არც ერთმა მეთევზემ არ დაადასტურა.

„ჩვენ ის ხალხი არ ვართ, რომელიც ვინმეს ქრთამს მისცემს. ჩვენ კაცები ვართ და კაცურად ვცხოვრობთ. ვის აქვს უფლება, რაიმე მომთხოვოს? ჩვენი ნავთობი უკვე წაგვართვეს და ახლა თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება თევზია“, – გვითხრა ალიმამედმა.

თევზჭერაზე დაწესებული აკრძალვის შედეგად, ბაქოს ბაზრებიდან აზერბაიჯანში მოპოვებული თევზი გაქრა.

„ახლა ზუთხის ნახვა ძალიან ძნელია. მილიცია კი კიდევ უფრო ართულებს ყველაფერს“, – განაცხადა თეზეს ბაზრის გამყიდველმა საბირ შიხალიევმა.

შიხალიევი თევზისა და შავი ხიზილალას „შავი ბაზრის“ ფასებშიც კარგად ერკვევა.

მისი თქმით, ზუთხი ყველაზე იაფად ლენქორანსა და რამდენიმე სხვა რეგიონში იყიდება, კილოგრამი თევზის საბითუმო ფასი 5 დოლარი, საცალო ფასი კი 7 დოლარია. ხიზილალას საბითუმო ფასი 230 დოლარია, ხოლო საცალო ფასი – 350 დოლარი. ბაქოში ფასები 20-50 პროცენტით უფრო მაღალია.

მთავრობის მიერ დაწესებული აკრძალვის მიუხედავად, კასპიის ზღვისპირეთის სანაპიროზე მეთევზეები ზუთხის დაჭერასა და შავი ხიზილალას გაყიდვას მაინც აგრძელებენ.

„ბრაკონიერობის აღსაკვეთად სერიოზულ ზომებს ვიღებთ. სხვაგვარად ზღვაში თევზი ორ დღეში გაქრებოდა“, – განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს წყლის ტრანსპორტის პოლიციის წარმომადგენელმა.

თუმცა სამინისტროს დაკავებული ბრაკონიერების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ გააჩნია, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოსადგენი ანგარიში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია.

აზერბაიჯანის ბიორესურსებით სარგებლობის რეგულირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გაჰრამან ზაჰიდლი ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით CITES-ის მოყვანილ არგუმენტაციას ეჭვქვეშ აყენებს.

ზაჰიდლის განცხადებით, კასპიის ზღვის აზერბაიჯანული მონაკვეთი დაბინძურებული არ არის და ნავთობკომპანიები აქ უახლეს, ყველაზე უსაფრთხო ტექნიკას იყენებენ. ხელისუფლება ბრაკონიერობის აღსაკვეთად და ზუთხის რაოდენობის გასაზრდელად ყველა აუცილებელ ზომას იღებს. მისი განცხადებით, ლენქორანში, ნეფტჩალსა და ალიბაირამლიში თევზსაშენი ცენტრები აქტიურად მუშაობენ ზუთხის რაოდენობის გასაზრდელად.

თუმცა, აზერბაიჯანის ეკოლოგიური პროგნოზირების ეროვნული ცენტრის დირექტორი ტელმან ზეინალოვი ნაკლებად ვარდისფერ სურათს ხატავს. იგი CITES-ის მიერ ინიცირებულ შეზღუდვასა და მთავრობის მიერ დაწესებულ აკრძალვას მხარს უჭერს.

„კანონს მხოლოდ ირანში იცავენ და შესაბამისად, სახელმწიფო და რიგითი მოსახლეობა ბუნებას ცივილიზებულად ექცევა. იქ ბრაკონიერები ფაქტობრივად არ არიან, ხოლო ზღვაში ბინძური წყალი ან ქიმიური ნივთიერებები არ ჩაედინება. კასპიის ზღვისპირეთის სხვა ქვეყნები კი ამ სტანდარტებს არ იცავენ“, – აღნიშნა ზეინალოვმა.

ზეინალოვის განცხადებით, ბრაკონიერობა და კასპიის ზღვის დაბინძურება, რის მიზეზიც ნავთობისა და გაზის მოპოვების პროცესთან ერთად, აგრეთვე სამრეწველო ქარხნების, მათ შორის სუმგაითის ქლორის ქარხნის სამრეწველო ნარჩენები ზუთხისებრთა განადგურებას იწვევს.

„ამჟამად კასპიის ზღვის დაბინძურების დონე დასაშვებ ნორმებს ათჯერ ან თხუთმეტჯერ აღემატება. ეს ქიმიური ნივთიერებები არა მარტო ზუთხს, არამედ სხვა ჯიშებსაც ანადგურებს. მაგალითად, ზუთხი ქარხალით იკვებება, ეს სახეობა კი ამ ადგილებში უკვე აღარ არსებობს, განადგურებულია“, – განაცხადა ზეინალოვმა.

# Αγορά



აგორა ძველბერძნულად მოედანს ნიშნავს. მოგვიანებით მან სახალხო კრების მნიშვნელობა შეიძინა. ბერძნული მოედნები და მათი არქიტექტურა ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ აგორა, განსაკუთრებით ათენში, სხვა მიზეზით გახდა ცნობილი. იქ ხალხი იკრიბებოდა და მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდა. რაც მთავარია, ერთმანეთს ყურს უგდებდნენ და ჭკვიანი თანამოქალაქეების აზრებს ხელისუფალნიც ითვალისწინებდნენ. გონიერი ხალხი დღესაც ბევრი გვყავს, საკითხავია, ვინ როგორ ეკიდება მათ სიტყვებს. ჩვენი აგორა - გაზეთის ერთი მონაკვეთია. ვერ შეგპირდებით, რომ აქ ამოკითხულ მოსაზრებებს უკლებლივ ყველა გაიზიარებს, მაგრამ გპირდებით, სწორედ იმ ავტორებთან ვითანამშრომლებთ, ვისი აზრიც გასათვალისწინებელია. მაშ ასე, აგორაზე გეპატიჟებით.

დაგვიკავშირდით:
ელ-ფოსტით sophiotodua@yahoo.com

# ნადირობა კოსმოსურ სხივებზე

## ფართო ატმოსფერული ღვარები

მანანა სვანიძე
ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ჩვენი გალაქტიკიდან და არამარტო, შორეული კოსმოსური ობიექტებიდან მოსული მაღალენერგიული ნაწილაკები დედამიწის ატმოსფეროში შემოსვლისას მის შემადგენელ აირის ატომის ბირთვებთან ურთიერთქმედებით წარმოქმნიან ე.წ. ფართო ატმოსფერულ ღვარებს. ფართოს იმიტომ, რომ ღვარი ატმოსფეროში ასეული კილომეტრის რადიუსში იშლება. მეცნიერები კი, ამ ბუნებრივ მოვლენას მატერიის ფუნდამენტური კვლევებისათვის იყენებენ. მაღალენერგიულ ნაწილაკს უნარი აქვს შეაღწიოს მატერიის უმცირეს სტრუქტურაში და იგრძნოს მისი ქაკუთხედი. ამისათვის მეცნიერები, მაღალი ენერგიების ფიზიკოსები, ცდილობენ ხელოვნურად ააჩქარონ ნაწილაკები, ისეთ ენერგიებამდე, რომ ჩაწვდნენ მატერიის უმარტივეს "აგურს". მეცნიერების მცდელობის მიუხედავად ხელოვნურად აჩქარებული ნაწილაკის ენერგია მხოლოდ 1015ევ-ს მიაღწევს, მას მერე რაც შვეიცარიაში CERN-ის ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში 2007 წლისათვის ამუშავდება დიდი ადრონული კოლაიდერი (LHC). ეს გრანდიოზული დანადგარი მთელი მსოფლიოს მეცნიერების და მრავალი ქვეყნის ფინანსური ძალისხმევით ხორციელდება. ამ მეცნიერთა რიგებში მრავალი ქართველი ფიზიკოსია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მის შექმნაში.

ამჩქარებლებს თავისი პოტენციური შესაძლებლობებით უპირისპირდება თვით ბუნება. კოსმოსური ობიექტებიდან მოსულ ნაწილაკებს, რომელთა ენერგია 1020ევ-ს აღწევს, თუ "ჭკვიანურ" დეტექტორს დავახვედრებთ უფრო მეტ ინფორმაციას "გამოვტყუებთ".

მეცნიერებას, რომელიც ფუნდამუნტური კვლევების ასეთ გზას დაადგა კოსმოსური სხივების ფიზიკა ჰქვია და იგი დასაბამს 1912 წლიდან იღებს. ამ ფენომენის აღმომჩენი ვიქტორ ჰესე იყო. 1938 წელს კი პიერ ოჟემ ალპებში კოსმოსურ სხივებზე დაკვირვებით "ფართო ატმოსფერული ღვარის" ცნება შემოიტანა. ფართო ატმოსფერული ღვარი, ეს ბირთვულ-ელექტრომაგნიტური ნაწილაკების კასკადია, რომელსაც ანვითარებს კოსმოსიდან დედამიწაზე შემოჭრილი ზემაღალი ენერგიის მქონე ე.წ. პირველადი კოსმოსური ნაწილაკი. ასეთი ღვარის შესწავლა იძლევა ინფორმაციას პირველადი კოსმოსური ნაწილაკის წარმოშობის წყაროზე, გალაქტიკათშორის და ვარსკვლავთშორის სივრცეზე, რომელსაც ის გადის წყაროდან დედამიწამდე, და აგრეთვე თვით ბირთვული ურთიერთქმედების მექანიზმზე.

პირველადი კოსმოსური სხივების დაკვირვებული ენერგეტიკული სპექტრი 109-1021 ევ-ის ინტერვალშია. გამოთვლებით კი კოსმოსური სხივები ენერგიით 5*1019 ევ-ის ზევით უნდა კარგავდეს ენერგიას შორეული წყაროდან მანძილის დაფარვისას და ამ ენერგიის ნაწილაკი დედამიწამდე არ უნდა აღწევდეს. ახლომდებარე გალაქტიკებში კი ასეთი წყარო არ დაიკვირვება. მიუხედავად ამისა ექსპერიმენტი აჩვენებს, რომ ამ ლიმიტის ზემოთ ნაწილაკები არსებობენ. ეს შეუთანხლებლობა კოსმოსური სხივების პარადოქსის სახელითაა ცნობილი. ამ პარადოქსის ამოსახსნელად მეცნიერებმა მრავალ კითხვას უნდა გასცენ პასუხი. მათ შორის: სად შეიძლება წარმოშობილიყო ასეთი მაღალი ენერგიის ნაწილაკი, როგორ აღწევენ ასეთ მაღალ ენერგიას და როგორ პოულობენ გზას დედამიწისაკენ? არიან თუ არა ისინი ადრეული სამყაროს გადარჩენილი ნაწილაკები?

ექსტრემალური ენერგიის მოვლენას შეუძლია ახსნას კოსმოსური სხივების უდიდესი მისტერია და დაადგინოს როგორ მუშაობს სამყარო. ამ ენერგიის ნაწილაკების ურთიერთქმედება ატმოსფეროს აირის ატომის ბირთვებთან შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ ისეთი ეგზოტიკური მოვლენები, როგორიცაა ექსტრა-განზომილებები და მინი შავი ორმოების წარმოშობა. მათ ასახსნელად საჭიროა განსხვავებული მიდგომა. ამ მიმართულებითაც მრავალი ქართველი თეორეტიკოსი მოღვაწეობს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში.

კოსმოსური სხივების ფიზიკა ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში სათავეს გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს. ამ რომანტიული მეცნიერების პიონერები საქართველოში ჯერ კიდევ 1935-1938 წლებში იყვნენ თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკოსები ბ. ყიზილბაშის, დ. კეთილაძის და გ. მირიანაშვილის შემადგენლობით. 1950 წელს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების შემსწავლელი ქართული ექსპედიცია მოეწყო კავკასიონზე ელბრუსის მთაზე (3950 მ. ზღვის დონიდან), სადაც სულ ახალგაზრდა მეცნიერებმა დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს კოსმოსიდან მოსულ მაღალენერგიულ ნაწილაკებზე "ნადირობა". ელბრუსზე 5 ლიტრიან ვილსონის კამერამ დააფიქსირა ორკაპა კვალის ოთხი შემთხვევა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კამერაში დაიშალა უცნაური ნაწილაკი. იმ დროს საბჭოთა კავშირში უცნაური ნაწილაკი ჯერ არსად არ იყო რეგისტრირებული და დიდი სენსაცია იყო. ასეთმა წარმატებამ ე. ანდრონიკაშვილს საშუალება მისცა ესარგებლა მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირში კოსმოსური სხივების ფიზიკის განვითარების შესახებ და მოიპოვა სახსრები ამ მიმართულების განსავითარებლად საქართველოში. ვაკე-საბურთალოს გასასვლელში ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი შენობაც ამ წარმატების შედეგი იყო. შენობა, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობად იქცა, მკვლევარებისათვის კი მეცნიერების კერად.




საქართველოში, ფიზიკის ინსტიტუტის თაოსნობით დაიწყო კოსმოსური სხივების კვლევის ერა. 60-იან წლებში აშენდა იმ დროისათვის გრანდიოზული, მაღალმთიანი კოსმოსური სხივების ლაბორატირია ცხრა-წყაროს უღელტეხილზე (2700მ.ზ.დ. ბაკურიანის მიდამოებში), რომელსაც შემდგომ მსოფლიოში ცნობილი ფიზიკოსის გიორგი ჩიქოვანის სახელი მიენიჭა. პარალელურად ამოქმედდა მიონების ლაბორატორია, რომელმაც ბინა დაიდო თბილისის ბოტანიკური ბაღის მთის ძირში, სადაც სპეციალურად ლაბორატორიისათვის გაითხარა 150 მეტრიანი გვირაბი. მიონი ფართო ატმოსფერული ღვარების გამჭოლი კომპონენტია, რომლის დაფიქსირება მხოლოდ სიღრმეში ხერხდება.

70-იანი წლებში კი ფიზიკის ინსტიტუტის კოსმოსური სხივების ლაბორატირია ნინო როინიშვილის ხელმძღვანელობით შევიდა საერთაშორისო კოლაბორაცია "პამირში". ექსპედიციები პამირში, თბილისიდან აკარხარამდე სამხედრო მანქანით მგზავრობა, "კოსმიკების" გარდა მრავალი ადამიანისათვის იქცა რომანტიულ ხანად. აკარხარა - პამირის მთებში პლატოს სახელია 4370 მ.ზღვის დონიდან, სადაც განლაგებული იყო ექსპერიმენტ "პამირის" დანადგარი.

კოსმოსური სხივების ფიზიკა, როგორც ხედავთ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულება იყო საქართველოში და საქართველოს "კოსმიკებმა" მოიწვევებს ნამცვანი ადგილი დაიკავეს კოსმოსური სხივების ფიზიკის მსოფლიო მეცნიერულ მონაპოვარში. დღეისათვის კოსმოსური სხივების ფიზიკა საქართველოში სტაგნაციის პერიოდშია, მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი აღვადგინოთ ტრადიცია. შანსს კი გვაძლევს ძველი თაობის მეცნიერული აქტიურობა, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩათ ამ დარგის სილამაზისა და რომანტიზმის შეგრძნების ცეცხლოვანი ნაპერწკალი. ეს აქტიურობა კი უნდა მივმართოთ ახალგაზდრებისაკენ, მათი ამ დარგისადმი ინტერესის გასაღვივებლად.

დღეს მსოფლიოში, თავისი მეთოდური მიდგომით მრავალი სხვადასხვა ტიპის ექსპერიმენტი ფუნქციონირებს კოსმოსური სხივების კვლევებისათვის და მრავალიც იგეგმება თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით. საქართველოს "კოსმიკოსების" მიზანია ჩავებათ კოსმოსური სხივების შესწავლის უახლესი ექსპერიმენტების ფერხულში. ამის საშუალებას კი ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ინტელექტუალური პოტენციალი იძლევა. საჭიროა ძალისხმევა, ხოლო მხარდაჭერის იმედს, ყოველგვარი თანამშრომლობის ფორმით გვაძლევენ ჩვენი ინსტიტუტის ფიზიკოსები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო ცენტრებში. რასაკვირველია საჩუქის ეტაპზე ვიმედოვნებთ სახელმწიფოსაგან ფინანსურ ხელშეწყობას, რაც ჩვენი ქვეყანასათვის არსებულ პირობებში შესაძლებელი და შემდგომ კი იმ საერთაშორისო გრანტების იმედით, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით მრავლად არსებობს მეცნიერების წინსვლისათვის.

ჩვენი, საქართველოს "კოსმიკოსების", სურვილი და იდეა გააღვივა ამჟამად საფრანგეთში მოღვაწე ფიზიკოსმა, ირაკლი მანჯავიძემ. მან ერთ-ერთ ევროპულ კომფრენციაზე მოისმინა მოხსენება კოსმოსური სხივების ახალი მეთოდით კვლევის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს ეფუძნება. ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტურია და შედარებით დაბალი ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება, რომელიც ჩვენი პირობებისათვის ხელმისაწვდომია.

ტრადიციული მიდგომით მაღალენერგიული კოსმოსური სხივების მიერ წარმოქმნილი ფართო ატმოსფერული ღვარების დასაფიქსირებლად დიდ ფართობზე გაფანტული დეტექტორების ქსელის გამართვაა საჭირო. მაგალითად, ასეთი გრანდიოზული, ძვირადღირებული ექსპერიმენტი შენდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე 3000 კმ2 ფართზე, რომელიც პიერ ოჟეს ობსერვატორიის სახელითაა ცნობილი. ექსპერიმენტი კი, რომელშიც ჩაბმას ვაპირებთ ზემაღალი ენერგიის (>1017ევ) კოსმოსური სხივების შესწავლა ხდება არატრადიციული დეტექტირების გზით. მეცნიერები ამ შემთხვევაში არ ელოდებიან, როდის ჩამოაღწევს კოსმოსური ნაწილაკი დედამიწამდე, მის "დაჭერას" უკვე ჰაერში ცდილობენ. კვლევის მეთოდი ემყარება შემდეგ მოვლენას: ზემაღალი ენერგიის კოსმოსური სხივების ღვარები ტროპოსფეროში წარმოქნიან ისეთი სიმკვრივის იონიზაციურ ღრუბელს, რომელზეც რადიოსიხშირეების ტალღები ირეკლება. ეს ეფექტი გარკვეული დიაპაზონის რადიოსიხშირეების წყაროების გამოყენების საშუალებას იძლევა. ტელერადიომაუწყებლობის და ულტრამოკლეტალღიანი სადგურები სწორედ საჭირო დიაპაზონში მუშაობენ და უზრუნველყოფენ იონიზაციური ღრუბელის გამოვლენას. ასე რომ ღვარების რეგისტრირებისათვის საჭიროა მხოლოდ პასიური ანტენა.

რეალურად კი ერთი ექსპერიმენტული სადგური ითვალისწინებს ორ კომპონენტს. პირველი, რადარული სისტემაა, ე.ი გადამცემი ანტენა (სურათზე ჰორიზონტს მიღმა) ასხივებს და მისგან დაშორებული მიმღები ანტენა იღებს ფართო ატმოსფერული ღვარის იონიზებული არიდან არეკლილ სიგნალს. მეორე კომპონენტი, ფართო ატმოსფერული ღვარების დეტექტორების ქსელია, რომლებიც ღვარების იდენტიფიცირებისათვისაა აუცილებელი. იდენტიფიცირება ღვარს კი სჭირდება ფონისაგან გამოსარჩევად, რომელსაც ქმნიან მეტეორები და სხვა და სხვა ატმოსფერული მოვლენები.

ამ მეთოდის აუცილებელი ელემენტია თანამედროვე ტექნილოგიებისათვის ცნობილი ხელსაწყო - GPS (Global Positionig System) - გლობალური პოზიცირების სისტემა. GPS სატელიტებზე დაფუძნებული ნავიგაციური სისტემაა, რომელიც დედამიწაზე ობიექტის მდებარეობის და აგრეთვე მოვლენის დროის მარკირების საშუალებას იძლევა. ეს კი შორ მანძილებზე გაფანტული ფართო ატმოსფერული ღვარების დეტექტორებიდან მიღებული მონაცემების შეთანხმებისათვისაა საჭირო.

ამ მეთოდზე დაფუძნებული ექსპერიმენტი, სახელწოდებით MARIACHI (Mixed Apparatus for Radio Investigation of Atmospheric Cosmicray of High Ionization) 2003 წლიდან მუშაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრუკჰეივენის ნაციონალური ლაბორატორიის ინიციატივით. MARIACHI-ის იდეური კონცეფციაა, რომ ასეთმა სადგურებმა რაც შეიძლება მრავლად იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ამის საჭიროება განპირობებულია იმით, რომ ზემაღალი ენერგიის კოსმოსური ნაწილაკები (>1019ევ) დიდი იშვიათობაა. ასეთი ენერგიის 1 ნაწილაკი 100 კვადრატულ კილომეტრზე წელიწადში ერთხელ შეიძლება დაეცეს დედამიწაზე. დღეისათვის მოქმედ გრანდიოზულ დანადგარებზე მხოლოდ რამოდენიმე ათეული ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული მათი არსებობა თავისთავად დიდი გამოცანაა მეცნიერებისთვის. ამ უთანხმობის ასახსნელად მეცნიერებს უარის თქმა მოუწევთ კოსმოლოგიის და ელემენტარული ნაწილაკების ზოგიერთ ფუნდამენტურ კანონებზე. ამიტომ საჭიროა დაგროვდეს საკმარისი სტატისტიკა მეცნიერული დასკვნის გასაკეთებლად. სტატისტიკის გასაზრდელად კი საჭიროა, რაც შეიძლება ბევრი ზემაღალი ენერგიის კოსმოსურ სხივებზე "მონადირე" სადგური გავმართოთ.

MARIACHI-ის პროექტის ხელმძღვანელმა, ბრუკჰეივენის ნაციონალური ლაბორატორიის ფიზიკის დეპარტამენტის თანამშრომელმა გამოგზავნა მხარდაჭერის წერილი, რომელიც ასე აფასებს ამ ინიციატივას: "ჩვენ მეტად დაინტერესებული ვართ რომ ეს პროექტი საქართველოში განხორციელდეს, რადგან ჩვენ ვითანამშრომლებთ და გავცვლით მეცნიერულ ინფორმაციას. კვლევის ამ მეთოდს თან გარკვეული ტექნიკური სირთულეები ახლავს და მისი ეფექტური განხორციელება მხოლოდ ძლიერი კოლაბორაციული ძალისხმევის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი."

ჩვენი, საქართველოს "კოსმიკოსების" მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე გავმართოთ MARIACHI-ის იდენტური სადგურები. პირველი ორი სადგურის ამუშავება დაგეგმილი გვაქვს ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ორ ბაზაზე თბილისში და ბაკურიანში, საქართველოს სამეცნიერო ეროვნული ფონდის ხელშეწყობით. შემდეგ კი მთელი საქართველოს მასშტაბით სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში: ქუთაისში, ბათუმში, თელავში და გორში. დროთა განმავლობაში კი მას სასურველია საერთაშორისო მასშტაბიც მიეცეს. ამ ეტაპზე თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებენ ბრუკჰეივენის ნაციონალური ლაბორატორიის მეცნიერები. ისინი თანახმანი არიან ქართველი ახალგაზრდები მიიწვიონ ამერიკაში გამოცდილების გასაზიარებლად.

ამ პროექტს მეცნიერული ღირებულების გარდა დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა თანამშრომლები, სტუდენტი-სტაჟორები საქართველოს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებიდან (თბილისი, თელავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი). მათთვის დაგეგმილი გვაქვს ლექციების ციკლი და ჩვენს სადგურებზე სტაჟირება და მუშაობა.

პროექტი, რომელის ამუშავდება ჩვენი დიდი სურვილია, იქნება დასაწყისი საქართველოში თანამედროვე აპარატურული დანადგარებით ზემაღალი ენერგიის კოსმოსური სხივების ფიზიკის ფუნდამენტურ კვლევებში და ამ დარგის ტრადიციების გაგრძელება, რომელიც ე.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტს აქვს.


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ღია ტენდერს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების ტრენინგისათვის სასტუმროს მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენეობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოდგენეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

3. მომსახურების მახასიათებლები:
3.1 რეგიონი - დაბა ბაკურიანი
3.2 მომსახურების ხანგრძლივობა პირველი აგვისტოდან 18 აგვისტომდე (17 დღე-ღამე)

**4. პირობები:**

1. 5 - ერთადგილიანი ნომრები,
2. 43-50 - ორადგილიანი ნომრები,
3. სამჯერადი კვება;
4. მუდმივი ცხელიწყალი და ელექტროენერგია;
5. 3 საკონფერენციო დარბაზი (COFFE-BREAK);
6. სამივე დარბაზში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროექტორით, LIFIP CHART სტენდით;

5. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 აგვისტოს 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

6. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;
ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005,



# შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს აუქციონებს

**საზოგადოების საწესდებო ნკაპიტალში რიცხული ობიექტების რეალიზების მიზნით, მათ შორის:**

**1. ქ.თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე საქვაბე (თბოქსელი) და მასზე არსებული წესით დამაგრებული 1463 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.**

- **მისამართი:** ქ.თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის (კრწანისის ქ.N49) მიმდებარე ტერიტორია.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 215,93 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 1463 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 440 000 (ოთხასორმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტისდახასიათება:** ობიექტი აგებულია რკინა-ბეტონის ბლოკებით.

**2. ქ.თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ფერმის შენობა-ნაგებობები და მათზე არსებული წესით დამაგრებული 11556 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ.თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის (კრწანისის ქ.N49) მიმდებარე ტერიტორია.
- **ობიექტის საერთო ფართობი:** 886,47 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11 556 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება:** ობიექტი შედგება სამი ძირითადი შენობა-ნაგებობისაგან.

**აუქციონები ჩატარდება 2006 წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათზე.**
აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 15.07.06წ N28 (473), (ჭანტურიას ქ. N12, III სართული).

**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N64**
საკონტაქტო ტელეფონი: 91-60-79 899 35-55-35

# "შემოდგომის ბაღები"

## ოთარ იოსელიანის ახალი ფილმის მოლოდინში

*ინტერნეტ საიტზე www.peoples.ru სულ უახლოეს წარსულში ახალი გმირის პორტრეტი დაიხატა. ახალი გმირი ამ საიტისთვის, ისე კი... ქვემოთ წარმოდგენილ სტატიაში ოთარ იოსელიანი საკუთარი ახალი ფილმის შესახებ საუბრობს და "შემოდგომის ბაღების" გარდა კიდევ არაერთ საინტერესო საკითხს ეხება.*



**ორიოდე სიტყვა ფილმის შესახებ**

"ფილმი ეხება მაღალი ფენის ყოფასა და მის პრობლემებს. მისი მთავარი გმირი მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკია, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს სამსახურიდან დაითხოვენ. უმუშევრობის დროს იგი ბედნიერი ადამიანი ხდება. ფილმს ვერ მოყვები, უკეთესია ნახოთ. მთავარ როლებში, ისე როგორც ყოველთვის ჩემს ფილმებში, ისევ არაპროფესიონალები არიან... ხშირად უარს ვამბობ ცნობილ სახეებთან მუშაობაზე. მათ ძალიან ადვილად შეუძლიათ ფილმის "დანგრევა", რადგან მათი სახეები მუდამ ასოცირდება სხვა, უწინ განსახიერებულ როლებთან."

**"შემოდგომის ბაღები"**

"ეს არის კომედია, ოღონდაც არა ბუფონა. ფილმი რუსული მხარის ხელშეწყობითაა გადაღებული. სამწუხაროდ, საფრანგეთში კინემატოგრაფისთვის განკუთვნილი ფული სულ ცოტა და ცოტა რჩება. ფილმი მთლიანად გადაღებულია პარიზში, მაგრამ ნაწილობრივ რუსეთის დაფინანსებულია. ამ დახმარებისა და გვერდში დგომის გარეშე ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა მუშაობა."

**საბჭოთა კავშირი და რუსეთი დღეს**

"მგონია, რომ რუსეთში არცთუ ცოტაა ადმიანი, რომლებიც თვალს ადევნებენ იმას, თუ როგორ ვითარდება ჩემი ბედი, ჩემი მუშაობის პროცესი. მე არ ვარ ემიგრანტი საბჭოთა კავშირიდან. მე მას შემდეგ გავემგზავრე საფრანგეთში, რაც ჩემი ფილმი "პასტორალი" საიმედოდ შემოდეს თაროზე. "გოსკინოში" მითხრეს, რომ საქართველოში ფილმს ვეღარ გადავიღებდი. ჩემი დანარჩენი ფილმებიდან ზოგი აიკრძალა, ზოგი, უბრალოდ, სადღაც გაქრა. მხოლოდ საკლუბო ჩვენებისთვის გაიმეტეს. "ფოთოლცვენაც" მხოლოდ საქართველოში აჩვენეს, ისიც სულ ორჯერ. ვისაც ახსოვს, თუ როგორი ძნელი იყო მაშინ მუშაობა, ალბათ ახლა ჩემი გულშემატკივარია... და კიდევ ერთი: რუსეთში არიან ადამიანები, რომლებსაც ჩემი ფილმების მსგავსი ნაწარმოებები უყვართ და აინტერესებთ.

მე უკვე არაერთი წელია ვმუშაობ საფრანგეთში, მაგრამ აქ მიღებენ როგორც ქართველ რეჟისორს, რადგან მუდამ არსებობდა და არსებობს ხიდი, კავშირი ფრანგულსა და ქართულ კინემატოგრაფში რენე კლერის, ფრანსუა ტრიუფოს, ჟაკომ ტატის და შენგელაიას, რონდელს, ფარაჯანოვს შორის. მათ ჰქონდათ მსგავსი ეთიკური და ესთეტიკური კრიტერიუმები. ფრანგი კრიტიკოსებისთვის მე ვარ გაგრძელება იმისა, რაც მათ კინოში, სამწუხაროდ, გაქრა. მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია ფრანგული კინემატოგრაფი საკუთარ სახლად აღვიქვა".

**ეჩვენებათ, რომ მის ფილმებში მუდამ საქართველოზეა საუბარი...**

"უფრო ხშირად მათში ქართველი მსახიობები არიან და ესეც არც ისე ხშირად. არა, ჩემი ფრანგული ფილმები საქართველოზე არ არის. უფრო კონკრეტულად, ეს არის მზერა იმ ადამიანისა, რომელიც ძალიან შორიდან, შეიძლება ითქვას, სულ სხვა დროიდან მოდის. ჩემი ფრანგული ფილმები - ეს არის იმ ადამიანის მზერა, რომელიც მუდამ აკვირდებოდა ადამინის ცხოვრების ფენომენს ჩვენს არცთუ ისე მარტივ დროში. რა თქმა უნდა, იმას, რომ მე 45 წელი ვიცხოვრე საბჭოთა კავშირში, შეუძლებელია, თავისებური კვალი არ დაეტოვებინა ჩემს ნამუშევრებზე."

**თურმე ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ იგი მუნჯი კინოს რეჟისორია, რომელიც იძულებულია ხმოვანი კინოს ეპოქაში იცხოვროს...**

"დავამატებდი - ასევე ფერადი კინოს ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, შევქმნა ისეთი ფილმები, რომლებსაც საერთო ექნებათ კინემატოგრაფთან და არა რადიოსთან. ვცდილობ, გადავიღო ისე, რომ მაყურებელი დამოკიდებული არ იყოს არც დუბლაჟზე და არც სუბტიტრებზე. ალბათ სწორედ ეს ფაქტორებია მუნჯი კინოსთვისაც ამოსავალი."

**საავტორო კინო თუ?..**

"კინემატოგრაფი უნდა იყოს მხოლოდ საავტორო და არავითარ შემთხვევაში სხვაგვარი. სხვა დანარჩენი კვდება და იკარგება. საკასო ფილმები ჩემში ზიზღს იწვევს. ახალგაზარდები უყურებენ და ფიქრობენ: სულ ესაა კინო?"

**ქართული კინო**

"ქართული კინემატოგრაფი დღეს პრაქტიკულად არ არსებობს. საქართველოში კინოს ყურადღებას არავინ აქცევს. საქართველში ჩემი კოლეგები ფილმის გადაღებას ათეულ წლებს ანდომებენ, როცა დასავლეთში სულ რამდენიმე თვეა საჭირო."

**ქართულ-რუსული კულტურული მეგობრობის კრიზისი და ამერიკა...**

"რუსეთის ხელმძღვანელობამ საქართველოს წინაშე ძალიან ბევრი შესცოდა. თუნდაც ის, რომ მთელი ძალით ცდილობდა ქართული ენის განადგურებას. თუმცა, ამაში რუსული ენა თუ კულტურა არაფერ შუაშია. ჩემი თანამემამულეები ჯერ არ არიან იმ დონეზე, რომ ჯოისი და უიტმენი ორიგინალში წაიკითხონ. მხოლოდ რუსული დიდი მთარგმნელობითი სკოლა არის ის, რაც ჩვენს კულტურებს აკავშირებს. აქ უკვე განსხვავებაა, რომელ ენაზე მიიღებს ქართველი ადამიანი ინფორმაციას, სხვა არაფერი..."

**ფრანგი ახალგაზრდების პროტესტი**

"მსგავსი არასასიამოვნო მოვლენები მხოლოდ ხელისუფლების შეცდომების გამო ხდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ქვეყნის მთავრობამ არ იცის, თუ რა სიტუაციაა მისსავე ქვეყანაში, რა მდგომარეობაშია მისი ქვეყნის საზოგადოება. თუ 1968 წლის სტუდენტური ჯანყის საფუძველი გარკვეული იდეოლოგია იყო, რომელიც ხმის ამოღებისა და მისი გაგონების შანსისთვის ბრძოლას წარმოადგენდა, დღეს უბრალოდ მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად იბრძვიან: "მოგვეცით პური!" - აი, მთავარი ლოზუნგი. მაგრამ სწორედ პურის ხაზინიდან გამოტანას არ ჩქარობს ხელისუფლება. თუმცა დათმობის დროც დადგება."

*მოამზადა სოფო კილასონიამ*

## ფიროსმანის ნამუშევრები პარიზში

ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების უკრაინაში გამოფენის შემდეგ ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობამ ქართული კოლექციების ექსპოზირების შეთავაზება არაერთი ქვეყნიდან მიიღო. "უკრაინაში წარმატებული გამოფენის დასრულებისთანავე არაერთი შემოთავაზება მივიღეთ სხვადასხვა ქვეყნიდან. ამჟამად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად ვარჩევთ და განვიხილავთ საუკეთესო წინადადებებს. საქართველო უდიდესი კულტურის ქვეყანაა. ყველა ექსპოზიცია, რომელიც აქედან გავა, უნდა იყოს უმაღლესი სტანდარტის და გამოიფინოს უმაღლესი რანგის საექსპოზიციო დარბაზებში", - აცხადებს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

მისივე ინფორმაციით, 2007 წელს, შესაძლოა, ფიროსმანის ნამუშევრები საფრანგეთში, პარიზის ორ მუზეუმში გამოიფინოს. "გვაქვს სერიოზული შემოთავაზებები უმნიშვნელოვანესი პროექტის "კოლხური ოქროს" გატანასთან დაკავშირებით. ეს ექსპოზიცია იმის დადასტურებაა, თუ რა მჭიდრო კავშირში იყო საქართველო ევროპულ ცივილიზაციასთან. ამ პროექტის სხვა ქვეყნებში წარდგენა მნიშვნელოვანია მთელი ქართული საზოგადოებისთვის, რადგან "კოლხური ოქრო" ხელს შეუწყობს იმ მიზნის განხორციელებას, რომელსაც ევროპასთან ინტეგრაცია ჰქვია", - დასძინა დავით ლორთქიფანიძემ.

*მედიანიუსი*

## სკანდალური დოკუმენტური ტრილოგია

18 ივლისს იგორ გიორგაძის საქველმოქმედო ფონდი დოკუმენტური ტრილოგიის პრეზენტაციას გამართავს.

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" დიდ დარბაზში წარმოდგენილი იქნება ჟურნალისტურ საგამოძიებო მასალებზე დაფუძნებული სამი დოკუმენტური ფილმი, რომელთა ავტორები არიან ირმა ინაშვილი და ია დანელია.

როგორც ფონდის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილმა განაცხადა, ეს ფილმები დიდი ხანია მზად არის, თუმცა ავტორებს მასალის დამონტაჟებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები ჰქონდათ.

"იგორ გიორგაძის ფონდმა მათ ეს პრობლემები მოუხსნა და საშუალება მისცა ავტორებს სკანდალური ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა", - განაცხადა სარიშვილმა.

ტრილოგიის პირველი ფილმი "ძარცვა" მოტყუებული მეანაბრეების თემას ეხება, მეორე ფილმი დავით და გელა ბეჟუაშვილების საქმიანობის დოკუმენტურ მასალებს მოიცავს, მესამე ფილმი "თამაში პურის ყანაში" კი ნინო ბურჯანაძის ოჯახის ისტორიას ასახავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## "ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი"

18 ივლისს გაიმართება ქართულ-უკრაინული საერთაშორისო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის "ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის" პრეზენტაცია. თავისი სპეციფიკით ეს ჟურნალი ერთადერთია. ღონისძიება ჩატარდება გამომცემლობა "ივერია 21", "ქართულ-უკრაინული პრესისა და წიგნის სახლის" და უკრაინის საელჩოს მხარდაჭერით.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოში უკრაინისა და უკრაინაში საქართველოს ელჩები, პოლიტიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, ბიზნესმენები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, რომელთა მოღვაწეობაც უკრაინას უკავშირდება და ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის, მეგობრობის გაღრმავება-განვითარებისთვისაა მოწოდებული. პრეზენტაცია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## შოთა რუსთველის მონუმენტი

კიევში აღიმართება გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთველის ძეგლი.

ამის შესახებ გადაწყვეტილება უკრაინაში გამართულ ქართული კულტურის დღეების მსვლელობის დროს მიიღეს, რომლის თანახმადაც ძეგლი პოეტის სახელობის ქუჩაზე უნდა განთავსდეს.

ქანდაკების ავტორია პროექტების კონკურსში გამარჯვებული 25 წლის მოქანდაკე ვლადიმერ იმერლიშვილი.

მისი განცხადებით, მონუმენტი, რომელიც კიევში უნდა დაიდგას, 2 ნაწილისგან შედგება.

"ერთი ნაწილი ხუთმეტრიანი წითელი გრანიტია, რომელზეც პოეტის სახე გამოიკვეთება. დღის სინათლეზე იგი რელიეფურად აღიქმება, ღამით კი პორტრეტ-ფრესკის ეფექტი ექნება", - განაცხადა იმერლიშვილმა.

მონუმენტის მეორე ნაწილზე ქართულ და უკრაინულ ენებზე ამოიტვიფრება აფორიზმები, პოეტის სახე კი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული ფრესკის მიხედვით გამოიკვეთება.

უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გრიგოლ ქათამაძის განცხადებით, მონუმენტი შემოწირული თანხებით დაიდგმება.

"უკრაინაში არაერთი შეძლებული ქართველი ცხოვრობს, რომელიც თანახმაა ძეგლის დადგმისთვის თანხა გაიღოს. ფინანსურად კიევის მერი ლეონიდ ჩერნოვეცკიც დაგვეხმარება. პირადად მე უკვე გადავრიცხე ერთი თვის ხელფასი ამ მნიშვნელოვანი საქმის განსახორციელებლად", - განაცხადა ქათამაძემ.

მონუმენტის დადგმა ერთ წელიწადში დასრულდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## მთიანი ყარაბაღი

მთიანი ყარაბაღი უმასპინძლებს ახალგაზრდულ ფესტივალს, რომელშიც ჯავახეთში მცხოვრები ახალგაზრდებიც მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალი, სახელწოდებით "შევარდენი", სტეფანაკერტში 26 ივლისს გაიხსნება და 1 აგვისტომდე გასტანს.

ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია კონკურსები სიმღერის, ცეკვის, ხატვის, ქანდაკების, მოდისა და ინტელექტუალურ შეჯიბრებებში.

ფესტივალის მონაწილეთა ასაკი 18-30 წელია.

ფესტივალის მსვლელობისას ახალგაზრდები შეხვდებიან მთიანი ყარაბაღის პრეზიდენტს არკადი გუკასიანსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# განცხადება

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ტერიტორიული ორგანოების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე შემდეგ რეგიონებში:

1. კახეთი:
1.1. ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.2. დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
1.3. საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

2. ქვემო ქართლი:
2.1. თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
2.2. მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

3. მცხეთა-მთიანეთი:
3.1. დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
3.2. თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

4. იმერეთი:
4.1. წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.2. ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.3. ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
4.4. ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

5. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი:
5.1. ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

6. სამცხე-ჯავახეთი:
6.1. ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
6.2. ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
6.3. ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

7. შიდა ქართლი:
7.1. ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.2. ერედვის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;
7.3. თიღვის თემის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

8. სამეგრელო, ზემო სვანეთი:
8.1. მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

თანამდებობრივი სარგო - 350 ლარი.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიზნები და ამოცანები

საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს, რომლის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა მინდობილ ტერიტორიაზე.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურსცენტრი:

ა) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევის ზედამხედველობას;

ბ) კონტროლს უწევს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტებისა და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას;

გ) თვალყურს ადევნებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მიერ განათლების სფეროში მოქმედი კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული სხვა აქტების შესრულებას;

დ) ხელს უწყობს სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენის განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;

ე) შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ხელს უწყობს სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციებისა და პროგრამების დანერგვას სამოქმედო ტერიტორიაზე;

ვ) ხელს უწყობს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებსა და სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლას და თანამშრომლობას;

ზ) შესაბამისი ღონისძიებების (ტრენინგების, სემინარების და სხვ.) ორგანიზებით ზრუნავს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე. ხელს უწყობს მათთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი რესურსების დროულად და თანაბრად განაწილებას;

თ) ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს კანონმდებლობით დადგენილი წესით; უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის პროცესის კოორდინაციას, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოებას და შესრულებული სამუშაოს შესახებ (პერიოდულად ან საჭიროების შემთხვევაში) ანგარიშის წარდგენას სამინისტროში; კურირებს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებისა და სპეციალურ საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობას;

ი) ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას;

კ) ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

"საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 25-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების ცოდნა;
- შემდეგი ნორმატიული აქტების ცოდნა:

საქართველოს კონსტიტუცია;
"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
"საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი;
საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი;
"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
"განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება;
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულება;

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
- სასურველია რომელიმე უცხო ენის/ენების ცოდნა;
- ანალიტიკური აზროვნება;
- ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

კონკურსს ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც გაიცემა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში, აგრეთვე განთავსებულია სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - www.mes.gov.ge;
2. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლი;
3. ერთი ფოტოსურათი (3X4);
4. შრომის წიგნაკი (ასლი);
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათ-კვირის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52. ტელ.: 964159, 950176.

**საჯარო სამსახურის ბიურო**



## 18 ივლისი

**კინო**

**"ამირანი"**
"სიყვარულის კუნძული"
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00; 20.00, 22.00

**მცირე დარბაზი**
პედრო ალმოდოვარი
"დაბრუნება"
დასაწყისი: 16.00,18.00;20.00,22.00

**"რუსთაველი"**
"მანქანები"
"X მენ"
"აწყვეტილები"
დასაწყისი: 14.00, 16.00, 18.00; 20.00, 22.00

**გალერეა**

**"კოპალა"**
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**ხელოვნების მუზეუმი**
ფიროსმანის გამოფენა
"თბილის - კიევი - თბილისი"

**მუსიკა**

**ეთნოგრაფიის მუზეუმი**
**"არტ-გენი"**
საღამოს პროგრამა:
კლასიკური მუსიკა
დასაწყისი: 19.00
ღამის პროგრამა:
ქართული შემეცნებით-დოკუმენტული ფულმის ჩვენება
დასაწყისი: 22 საათი

## ფრანგი სპეციალისტები

ივლისის ბოლოს საფრანგეთის მუზეუმების სარესტავრაციო ცენტრის ხელმძღვანელობა თბილისში საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებისთვის ჩაატარებს სემინარს. ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის ინფორმაციით, სემინარი კულტურული მემკვიდრეობის კოლექციების გადატანას შეეხება. "დღეს, როცა ეროვნული მუზეუმის კორპუსში სარემონტო სამუშაოები იწყება, ძალიან მნიშვნელოვანია კოლექციების გადაადგილების პრობლემა. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ ლუვრის წარმომადგენლებთან. ფრანგი პარტნიორები დიდად გვეხმარებიან ამ პროცესის სწორ ორგანიზებაში", - განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, მუზეუმში დაცული კოლექციების გადატანა ძალიან საპასუხისმგებლო პროცესია, რომლის შესასრულებლად ეროვნული მუზეუმის ყველა თანამშრომელი მობილიზებულია.

*მედიანიუსი*

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"-ს მიერ 19 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პტოფილაქტიკური ვაქცინაციის, ტუბერკულინიზაციის ჩატარებაზე და ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის აღებაზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: შ.პ.ს. “თანადგომა"- ქ. კასპი; შ.პ.ს. “ვეტერინარი"- ქ. ბოლნისი; შ.პ.ს. “იადონი"- ჩხოროწყუ; ი/მ “ალექსანდრე სამნაშვილი"-გარდაბანი; შ.პ.ს. “ბეითალი"-ქ.ხაშური; ი/მ “ლევან ტეტემაძე"-ხელვაჩაური; შ.პ.ს. “ვეტერინარი"- ქ. ზუგდიდი; შ.პ.ს. “ლემბუ"- ქ. მარნეული; ი/მ “ირმა ირიაული"- მცხეთა; ფ/პ “ირმა მამათელაშვილი"-ქ. თბილისი; შ.პ.ს. “ნიკორა-2005"- ქ. რუსთავი; შ.პ.ს. “იმუნიტეტი"- ქ. თელავი; შ.პ.ს. “ზიარეთი"- ქ. ახალციხე; ი/მ “ხათუნა ხონელიძე"- ქ. თბილისი; შ.პ.ს. “მკურნალი"-ახალგორი; შ.პ.ს. “ვეტერინარი"-ქ. დუშეთი; ი/მ “ზაზა ჩხაიძე"-ქ. რუსთავი; ი/მ “ზვიად მარტაშვილი".

19 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად ბიოპრეპარეტების შეძენაზე გამარჯვებულად გამოვლინდნენ: ს.ს. “ლენსბიოფარმი"-ქ.თბილისი; შ.პ.ს. “მესკალინი"-ქ. თბილისი.

19 აპრილს გამოცხადებულ ღია ტენდერში სარეზერვო ფონდის შექმნის მიზნით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდების შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. “ნობელექსი"-ქ.თბილისი.

1 ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პტოფილაქტიკური ვაქცინაციის, ტუბერკულინიზაციის ჩატარებაზე და ბრუცელოზზე გამოსაკვლევად სისხლის აღებაზე გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ “ზვიად მარტაშვილი" საგარეჯოს რაიონში.

12 ივნისს ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ტალონური სისტემით საწვავის შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"- ქ. თბილისი.

TV5MONDE

## 18 ივლისი

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 17.15, 20.00, 00.00,** 00.45(შვეიცარია), 03.00(აფრიკა), **04.10** TV-5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.30** TV-5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ახალი ცხოვრებისაკენ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ბიგუდი. სერიალი. **11.30** გადაცემა: გურმანი. **12.15** პოლიციელები. მეორე ნაწილი. დოკ. ფილმი. **14.05** ცისფერი მზეთუნახავი. კანი.დოკ. ფილმი.**14.30** ცხოვრება, ცხოვრება. სერიალი.ეპიზოდი 17. სერიალი. **16.30** რუმბა .მხ ფილმი. რეჟისორი როჟე ჰანენი. 1987. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ბიჭი და გოგო. სერიალი რეჟისორი გი ლეპაჟი. **20.30** იმედი.მხ.ფილმი. რეჟისორი დანიელ ვინი. 2002. **23.00** მატარებლები, რომლებიც სხვა მატარებლებს არ გვანან.. დოკ.ფილმი. **03.25** ტურ დე ფრანსი.დოკ. ფილმი. **04.40** გლინ გულდი, ალქიმიკოსი. დოკ.ფილმი.

## სტინგის მესამე ვიზიტი მოსკოვში

26 ივლისს მოსკოვის სპორტკომპლექს "ოლიმპიისკში" დაგეგმილ კონცერტზე სტინგი საკუთარ შვილთან ჯო სამნერთან ერთად გამოვა. როგორც კონცერტის ორგანიზატორებისგან გახდა ცნობილი, სცენაზე სტინგთან ერთად გამოვა ჯგუფი Fiction Plane-იც, რომლის ვოკალისტი და გიტარისტი სწორედ მისი უფროსი ვაჟია. სტინგი შეასრულებს კომპოზიციებს ალბომიდან Brand New Day. აკომპანიმენტს კი ძველი კოლეგები და მეგობრები გაუწევენ: გიტარისტი - დომინიკ მილერი და ლაილ უოკმენი, დასარტყამ ისტრუმენტზე დაუკრავს აბე ლაბორიელი, რომელიც ადრე პოლ მაკარტნისთან მუშაობდა.

სტინგის გასტროლების ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ რამდენადაც მუსიკოსი ძალიან მომთხოვნია ტექნიკურ დეტალებში, იმდენად უპრეტენზიოა კომფორტის თვალსაზრისით. საგრიმიოროში მან მოითხოვა მხოლოდ ყველაზე აუცილებელი: ორსაწოლიანი ტახტი, ორი სავარძელი თავისი გამნათებლებით, გრძელი სარკე და მაგიდა. ასევე აღმოჩნდა საკვების მხრივაც. სტინგმა მხოლოდ რამდენიმე ბოთლი წითელი ფრანგული, ესპანური და იტალიური ღვინო, რამდენიმე სახის ჩაი, ხმისთვის კი გვირილის ჩაი შეუკვეთა.



რუსეთის დედაქალაქში ეს მომღერლის მესამე კონცერტია. პირველად იგი 1996 წელს კრემლის სასახლეში გამოვიდა, 2001 წელს კი მოსკოვში ალბომი Brand New Day წარადგინა.

## The Who 20 წლის შემდეგ

ლეგენდარული ბრიტანული როკ-ჯგუფი 20 წლის შემდეგ, 2006 წლის სექტემბერში საერთაშორისო ტურნეს დაიწყებს. ჯგუფი აგრეთვე აპირებს ალბომის ჩაწერას, რომელშიც 1982 წლის სიმღერებიც შევა და ოქტომბერში უნდა გამოვიდეს. ჯგუფის ტურნე 12 სექტემბერს ფილადელფიაში დაიწყება შემდეგი შემადგენლობით: გიტარისტი პიტ ტაუნშენდი, ვოკალისტი როჯერ დალტრი, დასარტყამი ინსტრუმენტი ზაკ სტარკი (რინგო სტარის ვაჟი), ბასისტი პინო პალადინო, კლავიატურა ჯონ ბანდრიკი და პიტის უმცროსი ძმა სეიმონ ტაუნშენდი.

წლის ბოლომდე ჯგუფი კონცერტებს გამართავს ამერიკაში და კანადაში, ხოლო 2007 წლის დასაწყისში ლათინურ ამერიკაში, ჩრდილოეთ აზიაში და ევროპაში. კონცერტებზე ჯგუფი შეასრულებს სიმღერებს ახალი ალბომიდან და ჰიტებს Behind Blue Eyes, I Can`t Explain და Who Are You.

The Who იყო 70-ანი წლების ერთ-ერთი უდიდესი როკ-ჯგუფი. მათ ჰიტებს შორის შედის: My Generation, Pinball Wizard და



Substitute. მათი როკ-მიუზიკლი "ტომი", რომელშიც თამაშობდნენ ელტონ ჯონი და როჯერ დალტრი, გახდა ლონდონის უესტ-ენდის სუპერ ჰიტი.

2002 წლის მიწურულს ლეგენდარულ ჯგუფში, რომელიც ორიგანალური შემადგენლობით გამოირჩეოდა, დარჩნენ მხოლოდ ორნი: ვოკალისტი როჯერ დალტრი და გიტარისტი პიტ ტაუნშენდი. დასარტყამი ინსტრუმენტების შემსრულებელი კიტ მუნი, ჯერ კიდევ 1978 წელს ნარკოტიკების ჭარბი დოზით მიღების გამო გარდაიცვალა.

## "ბითლზის" დაკარგული ჩანაწერები

ლონდონის სასამართლომ პირობითი ორი წელი მიუსაჯა "ბითლზის" დაკარგული სტუდიური ჩანაწერების გამყიდველს.

პროკურორი, 55 წლის ნაიჯელ ოლივერისთვის 4 წელს ითხოვდა, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ეჭვმიტანილი უკვე რამდენიმე წელია ფსიქიატრთან მკურნალობს.

ოლივერი, რომელიც 37 წლის წინ მუშაობდა ლეგენდარულ ჯგუფთან, დაიჭირეს ოპერაციის დროს, რომელიც ბრიტანულმა პოლიციამ 2003 წელს განახორციელა. მაშინ შავ ბაზარზე გამოჩნდა რამდენიმე ჩანაწერი ჯგუფის არქივიდან, რომელიც "ბითლზმა" ალბომ Let It Be-ზე მუშაობის დროს შექმნა. ამჯერად პოლიციამ ნაიჯელ ოლივერი მაშინ დააკავა, როცა იგი ცდილობდა დაკარგული ჩანაწერები უსაფრთხოების სამსახურის გადაცმული თანამშრომლებისთვის მიეყიდა 250 ათას ფუნტ სტერლინგად.

ოლივერის სახლის გაჩხრეკის შედეგად, ამოიღეს არა მარტო საარქივო ჩანაწერები, არამედ რამდენიმე რელიქვია, რომელიც დაკავშირებულია ლეგენ-



დარულ ჯგუფთან, მათ შორის ჯორჯ ჰარისონის პასპორტი, რომელიც როგორც იტყობინებიან, 60-იანი წლების ბოლოს იქნა მოპარული.

ლეგენდარული ჯგუფის ტურმენეჯერის ნაიჯელ ესპინოლის თქმით, ოლივერთან აღმოჩენილი ფირები შეიცავს "200-საათიან უნიკალურ ჩანაწერებს, რომლებიც ძალიან ძვირად ღირებულია." მისივე თქმით, მათ შორისაა სხვა შემსრულებლების სიმღერები, რომლებიც ფილმისთვის Let It Be ჩაიწერა და სურათის არგამოსული ფინალური ვარიანტი.

## კარიბის ზღვის მეკობრეები

ამერიკელმა კინოსცენარისტმა როის მეტიუმ საჩივარი შეიტანა სასამართლოში ფილმის "კარიბის ზღვის მეკობრეების" შემქმნელების წინააღმდეგ. დრამატურგი ადანაშაულებს კინოკომპანია Disney-ის წარმომადგენლებს და ჰოლივუდის პროდიუსერს ჯერი ბრუკხაიმერს, რომ მათ მისი იდეა მოიპარეს.

მეტიუ ამტკიცებს, რომ სწორედ მან მოიგონა ისტორია მეკობრეების გემზე. მისივე თქმით, 80-იან წლებში მან დაწერა ასეთივე სცენარი ფილმისთვის, ამავე დროს დახატა ესკიზი "შავი მარგალიტი". მეკობრეების გემი სწორედ ასეთი სახით ფიგურირებს ფილმში. სცენარისტი აგრეთვე აცხადებს, რომ უფლებამოსილება ამ ისტორიის შესახებ იყო დამტკიცებული ამერიკის საავტორო ბიუროში. მეტიუს სურს შეწყდეს ფილმის ჩვენება და საავტორო



უფლებების დარღვევისთვის მიიღოს ანაზღაურება. თანხა ჯერ არ სახელდება.

Walt Disney-ის ხელმძღვანელობამ, რომელსაც აღებული აქვს უფლებამოსილება ფილმზე, განაცხადა, რომ მეტიუს პრეტენზიები მიუღებელია.

"მეკობრეების" ტრილოგიის მეორე ნაწილი, რომელიც გადაღებულია რეჟისორ გორ ვერბინსკის მიერ, ორი რეკორდი მოხსნა ამერიკაში ფილმის გასვლის პირველივე დღეებში.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**

**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### BBC-ის დირექტორი ყველაზე გავლენიანი მედიამენეჯერია

გუშინ ბრიტანულმა გაზეთმა Guardian-მა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიზანი მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი მედიამენეჯერის გამოვლენა გახლდათ. რეიტინგში პირველი ადგილი BBC-ის გენერალურმა დირექტორმა მარკ ტომპსონმა დაიკავა, მეორეზე Apple-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი სტივ ჯობსი გავიდა, მესამეზე კი News Corppration-ის თავკაცი რუპერტ მერდოკი. მეოთხე პოზიცია Google-ის დამფუძნებელმა სერგეი ბრინმა დაიკავა, მეხუთე კი მისმა პარტნიორმა ლარი პეიჯმა. ბილ გეითსს მხოლოდ მეექვსე ადგილი ერგო.

რეიტინგის კომენტირებისას გაზეთის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ძლიერ გამყარდა ბაზრის იმ წარმომადგენელთა პოზიციები, რომლებიც ე.წ. ახალ მედიას ავითარებენ. კერძოდ, გასულ წელთან შედარებით სტივ ჯობმა რეიტინგში წინ ერთბაშად ოთხი პოზიციით წაიწია, სერგეი ბრინის და ლარი პეიჯის მდგომარეობა კი ხუთი ადგილით გაუმჯობესდა. "ჩვენ უკვე შევწყვიტეთ ინტერნეტით ტელევიზიაზე საუბარი და მისი ყურება დავიწყეთ," - განაცხადეს ანალიტიკოსებმა.

### "ბემვეს" სხვა კომპანიებთან ალიანსები არ აინტერესებს



### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3259 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9805 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4808 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7660 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8239 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1444 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3000 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3078 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2377 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4307 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3396 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1163 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1527 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2496 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1930 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2363 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3911 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5599 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1935 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5029 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3338 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2831 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5541 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5933 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0655 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1146 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4231 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5318 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4410 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5144 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,7932 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1067 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1493 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4412 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2433 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4334 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0785 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2209 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2271 |




## "მშრალი რუსული ზაფხული"

ანა შარვაშიძე

*თუ ხელისუფლება დროულად არ მიიღებს ზომებს, რუსული ალკოჰოლური ბაზრის "პარალიჩი" საგანგაშო ფორმებს მიიღებს და აგვისტოში რუსეთის რეგიონებში ლეგალური ალკოჰოლური სასმელების სერიოზული დეფიციტი შეიქმნება. ამის შესახებ რუსეთის ალკოჰოლური ბაზრის მონაწილეები ხელისუფლების მისამართით გაკეთებულ ოფიციალურ მიმართვებში საუბრობენ. თუ იმპორტირებული ალკოჰოლური ნაწარმის სიმცირესაც გავითვალისწინებთ (ცნობილი მიზეზების გამო), რუსეთში ფაქტობრივად ხელოვნური "მშრალი კანონი" ამოქმედდება.*

**საქართველოს მხრიდან, გენადი ონიშენკოს განცხადებით, ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მცდელობების კუთხით არაფერი კეთდება. "ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არაფერია ცნობილი. როგორც ჩანს, საქართველოში რუსეთის ბაზარი აღარ აინტერესებთ," - განაცხადა ონიშენკომ რამდენიმე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში გამართულ პრესკომფერენციაზე.**




B2

## ნავთობი - მსოფლიო პრობლემები

ამბროსი გრიშიკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

*"ბაზარზე ბევრი ნავთობია, იზრდება ასევე მისი გადამუშავება. ნავთობზე ფასების ზრდა გამოწვეულია არა მაკროეკონომიკური მიზეზებით, არამედ სპეკულიანტების თამაშებით, რომლებიც ფასების გასაზრდელად მარჯვედ იყენებენ ერაყში, ირანში, ვენესუელასა და ნიგერიაში გეოპოლიტიკურ არასტაბილურობას" - ეს განცხადება ამ ბოლო ხანებში ბრიტანული გიგანტის "ბრიტიშ პეტროლიუმის" პრეზიდენტმა ლორდმა ჯონ ბრაუნმა განაცხადა. "სპეკულანტების მიერ ნავთობის გაზრდილი სპეკულაციური ფასებით კარგად სარგებლობენ უპირველეს ყოვლისა, ნავთობის კონცერნები და ... ევროკავშირის ქვეყნები" - ეს უკვე შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოსაზრებაა. ზუსტად ამგვარი აზრი განავითარა მან სამართლიანობის დეპარტამენტისა და ვაჭრობის ფედერალური კომისიის წინაშე გამოსვლისას. ამ ორი ორგანოს შეკრების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა იმის შესახებ დასკვნის გაკეთება, თუ რა იწვევს ნავთობგასამართ სადგურებზე ბენზინის ფასების გაზრდას - ნავთობის ფასების მატება თუ ნავთობის კონცერნების მიერ ფასის მომატება (გავითვალისწინოთ ისიც, რომ აშშ-ში ბენზინზე დაბალი გადასახადების გამო, ამ პროდუქციაზე ფასი ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ევროპაში).*



B4

## ახალი "ჩინკვეჩენტო" - "ფიატის" აღორძინების იმედი

მერაბ ლორთქიფანიძე

*მილანში ყოფილა ერთი ოჯახი, გვარად ტადესკო, რომელსაც ერთი საინტერესო "საავტომობილო" გატაცება ჰქონდა. ამ გატაცების სახელია "ფიატ ჩინკვეჩენტო" (ფიატ 500) - ჯუჯა ავტომობილი, რომლითაც ოდესღაც მთელი იტალია დადიოდა და რაც მთავარია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური ბუმის, მასობრივი მოტორიზაციის ერთგვარი სიმბოლო გახდა.*





B3

## ლარის გაცვლითი კურსი დოლარის მიმართ 1,7650 ნიშნულამდე გამყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 18 ივნისიდან $1/1,7650 ნიშნულზე დააფიქსირა.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 17 ივლისს მონაწილეობა მიიღო შვიდმა კომერციულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო შვიდი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 6 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7660 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 6 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე დაფიქსირდა შემდეგი კურსი - 1 აშშ დოლარი/1.7650 ლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## UNDP საქართველოს 70-მილიონიან დახმარებას გაუწევს

5 წლის განმავლობაში გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) საქართველოს 70 მილიონი დოლარის დახმარებას გაუწევს.

დახმარება დღეს სახელმწიფო კანცელარიაში გაფორმებული პროგრამის "ქვეყნის განვითარების სამოქმედო გეგმა" ფარგლებში განხორციელდება, რომელსაც ხელი გაეროს განვითარების პროგრამის ევროპისა და დსთ-ს რეგიონალური ბიუროს დირექტორმა კალმან მიჟეიმ და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა დღეს მოაწერეს.

როგორც პროგრამის დეტალებზე საუბრისას დღევანდელ პრესკონფერენციაზე მიჟეიმ განაცხადა, 5-წლიანი გეგმის ფარგლებში საქართველოს დახმარება სიღარიბის დაძლევის, დემოკრატიული მმართველობის, გარემოს დაცვის, სასამართლო რეფორმის, იძულებით გადაადგილებული პირების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, კრიზისების პრევენციისა და აღდგენის მიმართულებით გაეწევა.

"პროგრამა მრავალი მიმართულებით მუშაობას გულისხმობს, თუმცა მხოლოდ ჩვენი დახმარება საკმარისი არ არის. საქართველომ სხვა დონორების მოძიებაზეც უნდა იზრუნოს", - დასძინა მან. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## თბილისში ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო საკითხებზე იმსჯელებენ

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში და ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო თბილისში სამშაბათს სემინარს ჩაატარებენ თემაზე "ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო საკითხები."

სემინარის გახსნით ნაწილზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ ტორბენ ჰოლცე - ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში, გიორგი ბარამიძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ჯემალ ინაიშვილი - სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, თამარ კოვზირიძე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, კონსტანტინე ზალდასტანიშვილი - საქართველო-ევროკავშირის ბიზნესსაბჭოს გენერალური მდივანი და სოფია მუნიოზი - რუსეთთან, დსთ-სთან, კანდიდატ ქვეყნებთან და ბალკანეთთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ევროკომისიის ვაჭრობის დირექტორატში.

სემინარზე გამოვლენ ქართული ბიზნესის და მთავრობის წარმომადგენლები, ქართველი ექსპერტები და ევროკომისიის ექსპერტები ვაჭრობის საკითხებში. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## სიღარიბის დაძლევის საკითხებზე საერთაშორისო სემინარი გაიმართა

"განვითარებისა და სიღარიბის აღკვეთის მიდგომები - სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პერსპექტივები", - ამ თემაზე საერთაშორისო სემინარი გაიმართა 11-15 ივლისს ბაკურიანში, - აცობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფიდან".

სემინარში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები მონაწილეობდნენ, რომელთა შემადგენლობაში სამივე ქვეყნის პოლიტიკოსები, ეკონომისტები, სტუდენტები, ჟურნალისტები და არასამთვარობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ.

სემინარის ორგანიზატორები იყვნენ "ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო" და "ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი". შეხვედრაზე მოწვეული იყო ევროპაში ცნობილი მეცნიერი ტიბორ მახანი, რომელიც საქართველოში ლიბერალიზმის იდეების მსოფლმხედველობის გავრცელებით დაინტერესდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## ონის რაიონში სანატორიუმი და პანსიონატი იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად ონის რაიონში მდებარე ორი ობიექტი გამოიტანა. კურორტ შოვში სს "პანსიონატი მამისონის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 99,8482%-ის საწყისი გასაყიდი ფასი 500 ათას აშშ დოლარს შეადგენს. ობიექტის საწესდებო კაპიტალი 94 884 აშშ დოლარია, დებიტორული დავალიანება - 66 260,3 ლარი, კრედიტორული დავალიანება - 15,30 ლარი. გასაყიდი ობიექტის ქონებაში სხვადასხვა სახის შენობა-ნაგებობები შედის, მათ შორის ახალი მე-4 კორპუსი, შვიდი კოტეჯი, მეტეოსადგური და სხვა. მიწის ფართი 172 500 მ2 შეადგენს. კურორტ უწერაში სს "ფაზისის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 99,8925% იყიდება. ობიექტის საწყისი ფასი 300 ათასი აშშ დოლარია. "ფაზისის" საწესდებო კაპიტალი 256 728 ლარია, დებიტორული დავალიანება - 779 ლარი, კრედიტორული დავალიანება - 37 824 ლარი.

ობიექტის ქონებაში შედის საცხოვრებელი კორპუსი 2 746 მ2 საცხოვრებელი ფართით, სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, მათ შორის სამკურნალო დანიშნულების. მიწის ფართის სიდიდე 52 500 მ2-ია. ობიექტები აუქციონის წესით გაიყიდება, რომელიც 17 აგვისტოს გაიმართება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# "მშრალი რუსული ზაფხული"

პირველი გვერდიდან

**"თუ ადრე კლიენტები ჩვენს ღვინოებს ყურადღების ღირსადაც არ თვლიდნენ, ახლა ჩვენს პროდუქციას ოქროს წონა აქვს,"** - ამას კომპანია "ღვინის სამყაროს" წარმომადგენელი ანდრეი ეგოროვი ზაფხულის დასაწყისში აცხადებდა. თუმცა რუს მოხმარებელს, შესაძლოა, რუსული ღვინოებიც სანატრელი გაუხდეს.



საქმე იმაშია, რომ ჯერ იყო და ქართული და მოლდოვური ღვინის გარეშე დარჩენილი რუსეთის მოსახლეობამ შექმნილ მდგომარეობასთან შეგუება დაიწყო, რომ ჰორიზონტზე ეროვნული პროდუქციის დეფიციტის საფრთხეც გაჩნდა. რუსული ბაზრის მონაწილეები ეროვნული პროდუქციის დახლებიდან გაქრობას უკვე აგვისტოდან ელიან.

ეს პროცესი ჯერ კიდევ ივნისში დაიწყო. მაშინ ძალაში "ეთილის სპირტის, ალკოჰოლური და სპირტშემცველი პროდუქციის წარმოების და ბრუნვის რეგულირების შესახებ" ახალი სახელმწიფო კანონი ამოქმედდა, რომელმაც ეროვნული პროდუქციისთვის სპეციალური ფედერალური მარკები, იმპორტირებულისთვის კი - ახალი აქციზები შემოიღო. კანონის მიღების პერიოდში, ახალი აქციზური მარკების შემოღების ოფიციალურ მიზეზად ამ სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგება დასახელდა.

რუსეთში ალკოჰოლური პროდუქციის ძველი აქციზური მარკებით იმპორტი პირველ აპრილამდე იყო შესაძლებელი (შემდეგ ვადამ პირველ ივლისამდე გადაიწია). თუმცა სახელმწიფოსგან პროდუქციისთვის ახალი მარკების მიღება არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. იმპორტიორების განცხადებით, მათ მარკები, გასული წლის ნოემბრის ნაცვლად, მხოლოდ ამ წლის მაისის მეორე ნახევარში მიიღეს. შედეგად ბაზარზე პროდუქციის დეფიციტი შეიქმნა, რაც საბოლოოდ დახლებიდან იმპორტირებული პროდუქციის გაქრობამდე მივიდა.

ეს პრობლემა, პირველ რიგში, ახალი ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის დანერგვითაა გამოწვეული, სადაც ბაზრის ყველა მონაწილე უნდა დარეგისტრირდეს. ყოველ შემთხვევაში ასე წერენ რუსულ მედიაში. თუმცა, ამ ეტაპზე, მათივე შეფასებით, რეგისტრაციის ჩატარება ტექნიკურად შეუძლებელია. შედეგად, ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებლებს ახალი აქციზური მარკების მიღება არ შეუძლიათ, ამის გარეშე კი, რუსეთში ალკოჰოლური ნაწარმის გაყიდვა აკრძალულია.

ამასთან, მაგალითად, კომპანია "კალიბრის" გაყიდვების მენეჯერის ვლადისლავ დომაშენკინის თქმით, პირველი ივლისიდან მოყოლებული მის კომპანიას აღნიშნული სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, არც ერთი ყუთი არაყი არ გადმოუტვირთავს. სამარას ერთი-ერთი ალკოჰოლური კომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით კი, მიუხედავად იმისა, რომ მისმა კომპანიამ აღნიშნული სისტემისთვის საჭირო აღჭურვილობა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ შეიძინა, სისტემაში მუშაობის დაწყება მაინც უჭირს. **"პროგრამის გამუდმებული პრობლემების გამო დღე-ღამეში 1,5 მილიონი რუბლის ღირებულების პროდუქციის გადმოტვირთვა ფერხდება,"** - აღნიშნავს ალკოჰოლური კომპანია "სენსაცია-პრემიერის" კორპორატიული მმართველი ალექსანდრ აგეევი.

ბაზრის სტაბილიზაცია, რუსი ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ ნოემბრიდანაა მოსალოდნელი. ისე კი, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების შეფასებით, ეს ხარჯები გამართლებულია. აი, რას ამბობს სახელმწიფო დუმის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ვალერი დრაგანოვი: **"ახლო წარსულში ფალსიფიცირებული ალკოჰოლის წილი ყოველგვარ ზღვარს აჭარბებდა. ახალ კანონს ამის გამოსწორების ძალა შესწევს. ბოლოს და ბოლოს, რაც უფრო ნაკლები არაყი იქნება წარმოებული, მით უფრო ხარისხიანი იქნება ის. მითუმეტეს, რომ ის ყველას ეყოფა."**

რუსი მომხმარებლებისთვის, შესაძლოა, შევბად იქცეს ერთი ფრიად დამაიმედებელი ინფორმაცია: მოლდოვური ღვინოების რუსულ ბაზარზე დაბრუნება შესაძლოა ამ ზაფხულში მოესწროს. ამის შესახებ მოლდოვის პარლამენტის წევრმა მარიან ლუპუმ რუს ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისივე თქმით, ე.წ. "ღვინის ომი" კიშინოვისთვის კარგი გაკვეთილი აღმოჩნდა, რომელმაც ახალი ბაზრების ძიების აუცილებლობა აჩვენა.

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მოლდაველი ექსპერტები მოსკოვში მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

**"რუსეთმა კიშინიოვში ამ პრობლემის მოგვარების წინადადებით თავად გამოაგზავნა წერილი. ეს პირველი შემთხვევა იყო, 27 მარტის შემდეგ, რომ მოსკოვმა მოლაპარაკებებზე ოფიციალურად დაგვპატიჟა. ეს კარგი ნიშანია და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი დელეგაცია დადებითი შედეგებით დაბრუნდება"** - განუცხადა სააგენტო "ინტერფაქსს" მოლდავეთის ღვინის ექსპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ გეორგი კოზუბმა. მისი თქმით, მოლდავური მხარე მოსკოვში კარგად მომზადებული წინადადებებით ჩავიდა.

ექსპერტების შეფასებით, ის, რომ რუსეთი თავად წამოვიდა მოლაპარაკებებზე, ნათლად მიუნიშნებს, რომ ღვინის ომით არა მარტო მოლდავეთი და საქართველო დაზარალდნენ.

აი, საქართველოს მხრიდან კი, გენადი ონიშენკოს განცხადებით, (რომელსაც უკვე წარდგენაც აღარ სჭირდება) ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მცდელობების კუთხით არაფერი კეთდება. **"ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არაფერია ცნობილი. როგორც ჩანს, საქართველოში რუსეთის ბაზარი აღარ აინტერესებთ,"** - განაცხადა ონიშენკომ რამდენიმე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე.

# "სმარტი" ამერიკისთვის ემზადება

მრავალწლიანი განხილვებისა და ჭოჭმანის შემდეგ, "დაიმლერკრაისლერმა" თავისი სამოდელო გამის ყველაზე პატარა ავტომობილის, ჯუჯა "სმარტის" აშშ-ში გაყიდვა გადაწყვიტა. გეგმის მიხედვით, გერმანულ-ამერიკული კომპანია ახლანდელი ორადგილიანი მოდელის შემცვლელს დაამზადებს და მას ოკეანისგაღმურ ბაზარზე 2008 წელს გაიტანს.

"დაიმლერკრაისლერი" მსოფლიოში სიდიდით მეხუთე საავტომობილო კომპანიაა და ის თავის ყველაზე პატარა ავტომობილს მსოფლიოს 36 ქვეყანაში ჰყიდის. ამის მიუხედავად, დღიდან დაარსებისა (1998 წლის ოქტომბერში შეიქმნა), "სმარტი" წამგებიანია. ცოტა ხნის წინ, "დაიმლერკრაისლერმა" მისი რეორგანიზაცია დაიწყო, რომლის შედეგად, ის მერმისიდან მომგებიანი საწარმო უნდა გახდეს. ამჟამად კი "სმარტის" ყველაზე დიდი ბაზარი იტალიაა, სადაც წლიურად საშუალოდ 40 000 ცალი ორადგილიანი ჯუჯა იყიდება.

"დაიმლერკრაისლერის" ბიზნესგეგმა აშშ-ში წლიურად მინიმუმ 20 000 "სმარტის" გაყიდვას ითვალისწინებს. იქ ამ ავტომობილების გასაღების უმთავრეს არედ წინასწარ მიჩნეულია ქვეყნის აღმოსავლეთის და დასავლეთის რეგიონები. სხვათაშორის, "ბეემვე" აშშ-ში დაახლოებით 40 000 ცალ "მინის" ჰყიდის.

საერთოდ, "სმარტის" ამერიკული დებიუტი გაცილებით ადრე იგეგმებოდა, მაგრამ ეს იმის გამო



*დიტერ ცეტშე (მარცხნივ) და როჯრ პენსკე "სმარტის" პრეზენტაციაზე.*

არ მოხერხდა, რომ ახლანდელი მოდელი მეტად წამგებიანია, რეორგანიზაციის პროცესში კი ახალ ბაზარზე მისი გატანა "დაიმლერკრაისლერმა" არ ისურვა.

"სმარტის" გაყიდვები კიდევ უფრო შემცირდა ამ წლის დასაწყისში. პირველ ხუთ თვეში კომპანიამ სულ 49 400 ავტომობილის გაყიდვა შეძლო, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 21.5-პროცენტიანი კლებაა.

ახალი "სმარტი" ბაზარზე სამი მოდიფიკაციის სახით გამოვა, აშშ-ში და პუერტო რიკოში კი მის რეალიზაციას კისრულობს სადილერო კომპანია "იუნაიტიდაუტო", რომელიც ამერიკელ მილიარდერ როჯერ პენსკეს ეკუთვნის.

"ჩვენ "სმარტს" უკვე ვყიდით კანადაში და იქ მიღწეული შედეგებით კმაყოფილნი ვართ. ვიმედოვნებ, ახალი მოდელით აშშ-სა და პუერტო რიკოშიც ანალოგიური წარმატებით ვიმუშავებთ. ჩვენს იმედებს ამყარებს ის ფაქტიც, რომ საწვავის გაძვირებასთან ერთად, მატულობს მოთხოვნილება ეკონომიურ ავტომობილებზე", - განაცხადა "დაიმლერკრაისლერის" მთავარმა აღმასრულებელმა დიტერ ცეტშემ.

"ამ პატარა ავტომობილების აშშ-ში დებიუტისთვის უკეთეს დროს ალბათ ვერც შევარჩევდით. დარწმუნებული ვარ, მალე "სმარტის" ნიუ იორკის, მაიამისა და სიეტლის ქუჩებში ხილვა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი გახდება, როგორც ეს რომში, ბერლინსა და პარიზშია", - დასძენს ცეტშე, თუმცა მისი ოპტიმიზმი შესაძლოა არც იყოს გამართლებული, რასაც რამდენიმე მიზეზი აქვს.

მოსალოდნელია, რომ ამერიკაში "სმარტის" ღირებულება დაახლოებით 15 000 დოლარი იქნება. ამ ფასად შესაძლებელია ოთხ და ხუთადგილიანი ჰეჩბეკების და სედანების ყიდვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პატარა ავტომობილს დებიუტისთანავე შეიძლება დიდი პრობლემები შეექმნას. მითუმეტეს, რომ სიგრძეში ის სულ 2.5 მეტრია (თითქმის ორჯერ მოკლე, ვიდრე აშშ-ში ყველაზე პოპულარული სედანი "ტოიოტა ქამრი"). უფრო მეტიც, "სმარტზე" დაახლოებით 50 პროცენტით გრძელია "მინი კუპერი", რომელიც ბოლო ხანებში აშშ-შ დიდი პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობს.

"დაიმლერკრაისლერს" "სმარტის" რეორგანიზაცია დაახლოებით მილიარდი ევრო დაუჯდება. ამ თანხის ნაწილს მიიღებს ყოფილი პარტნიორი "მიცუბიში მოტორსი", რომელიც ჰოლანდიურ ქარხანა "ნედქარში" (იქ ხდება სუბკომპაქტური "მიცუბიში კოლტის" წარმოება) "სმარტის" წარმოების შეწყვეტის გამო ზარალს განიცდის. თანხის ნაწილი მოხმარდება იაპონური კომპანიისგან გერმანული ქარხნის გამოსყიდვას, რომელიც "სმარტისა" და "მიცუბიშისთვის" ძრავებს აწარმოებს.

## სამი ბრიტანელი ბანკირი ამერიკაში ექსტრადიციით ჩაიყვანეს

ამერიკული ენერგეტიკული კომპანია Enron-ის გაკოტრებაში ეჭვმიტანილი სამი ბრიტანელი ბანკირი ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსტრადიციით ჩაიყვანეს. მათ ბრალი ფასიანი ქაღალდებით მანიპულაციაში ედებათ.

დევიდ ბირმინგემი, გერი მალგრუ და ჟაილს დებრი ბადრაგმა აეროპორტამდე მიაცილა და ამერიკაში, ტეხასის მიმართულებით მიმავალ თვითმფრინავში ჩასვა. ასე რომ, დიდმა ბრიტანეთმა, პარლამენტში და ინგლისის საქმიან წრეებში მიმდინარე ხმაურიანი პროტესტის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების კატეგორიული მოთხოვნა დააკმაყოფილა და დამნაშავე ბანკირები ამერიკას გადასცა. შეგახსენებთ, რომ ამერიკა ბრიტანელი ბანკირების ექსტრადიციას 2004 წლის თებერვლიდან მოითხოვდა. მათ ბრალი Enron-ის პრეზიდენტთან ფარული კავშირისა და ბრიტანეთში, კომპანიის აქციების დაბალ ფასებში გაყიდვაში ედებათ. ბრიტანელმა ბანკირებმა გაწეული საქმისთვის ჯილდოს სახით 7,3 მილიონი დოლარი მიიღეს.

ბირმინგემი, მალგრუ და დერბი ამჟერად უკვე ამერიკის სასამართლოს წინაშე წარდგებიან. მათი ექსტრადიცია ამერიკა-ბრიტანეთის 2003 წლის შეთანხმების საფუძველზე შედგა. აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, დამნაშავეების გადაცემის შემთხვევებში, ექსტრადირებულების ბრალეულობის დამადასტურებელი საბუთებიც კი არ არის საჭირო. საინტერესოა ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აღნიშნული შეთანხმების რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენიათ. რის გამოც, ბრიტანელების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ანალოგიურ სიტუაციაში ამერიკა ბრიტანეთის უშიშროებას თავის მოქალაქეებს არ გადასცემდა. ეს ერთადერთი არგუმენტი იყო, რომელსაც ექსტრადიციის მოწინააღმდეგეები ეყრდნობოდნენ. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და აზრთა სხვადასხვაობისა, ბრიტანეთის ხელისუფლებამ ამერიკის მოთხოვნა მაინც დააკმაყოფილა.

## Sony რასიზმში დაადანაშაულეს



კომპანია Sony Computer Entertainment Inc. თავის მომხმარებლებს ყოველთვის მოულოდნელ სარეკლამო გამოსვლებს სთავაზობდა. გასულ წელს, Sony-მ ამერიკის შეერთებულ შტატებში სახლების ფასადები გრაფიტის ნახატებით შეღება. Sony-ის მიერ შემოთავაზებულ სურათებზე ბავშვებს ხელში პოპულარული SonyPlay-Station Portable-ის ჯოისტიკები ეჭირათ. ამ ნახატებმა ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, მაიამისა და ამერიკის სხვა მხატვრების შეშფოთება გამოიწვია.

კომპანია ტრადიციებს არც ამჯერად ღალატობს. წელს, კომპანია Sony-ი ორიგინალობის თვალსაზრისით ისე შორს გაიჭრა, რომ მას ევროპელებისთვის ბოდიშის მოხდაც კი მოუწევს. ევროპელები კომპანიას რასიზმში ადანაშაულებენ. აჟიოტაჟის საფუძველი Sony PlayStation Portable-ს ახალი, თეთრი ფერის სათამაშო ვიდეო-მოწყობილობა გახდა. ივნისის დასაწყისში, ნიდერლანდებში ახალი PSP-ს სარეკლამო კამპანია გაჩაღდა. ამსტერდამში და ქვეყნის სხვა ქალაქებში კომპანიამ სარეკლამო აბრები გამოფინა. სურათზე გამოსახულია ქერა, თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი ქალბატონი, რომელიც ხელში შეშინებულ მუქკანიან გოგონას ათამაშებს. "PlayStation Portable White is coming" (სლოგანი - "sony-ის თეთრი სათამაშო მოწყობილობა უკვე მოდის".)

კომპანიის წარომადგენლები აცხადებენ, რომ სარეკლამო კამპანიის კონცეფცია თეთრისა და შავი ფერების დაპირისპირებაში მდგომარეობს და აქ არანაირ დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს. მიუხედავად ამისა, კომპანია Sony-იმ პროვოკაციული სარეკლამო აბრების ჩამოხსნას თავი მაინც ვერ აარიდა. უფრო მეტიც, Sony-მ შეურაცხყოფილ ევროპელებს ბოდიშიც კი მოუხადა.

## კარლოს გოსნი General Motors-ს არ უხელმძღვანელებს

Renault-Nissan-ის ხელმძღვანელის კარლოს გოსნის აზრით, მისი კომპანიის general Motors-თან გაერთიანება, გლობალური გარიგების ყველა მონაწილისთვის სარფიანი იქნება. დეტროიტში კომპანია General Motors-ის აღმასრულებელ დირექტორთან რიკ უეგონერთან დაგეგმილ შეხვედრაზე, კარლოს გოსნს სამი საავტომობილო კომპანიის სამომავლო გაერთიანების შესახებ კონკრეტული განმარტებები არ გაუკეთებია.

"მე არ მსურს ვისაუბრო გლობალური გარიგების სარგებელზე მანამ, სანამ დასახულ მიზანს ბოლომდე არ მივაღწევთ. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე შემიძლია ვთქვა გახლავთ ის, რომ ნებისმიერ, სერიოზულ გადაწყვეტილებას მას შემდეგ მივიღებთ, რაც Nissan-Renault კომპანია General Motors-ის აქციებს მიიღებს,"-აცხადებს კარლოს გონი. კომპანიებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, საქმე ეხება ფრანგულ-იაპონური კომპანიის მიერ General Motors-ის 20 პროცენტის შესყიდვის მცდელობას.

Wall Street Journal-ის მიერ დასმულ შეკითხვაზე, შედგება თუ არა კომპანიებს შორის გარიგება, გოსნი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პასუხობს: "ვფიქრობ, რომ შედგება". წარმატების შემთხვევაში, სამი კომპანიის გლობალური ალიანსი მსოფლიო საავტომობილო ბაზრის 24 პროცენტს გააკონტროლებს. მათი ერთობლივი შემოსავალი კი 327 მილიარდ დოლარს მიაღწევს. კარლოს გოსნი აცხადებს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე ბევრ დროს არ დაკარგავს. შედგება თუ არა გარიგება Nissan-Renault-სა და General Motors-ს შორის, უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. Nissan-Renault-ის ხელმძღვანელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ General Motors-თან შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ის ამერიკულ კონცერნს არ უხელმძღვანელებს.

## ევროკავშირი საერთაშორისო როუმინგს აიაფებს

ევროკომისია საერთაშორისო როუმინგის გაიაფებას უკვე კატეგორიულად მოითხოვს. ასე რომ, მობილური კავშირგაბმულობის მომხმარებლებს, ქვეყნიდან გასვლის შემთხვევაში, ბევრად უფრო იაფი სატელეფონო საუბრებით უზრუნველყოფს. ევროკომისიის აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული ახალი კანონის თანახმად, საერთაშორისო როუმინგის ფასი ორჯერ გაიაფდება. საერთაშორისო როუმინგის ღირებულების საბოლოოდ ძალაში შესვლის საკითხს კენჭი ევროკავშირისა და ევროპარლამენტის 25-მა მინისტრმა უნდა უყაროს. ევროპის სამომხმარებლო ორგანიზაციები ახალ კანონპროექტს სიხარულით შეხვდნენ. ისინი აცხადებენ, რომ მისი განხორციელება ტურისტებს ძვირადღირებული სატელეფონო მომსახურებისგან გაათავისუფლებს. მათი გათვლებით, ევროპელი მობილური კავშირგაბმულობის მომხმარებლები გაიაფებული როუმინგის წყალობით წელიწადში დაახლოებით 3,7 მილიარდ ფუნტს დაზოგავენ. ევროკომისიის ერთ-ერთი წარმომადგენლის ვივიენ რედინგის თქმით, მრავალი წლის მანძილზე, საერთაშორისო როუმინგის ფასი, მობილური კავშირგაბმულობის ბაზრის მონაწილეთა არაერთი თხოვნის მიუხედავად, მაინც იზრდებოდა.

დღეს, მობილური ტელეფონიდან საზღვარგარეთ განხორციელებული ზარის ღირებულება ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში 1 ფუნტი სტერლინგია (1,7 დოლარი). მაგალითად: საფრანგეთში ჩამოსული ბრიტანელი მობილური ტელეფონით სახლში დარეკვისას, 4 წუთში 2,38 ფუნტს იხდის. მობილური ტელეფონიდან საზღვარგარეთ განხორციელებული ზარები, ადგილობრივთან შედარებით 18-ჯერ ძვირია. ვივიან რედინგმა განაცხადა, რომ საერთაშორისო როუმინგზე დაწესებული ახალი ტარიფები ძალაში 2007 წლიდან შევა, თუმცა ევროკომისიის დანარჩენი წევრები ვარაუდობენ, რომ როუმინგის საფასურის დაწევის პროცესი შესაძლოა რამდენიმე წელი გაგრძელდეს. მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორები კი ხელისუფლების სატარიფო პოლიტიკაში ჩარევით უკმაყოფილონი არიან. კომპანია Vodafone-ის წარმომადგენლები ევროპელი ჩინოვნიკების გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებენ. ექსპერტების აზრით, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები ზარალის კომპენსაციას ქვეყნის შიდა ზარებზე საფასურის გაზრდით მოახდენენ. დღევანდელი მონაცემებით, საერთაშორისო როუმინგის მომსახურებით ევროპის 147 მილიონი მოქალაქე სარგებლობს. როუმინგის ბაზარი კი, ექსპერტების შეფასებით, წელიწადში 8,5 მილიარდ ევროს აღწევს.

# ახალი "ჩინკვეჩენტო" - "ფიატის" აღორძინების იმედი

პირველი გვერდიდან



ბუმი 1957-1975 წლებში გრძელდებოდა. ამ პერიოდში "ფიატმა" სულ 3.7 მილიონი "ჩინკვეჩენტო" გაყიდა. მერე კი ბაზრის მოთხოვნები შეიცვალა (საშუალო ფენას პატარა ავტომობილები აღარ იზიდავდა) და ტურინშიც გადაწყვიტეს, რომ "ჩინკვეჩენტომ" თავისი დრო მოჭამა.

თუმცა, ტადესკოები სულ სხვაგვარად ფიქრობენ: ოჯახის უფროსი 60 წლის ჩირო ტადესკოა, რომელსაც ერთი "ჩინკვეჩენტო" ჰყავს. მის შვილს, 35 წლის მატეოს ორი "ჩინკვეჩენტო" უყენია ფარეხში, მისმა უმცროსმა დამ, 22 წლის ალესიამ ცოტა ხნის წინ თავისი პირველი ავტომობილი - 1971 წელს გამოშვებული "ჩინკვეჩენტო" შეიძინა. ეგ კიდევ არაფერი, ჩიროს ორ სიძესაც თითო "ჩინკვეჩენტო" ჰყავს.

ოჯახის უფროსი ხუმრობით ამბობს - სიძეებმა "ჩინკვეჩენტო" შეიძინეს და მერე გახდნენ ჩემი ოჯახის წევრებიო. ერთხელ კი იტალიის ყოფილ პრემიერ მინისტრ სილვიო ბერლუსკონის უთქვამს, ჩვენი თაობის ბევრმა ბიჭმა პირველად გოგოს "ჩინკვეჩენტოში" აკოცაო.

თავი დავანებოთ ტადესკოებს და მათ გატაცებას. მსგავსი გატაცება ახლა "ფიატსაც" გაუჩნდა, რომელიც მალე დაიწყებს ახალი თაობის "ჩინკვეჩენტოს" წარმოებას. მერმის "ფიატ 500-ს" 50 წელი უსრულდება და ახალი მოდელის დებიუტიც ამ იუბილეს დაემთხვევა. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ "ფიატი" მასზე კიდევ ერთხელ დაამყარებს იმედებს. პირველად "ჩინკვეჩენტო" იტალიის და "ფიატის" აღმავლობის სიმბოლო გახდა, ახლა კი კონცერნი მისი მეშვეობით კრიზისის საბოლოო დაძლევას და ევროპის ავტობაზარზე პოზიციების დაბრუნებას ეცდება.

არცთუ დიდი ხნის წინ, ანიელების ოჯახმა, რომელიც "ფიატის" აქციების საკონტროლო (30-პროცენტიან) პაკეტს ფლობს, გადაწყვიტა კონცერნის კიდევ უფრო გაზრდა. ამისათვის, ბაზარზე გამოუშვეს ორი სრულიად ახალი მოდელი - კომპაქტური "სტილო" და მინივენი "მულტიპლა", მაგრამ ამ მოდელებმა კრახი განიცადა. მათ ვერაფრით მოიპოვეს პოპულარობა, რის გამოც კონცერნმა ძლიერ იზარალა. 2000-2004 წლებში "ფიატმა" 7.9 მილიარდი ევრო დაკარგა. შედეგად, კონცერნი, რომელსაც 1980-იან წლებში ევროპულ კომპანიებს შორის ავტომობილების წარმოების მოცულობის მხრივ პირველი ადგილი ეკავა, მე-7 ადგილამდე ჩამოქვეითდა!

შარშან "ფიატის" მთავარმა აღმასრულებელმა სერჯო მარკიონემ სიტუაციის გამოსასწორებლად სასწრაფო რეფორმები დაიწყო - დროებით დაითხოვა 20 000 თანამშრომელი და აქცენტი გადაიტანა პოპულარულ მოდელ "გრანდე პუნტოს" განახლებაზე და მისი წარმოების გაზრდაზე, რითაც მალე მიაღწია მიზანს. სწორედ "გრანდე პუნტოს" წყალობით, რომელიც წარმოების დაწყებიდან 9 თვეში 305 000-იანი ტირაჟით გაიყიდა, ევროპულ ავტობაზარზე "ფიატის" წილი შარშანდელი სექტემბრის 5.7 პროცენტიდან წლევანდელი მაისის 7.9 პროცენტამდე გაიზარდა.

"ფიატი" უკვე მოგებაზე მუშაობს, თუმცა მარკიონე ამას არ სჯერდება და პოზიციების გამყარებას ისეთი ახალი მოდელების გამოშვებით აპირებს, რომლებმაც მოგება უნდა მოიტანოს. სწორედ ასეთად მიაჩნია მას ახალი "ჩინკვეჩენტო". იტალიური კონცერნის მარკეტოლოგები და ხელმძღვანელობა იმედოვნებენ, რომ ყოველწლიურად 120 000 ცალ ახალ "ჩინკვეჩენტოს" გამოუჩნდება მყიდველი.

იმისათვის, რომ მოდელის წარმოებისთვის მომზადების და უშუალოდ, საწარმოო ხარჯები შემცირდეს, "ფიატი" ამ ავტომობილს პოლონეთში გამოუშვებს. სხვათა შორის, ამ მოდელის შემუშავებაზე "ფორდის" სპეციალისტებიც მუშაობენ, რომლებიც მომავალში თავიანთ ნამუშევარს "ცისფერი ოვალის" შესაბამისი კლასის მოდელის გამოშვებისას გამოიყენებენ. ყოველივეს გამო კი მნიშვნელოვნად შემცირდება ახალი "ჩინკვეჩენტოს" თვითღირებულება და ბაზარზე ის გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანი გახდება. სხვათა შორის, იქ მას თავისი კლასის სამი შესანიშნავი კონკურენტი ელის "ტოიოტა აიგოს", "სიტროენ C1-ს" და "პეჟო 107-ის" სახით. უფრო საინტერესო კი ისაა, რომ ეს სამივე მოდელიც პრაქტიკულად ერთიდაიგივე ავტომობილია - მისი შექმნისას სამივე კომპანიის კონსტრუქტორები მუშაობდნენ, მიზეზი კი იგივეა - წარმოებისთვის მოსამზადებლად საჭირო ხარჯების მინიმიზაცია.

"ფიატის" მარკეტოლოგებმა ახალ "ჩინკვეჩენტოს" ბაზარზე გზის გასაკვალად უკვე მოუძებნეს ორიენტირი. ესაა ლეგენდარული "მინი", რომელიც განახლებული სახითაც თითქმის ისეთივე პოპულარულია, როგორც ლეგენდარულ კონსტრუქტორ ალექს ისიგონისის მიერ შექმნილი მოდელი.

"ახალი "ჩინკვეჩენტო" იქნება პატარა ავტომობილების კლასის "მინი". ავტომობლი, რომელიც ინდივიდუალობით, საკუთარი ხასიათით გამოირჩევა", - ამბობს "ფიატის" მარკეტინგის მენეჯერი ჯოვანი აკონჯაჯოკო (Giovanni Accongiagioco).

მას შემდეგ, რაც "მინი" გერმანულმა "ბეემვემ" შეიძინა (სხვა ინგლისურ მარკა "როვერთან" ერთად) გერმანულმა გიგანტმა ამ მოდელის განახლება გადაწყვიტა და 2001 წელს გამოუშვა განახლებული მოდელი. ახალი "მინი" წინამორბედზე დიდიცაა და ძვირიც, თუმცა მაინც მალე მოიპოვა პოპულარობა - წარმოების დაწყებიდან ბავარიელებმა უკვე 812 588 ცალი ახალი "მინი" გაყიდეს.

ტურინელებსაც იმედი აქვთ, რომ განახლებულ "ჩინკვეჩენტოსაც" მსგავსი წარმატება გარანტირებული ექნება. მითუმეტეს, "მინი" ერთადერთი განახლებული ძველი ლეგენდა როდია, რომელიც ბაზარს დაუბრუნდა - ანალოგიური ბედი ეწია "ფოლკსვაგენ ხოჭოს" (ბიტლს) და "ფორდ მუსტანგსაც", "კრაისლერმა" კი რეტროს სტილის "PT კრუიზერი" აჩუქა ნოსტალგიურ მყიდველს.

მოკლედ, ყველა წინაპირობა და ნიშანი არსებობს იმისა, რომ ავტობაზარი განახლებულ "ჩინკვეჩენტოს" ელის. რა თქმა უნდა, "ფიატი" ხელიდან ვერ გაუშვებს ასეთ შანსს. უფრო მეტიც, დებიუტამდე ტურინელებმა ფაქტობრივად დაიწყეს კიდეც სარეკლამო აქციები. მაგალითად, ახალი "ჩინკვეჩენტოს" ოფიციალურ დებიუტამდე 500 დღით ადრე, გაიხსნა სპეციალური საინტერნეტო ვებ-გვერდი (www.fiat500.com), რომელზეც პოტენციურ მყიდველს შეუძლია, კონცერნს თავისი იდეები შესთავაზოს მომავალი ავტომობილის ინტერიერის დიზაინთან დაკავშირებით. აქციის შედეგი შთამბეჭდავია - საიტს უკვე 3 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავდა, რომელთაგან 65 000-მა კონცერნს თავისი იდეები გააცნო!

კიდევ ერთი საინტერესო სარეკლამო ხერხი, რითაც ტურინელები მყიდველს ახალი "ჩინკვეჩენტოსთვის" ამზადებენ - ისინი სხვათაშორის გვახსენებენ, რომ "ფერარის" საფირმო ფერში (სისხლისფერი) შეღებილი ერთი ძველი მოდელი თვით მიხაელ შუმახერის ფარეხშიც კი დგას!

ისევე როგორც ახალი "მინი", ახალი "ჩინკვეჩენტოც" წინამორბედზე დიდი და მძლავრი იქნება. თუმცა, როგორც ამბობენ, მთავარი არც ზომაა და არც სიმძლავრე. მთავარია, ავტომობილმა მოიგოს ისეთი ადამიანების გულები როგორიცაა მილანელი ჯინო სპიტერი. ეს კაცი 59 წლისაა, მას აქვს საბურავების მაღაზია და ის ჩინკვეჩენტოს მილანური ფანკლუბის ლიდერია. უკვე თითქმის 40 წელია რაც პირველად მიუჯდა ავტომობილის საჭეს და ამ ხნის განმავლობაში უკვე ოთხი "ჩინკვეჩენტო" გამოიცვალა. ახლა მეხუთე ჰყავს - მყვირალა ყვითელი ფერის, თუმცა თავად თურმე ყოველთვის ამბობს, რომ საუკეთესო მოგონებანი პირველმა "ჩინკვეჩენტომ" დაუტოვა, რომელიც 1968 წელს შეიძინა, როცა 21 წლის იყო. პირველ სიყვარულს რა დამავიწყებსო. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ეს ახალმა "ჩინკვეჩენტომ" შეძლოს...

# "ბეემვეს" სხვა კომპანიებთან ალიანსები არ აინტერესებს

მერაბ ლორთქიფანიძე




გერმანული კომპანია "ბეემვე", რომელიც წელს რეკორდულ გაყიდვებსა და შემოსავლებს ელის, აცხადებს, რომ პირველ რიგში, თავის დამოუკიდებელ სტატუსს უნდა უმადლოდეს წარმატებებს. ბავარიული კომპანია უკვე აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ლუქსის კლასის ავტომობილების უდიდესი მწარმოებელი.

"ბეემვეს" მთავარი აღმასრულებელი ჰელმუტ პანკე აცხადებს, რომ შესაძლო ალიანსებს, როგორიც შეიძლება "ჯენერალ მოტორსისა" და "რენო-ნისანის" გაერთიანების შედეგად წარმოიქმნას, მხოლოდ მოკლევადიანი წარმატების მოტანა შეუძლია, შორეულ მომავალში კი ისინი დაშლისთვის არიან განწირულნი.

"ინტეგრაციის პროცესში ბრენდებს პროფილი ეკარგებათ და ისინი მთლიანობაშიც კარგავენ პოპულარობას. ბევრი გვეკითხება, რა არის ჩვენი წარმატებების მთავარი მიზეზი. ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ მთავარი დამოუკიდებლობაა. "ბეემვე" თავისი გზით ვითარდება და სწორედ ესაა მთავარი", - ამბობს პანკე.

ბავარიულ კომპანიას რთული პერიოდი მაშინ დაუდგა, როცა კრიზისში მყოფი ინგლისური კომპანია შეიძინა. თუმცა, როცა პრობლემის მთავარი მიზეზი (ინგლისური კომპანიის წამგებიანობა) დადგინდა, "როვერი" სიმბოლურ ფასად (ათ დოლარად) მიჰყიდა ბრიტანელ ინვესტორთა ჯგუფს.

მას შემდეგ "ბეემვეს" ერთადერთი სტრატეგია აქვს - პრემიუმ კლასის ავტომობილების წარმოება. საკუთრივ "ბეემვეს" გარდა, მასში გაერთიანებულები არიან "როვერისგან" დატოვებული "მინი" და სუპერმდიდრული ავტომობილების მწარმოებელი ინგლისური მარკა "როლს როისი".

პანკე დასძენს, რომ ალიანსების ნაცვლად, ბავარიული კომპანია წარმატებულად იყენებს კონკურენტებთან კოოპერაციულ საქმიანობას. ასეთი საქმიანობის დასტურია ის, რომ "ბეემვემ" თავისი ახალი, უფრო ზოობის საშუალო კლასის მოდელ X3-ის წარმოების უფლება გადასცა ავსტრიულ კომპანია "მაგნა შტეირს". გარდა ამისა, ბავარიელები ფრანგულ კომპანია "PSA პეჟო-სიტროენთან" ერთად მუშაობენ პატარა ძრავების შექმნაზე, რომელსაც მოდელ "მინიზე" გამოიყენებენ. უფრო მეტიც, ისინი "ჯენერალ მოტორსთან" და უშუალო კონკურენტ "დაიმლერკრაისლერთან" ერთად მუშაობენ მომდევნო თაობის ორძრავის შექმნაზე.

პანკე ირწმუნება, რომ დოლარის კურსის შემცირება გავლენას ვერ მოახდენს ბავარიული კომპანიის მიერ ნავარაუდევ მოგებაზე, რამაც გადასახადების გადახდამდე დაახლოებით 4 მილიარდი ევრო (5.1 მილიარდი დოლარი) უნდა შეადგინოს.

პანკე არ მალავს, რომ ასაკის მიუხედავად (ბავარიული კომპანიის სტანდარტით, მთავარი აღმასრულებლის თანამდებობაზე არ უნდა მუშაობდეს 60 წელს გადაცილებლი მენეჯერი), კვლავაც "ბეემვეს" მთავარ აღმასრულებლად დარჩენა სურს. გარდა ამისა, მას და კომპანიის მენეჯმენტს ჯერაც არ გადაუწყვეტია, როდის და რა საშუალებითაა შესაძლებელი "ბეემვეს" აქციების 10 ან მეტი პროცენტის გამოსყიდვა და რა დაჯდება ეს აქცია.

"ბეემვეს" ხელმძღვანელობას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის არალოიალურადაა განწყობილი თავისი აქციონერების მიმართ. ამის საპასუხოდ, კომპანიამ შარშან პირველად გამოაქვეყნა თავისივე აქციების შეძენის პროგრამა. ეს პროგრამა თებერვალში ამოქმედდა, როცა "ბეემვემ" თავისი აქციების დაახლოებით 3 პროცენტი გამოისყიდა, თითოეული 37.51 ევროს საფასურად.

სხვათა შორის, "ბეემვეს" ვალუტის გადაცვლის საკუთარი სისტემა გააჩნია, რომელშიც ევროს ფასი დოლართან მიმართებაში 1.15-1.17 შორის მერყეობს. ეს იმის მიუხედავად, რომ ევროს რეალური ფასი ამაზე თითქმის 10 პროცენტით მეტია. სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომა აძლევს პანკეს იმის თქმის საშუალებას, რომ "ბეემვეს" დოლარის კურსის დაცემა არ აზარალებს. ეს იმ დროს, როცა ბავარიული კომპანიისთვის აშშ-ს ბაზარი ცალკე აღებული ქვეყნების ბაზრებს შორის უდიდესია და ..., ყველაზე მნიშვნელოვანია.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გასული კვირის ბოლოს მომხდარი კლების შემდეგ ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. საბირჟო მოედნებზე მიმდინარე მოვლენებზე კვლავინდებურად გავლენას ახდენს მსოფლიოში არსებული დაძაბული გეოპოლიტიკური სიტუაცია, თუმცა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის შემცირებამ და რამდენიმე დამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლემ. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მსოფლიოს უმსხვილესი ფინანსური ჯგუფის, Citigroup Inc-ის მოგება 4 პროცენტით, 5,27 მილიარდი დოლარამდე, მოტოციკლების მწარმოებელი განთქმული ამერიკული კომპანიის Harley-Davidson Inc-ის მოგება კი 2,9 პროცენტით, 478 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,28 პროცენტით, 10.769,61 პუნქტამდე გაიზარდა. 0,15 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.040,39 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,06 პროცენტით, 1.236,94 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა მოიკლო

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. მართალია, ვაჭრობის დაწყებისთანავე Brent-ის მარკის ნავთობი ძალიან გაძვირდა და მისმა ფასმა ახალ ისტორიულ მაქსიმუმს - 78,08 დოლარი/ბარელს მიაღწია, მაგრამ შემდეგ "შავი ოქროს" ფასი მკვეთრად დაეცა და, საბოლოოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 77,25 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 76,12 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში კვლავ რთული სიტუაციაა, ნავთობის ფასის კლება მნიშვნელოვანი გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაციამ და შესყიდვებისადმი ინტერესის კლებამ განაპირობა. შეგახსენებთ, რომ გასული კვირის ბოლოს მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური სიტუაციისა და აშშ-ში ნედლი ნავთობისა და ბენზინის მარაგის კლების გამო ნავთობის ფასმა სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია, კერძოდ, პირველად ისტორიაში 78 დოლარი/ბარელის მაჩვენებელს გადასცდა. ასევე, "ოპეკის კალათის" ფასიც პირველად ისტორიაში 71 დოლარი/ბარელის მაჩვენებელი გადასცდა და 71,71 დოლარი/ბარელი შეადგინა.

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 671,5 დოლარამდე გაძვირდა, ვერცხლის ფასმა 11,81 დოლარი/უნციას მიაღწია, პლატინა 1267,5 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 334,5 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფასების ზრდას კვლავინდებურად მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება, კერძოდ, ისრაელისა და ლიბანის კონფლიქტი, ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებული დაძაბულობა და ჩრდილოეთ კორეის მთავრობის დემარში განაპირობებს. მოგეხსენებათ, მსგავს სიტუაციაში ოქრო, რომელიც სხვა ძვირფასი ლითონების ფასზე დიდ გავლენას ახდენს, ინვესტირებისათვის მეტად მიმზიდველია. ანალიტიკოსთა აზრით, რომ არა ნავთობის გაიაფება და დოლარის კურსის გამყარება, ძვირფასი ლითონები კიდევ უფრო მკვეთრად გაძვირდებოდა. უახლოეს მომავალში ექსპერტები ძვირფასი ლითონების გაიაფებას არ ვარაუდობენ, შესაძლებელია, მათმა ფასმა მოგების ფიქსაციის გამო მხოლოდ დროებით დაიკლოს.

## შაქრის წარმოება 0,2 პროცენტით გაიზარდა

გერმანული კომპანია F.O.Litch-ის ექსპერთა განცხადებით, მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, რომელიც სექტემბერში დასრულდება, მსოფლიოში შაქრის წარმოება შარშანდელთან შედარებით 0,2 პროცენტით გაიზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ ანალიტიკოსთა ადრინდელი პროგნოზი 5 მილიონი ტონა შაქრის დეფიციტის არსებობის და საკონდიტრო წარმოებაში რეზერვების გამოყენების საფრთხის შესახებ არ გამართლდება. ერთი წლის განმავლობაში ნიუ იორკის სასაქონლე ბირჟაზე შაქრის ფასმა 67 პროცენტით მოიმატა და თებერვალში 0,18 დოლარი/ფუნტს (1 ფუნტი=0,4536 კგ) მიაღწია. ამ დროისათვის, მისი ფასი 0,1602 დოლარი/ფუნტს შეადგენს. ექსპერტთა ვარაუდით, მიუხედავად წარმოების გაზრდისა, დიდი მოთხოვნილების გამო, შესაძლოა, შაქრის ფასმა კიდევ უფრო მოიმატოს, მაგრამ 0,2 დოლარი/ფუნტს არ ასცდება.

## კომპანია Intel სამუშაო ადგილებს ამცირებს

News York Times-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მიკროპროცესორების საერთაშორისო ბაზრის ლიდერი კომპანია Intel-ი 1000 თანამშრომელს სამსახურიდან გაათავისუფლებს. ცვლილებებს კომპანიაში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდით ხსნიან. შემცირებები ძირითადად კომპანიის მენეჯერებს შეეხებათ, ტექნიკური პერსონალის ძირითად ნაწილს კი კომპანიის ხელმძღვანელობა არ დაითხოვს. შემცირებაში კომპანია Intel-ის თანამშრომლების ერთი პროცენტი მოყვება, თუმცა ხელმძღვანელობა თანამშრომლების შემცირებით მიღებულ დანაზოგზე საჯაროდ საუბარს ჯერ არ აპირებს. ივნისში, Intel-მა განაცხადა, რომ კომპანია Marvell Technology Group-ის საკომუნიკაციო აპარატურისთვის ჩიპების წარმოების განყოფილებას ყიდის. კომპანიის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ეს ბიზნესი მათი კომპანიისთვის მოგებიანი არ არის. ჩიპების წარმოების შესყიდვის შედეგად დაზოგილ 600 მილიონ დოლარს, კომპანია პერსონალური კომპიუტერების მიკროპროცესორების წარმოებაში ჩადებს.

# "სახალხო ბანკმა" შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომანქანები აჩუქა

სალომე ძაძამია

"სახალხო ბანკმა" სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციას საჩუქრად 5 ავტომანქანა "ნივა", ხოლო პოლიციის უფროს მერაბ გერგაიას ჯიპი გადასცა. როგორც "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძე განმარტავს, ეს საჩუქარი პოლიციამ დამსახურებულად მიიღო.

როგორც ცნობილია, არც ისე დიდი ხნის წინ "სახალხო ბანკის" სენაკის ფილიალი გაძარცვეს. სამეგრელო ზემო სვანეთის პოლიციამ საქმე სამ დღეში ოპერატიულად გახსნა. დამნაშავეები დააკავეს, გატაცებული ნივთები და თანხა ბანკმა უკან დაიბრუნა.

"სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი აღნიშნავს, შინაგან საქმეთა სამინისტრო, კონკრეტული შემთხვევის გარდა, სოციალური პროექტების განხორციელებაშიც მხარს უჭერს "სახალხო ბანკს".

"სახალხო ბანკის" დირექტორი გიორგი გოგუაძე: "მოგეხსენებათ "სახალხო ბანკი" უკვე ორი წელია სოციალურ პროექტებს ახორციელებს. ამ საქმეში ყოველთვის აქტიურად გვიჭერს მხარს შინაგან საქმეთა სამინისტრო. გვეხმარება ტვირთის ადგილზე მიტანაში. ჩვენს ეფექტურ მუშაობაში დიდი წვლილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შეაქვს. ძალიან მადლიერი ვარ სამეგრელო ზემო სვანეთის პოლიციის თანამშრომლების, რადგან მათ სენაკის ინციდენტი სამ დღეში გამოიძიეს და დამნაშავეები დააკავეს. მადლიერების ნიშნად მათ გადავცემთ ავტომანქანებს. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ნაყოფიერ თანამშრომლობას."

სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის, მერაბ გერგაიასთვის საჩუქარი მოულოდნელი იყო. მისი განცხადებით, პოლიციამ თავისი მოვალეობა შეასრულა და სხვა შემთხვევებშიც მსგავსად მოიქცევიან, თუმცა სასიამოვნოა, რომ "სახალხო ბანკმა" მადლობა ასეთი ფორმით გამოხატა.

"პოლიციის მოვალეობაა ოპერატიულად გახსნას ნებისმიერი საქმე. "სახალხო ბანკის" სენაკის ფილიალის გაძარცვის საქმე რეკორდულ დროში, სამ დღეში გაიხსნა. ჩემთვის მთავარია, რომ დაკისრებული მოვალეობა შევასრულეთ. თუმცა ისიც სასიამოვნოა, როდესაც შენს მუშაობას აფასებენ. აღნიშნული ავტომანქანები გადაადგილების პრობლემას მოგვიხსნის, მოგეხსენებათ, ჩვენი სამეგრელო ზემო სვანეთი რთული რეგიონია. ნამდვილად არ ველოდი ასეთ საჩუქარს. თუმცა არსებობენ კეთილი ადამიანები, ბატონი გიორგი გოგუაძის სახით, რომლებიც შრომას აფასებენ." განაცხადა სამეგრელო ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა მერაბ გერგაიამ.

# "საქართველოს ბანკის" კაპიტალი რვა მილიონით გაიზარდა

"საქართველოს ბანკმა" 750,000 ახლადემიტირებული აქციის რამდენიმე არსებული ინსტიტუციონალური ინვესტორისთვის მიყიდვის შესახებ განაცხადა. ახლადემიტირებული აქციების გაყიდვის ხარჯზე ბანკის კაპიტალი კიდევ რვა მილიონი დოლარით გაიზარდა. ბანკის ახლადემიტირებული აქციები კერძო შეთავაზების სახით შეისყიდეს "ისთ კაპიტალის" (East Capital) და "ფაიარბერდის" (Firebird) ფონდებმა, აგრეთვე "Bank Austria Creditanstalt"-მა (რომელმაც აქციები თავისი ინსტიტუციონალური კლიენტების სახელზე შეისყიდა). ამ გარიგების შედეგად "Bank Austria Creditanstalt"-მა საკუთარი ნომინალური წილი (ინსტიტუციონალური კლიენტების სახელზე) მთლიან გამოშვებულ აქციებში გაზარდა 24.9%-მდე. მთლიანად ახალი აქციების განთავსება მოხდა 19.27 ლარის ოდენობით თითო აქციაზე.

"საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ლადო გურგენიძის განცხადებით, **"მნიშვნელოვანია, რომ "საქართველოს ბანკის" ბევრმა ძირითადმა აქციონერმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა ბანკის განვითარების მიმართ და შეისყიდა "საქართველოს ბანკის" ახლადემიტირებული აქციები".**

*"24 საათი"*

## ამინდი

| | 18/07 | 19/07 | 20/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 24 | 23 | 26 |
| რიგა | 22 | 21 | 20 |
| ვილნიუსი | 19 | 22 | 21 |
| მოსკოვი | 23 | 19 | 17 |
| მინსკი | 20 | 21 | 23 |
| პარიზი | 32 | 36 | 31 |
| რომი | 30 | 32 | 33 |
| ლონდონი | 32 | 33 | 31 |
| მადრიდი | 37 | 32 | 34 |
| ბონი | 34 | 33 | 36 |
| ვარშავა | 27 | 26 | 27 |
| ათენა | 28 | 28 | 28 |
| ბერნი | 31 | 33 | 33 |
| ამსტერდამი | 29 | 32 | 32 |
| ოსლო | 23 | 22 | 22 |
| ანკარა | 29 | 30 | 31 |
| ვარნა | 30 | 32 | 31 |
| დელი | 54 | 51 | 47 |
| ტოკიო | 28 | 25 | 27 |
| კოპენჰაგენი | 23 | 24 | 25 |
| ბაქო | 33 | 32 | 30 |
| ერევანი | 38 | 39 | 39 |
| ასტანა | 23 | 27 | 27 |
| ჰელსინკი | 17 | 16 | 13 |
| დუბლინი | 25 | 25 | 23 |
| ლისაბონი | 34 | 28 | 27 |
| პრაღა | 29 | 28 | 31 |
| სოფია | 27 | 28 | 27 |
| ბუდაპეშტი | 31 | 32 | 36 |
| ბუხარესტი | 32 | 36 | 35 |

# ნავთობი - მსოფლიო პრობლემები



პირველი გვერდიდან

ის, რაც ასე ანერვიულებს შეერთებული შტატების პრეზიდენტს, სიამოვნებას ანიჭებთ ევროპელ პოლიტიკოსებს. ამ ბოლო წლებში ნავთობზე ფასების მატება ხომ სახელმწიფო შემოსავლების მაღალი ტემპებით გაზრდას მოასწავებს. მაგალითად, 2005 წელს პოლონელმა მძღოლებმა ნავთობზე გადასახადების სახით (ძირითადად აქციზი და დღგ ) დაახლოებით 10 მლრდ დოლარი გადაიხადეს. ეს კი ამ ქვეყნის ბიუჯეტის ერთ მესამედზე მეტია! უფრო მეტიც: ამ წელს სახელმწიფოს შემოსავლები დაგეგმილზე 2 მილიარდით მეტი იყო და ეს უშუალოდ ნავთობიდან გაზრდილი შემოსავლების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთისა და საერთოდ, ევროკავშირის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ბოლო წლებში დიდი ტემპებით იზრდებოდა ნავთობის ფასი, შეერთებულ შტატებში ეს უკანასკნელი, მასზე დაბალი გადასახადების გამო, გაცილებით ნაკლები ტემპებით მატულობს. სწორედ ამ მიზეზით ამ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება ბოლო ხანებში მკვეთრად გაიზარდა. კერძოდ, 2005 წელს იგი შეადგენდა 3,5 პროცენტს, ხოლო 2006 წლის პირველ კვარტალში - 5 პროცენტამდე გაიზარდა. ამ ქვეყანაში პარალელურად შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელი და მან 4,7 პროცენტი შეადგინა. სწორედ ნავთობზე დაბალი გადასახადების წყალობითაა, რომ ვერც წარმოება და ვერც ოჯახური მეურნეობები ისე ძლიერ ვერ გრძნობენ თითქმის მთელ მსოფლიოში ნავთობზე ფასების ზრდას. ამ ქვეყანაში ნავთობის მოხმარების სფეროში ერთგვარ პარადოქსალურ მდგომარეობასაც კი აქვს ადგილი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მისი ფასი უფრო დაბალიც კია, ვიდრე იგი იყო 1980 წელს. შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტის მონაცემებიდან ირკვევა, რომ ნავთობის ფასი თუნდაც 10 პროცენტით გაიზარდოს, ამ პროდუქტზე ისეა გადასახადები დარეგულირებული, რომ ეს მოვლენა მშპ-ს ზრდას მხოლოდ 0,05-0,1 პროცენტით შეამცირებს.

მიუხედავად ამისა, 2005 წელს პირველად ისტორიაში, ჟურნალ "ფორბსის" აშშ-ს უდიდესი კომპანიების სია ნავთობის კომპანია "Exxxon-mobil"-ით გაიხსნა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა აქამდელი ლიდერი "Wal-Mart-ი". ერთი წლის მანძილზე "Exxxon-mobil"-ის შემოსავლები ერთი მეოთხედით გაიზარდა და 339 მლრდ დოლარი შეადგინა (შედარებისათვის: საქართველოს ერთი წლის მშპ დაახლოებით 6,5 მლრდ დოლარია). კიდევ უფრო დასაფიქრებელია ის, რომ ამ კონცერნის მოგება კიდევ უფრო მაღალი ტემპებით იზრდებოდა (42 პროცენტით), რაც იმაზე მიუთითებს, რომ კონცერნი კარგად იყენებს ფასების მატების ტენდენციას.

2006 წლის 18 აპრილს კალიფორნიის გადასახადის გადამხდელთა და მომხმარებელთა ასოციაციამ მოამზადა მოხსენება "შტატში ბენზინის ფასის შესახებ". მოხსენებიდან ცხადი ხდება, რომ 2006 წლის 3 იანვრიდან ამავე წლის 10 აპრილამდე გალონი ბენზინის ფასი (3,785 ლიტრი) 2,21 აშშ დოლარიდან 2,81 დოლარამდე გაიზარდა. ფასის ამ მატებიდან (60 ცენტი) მხოლოდ 12 ცენტი მოდიოდა ნავთობზე ფასის მატებაზე, 4 ცენტი იყო შტატის გადასახადი, ხოლო 44 ცენტი ბენზინგასამართი სადგურების მარჟა. ეს დამატებითი 44 ცენტი მარჟა იმაზე მიუთითებს, რომ კალიფორნიელმა მძღოლებმა 2006 წლის აპრილში საწვავზე გაიღეს 546 მლნ დოლარით მეტი, ვიდრე 2005 წლის აპრილში, ანუ ამდენით გაიზარდა ბენზინგასამართი სადგურების წმინდა მოგება.

ლორდ ბრაუნმა აღიარა, რომ თუ ნავთობის ფასი შენარჩუნებული იქნება ბარელზე 60 დოლარის დონეზე, იგი შეძლებს 2008 წლის ბოლოს აქციონერებს გადაუხადოს 60 მლრდ დოლარი - ფირმის ამჟამინდელი საბაზრო ღირებულების ერთი მესამედის ტოლი თანხა. როგორც ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტის მონაცემებიდან ირკვევა, 2005 წლის მესამე კვარტალში 20 ყველაზე დიდმა ამერიკულმა ფირმამ, რომლებიც ნავთობს ამუშავებენ, ერთობლივად 22,55 მლრდ დოლარი გამოიმუშავა. იგივე ფირმებმა გასული წლის შესაბამის პერიოდში მხოლოდ 1,59 მლრდ დოლარი გამოიმუშავეს. როგორც ჩანს, ამერიკული კომპანიებიც კარგად ითბობენ ხელს ნავთობზე ფასების ზრდით.

კიდევ ერთი პარადოქსი - ბარელი ნავთობის ფასის ზრდა მისი მომპოვებელი ქვეყნებისა თუ კომპანიებისათვის დიდად სასარგებლო სულაც არ არის. მაგალითად, საუდის არაბეთი მრავალი წლის მანძილზე ცდილობდა, რომ აღნიშნული ფასი 30 დოლარს არ ასცდენოდა. მას იმის შიში ჰქონდა, რომ ეს გახდებოდა ბარიერი, რომლის იქითაც ქვეყნები ალტერნატიული ენერგიის წყაროს მოძიებას დაიწყებდნენ. არაბი შეიხების შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. პრეზიდენტმა ბუშმა უკვე აღიარა, რომ კონცერნების იძულებას ნავთობის ფასის შემცირების მიზნით მოკლევადიანი ეფექტი ექნება. მისი აზრით, ნავთობზე მაღალი ფასის პასუხად საჭიროა ენერგიის ალტეტრნატიული წყაროს მოძიება.

" ერთხელ მაჰატმა განდიმ თქვა, რომ ბუნებამ ჩვენ მოგვცა საკმარისად ბევრი, რათა დავიკმაყოფილოთ ადამიანური მოთხოვნილებები, მაგრამ არა იმდენი, რათა უზრუნველვყოთ ადამიანური გაუმაძღრობა. თუ დასავლეთი არ მოთოკავს თავის სიხარბეს, მაშინ იძულებულები ვიქნებით ბენზინში კვლავაც ასტრონომიული ფასი ვიხადოთ" - განაცხადა რადიო BBB-ში ინდოეთის ინერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა მანი შანკარმა.

ზოგიერთი დამკვირვებლის შეხედულებით, ამჟამად ნავთობის ბაზარზე მომხმარებელთა მხრიდან მოქმედებს შიშის ეფექტი. ეს ირანის ატომური ამბიციებითაა გამოწვეული. გარკვეულად შემცირდა ასევე მსოფლიო ბაზარზე ამ ნედლეულის მიწოდების მოცულობაც. კერძოდ, მას მოაკლდა დაახლოებით ორი მლნ ბარელი ყოველდღიურად: 900 ათასი ბარელი ირანიდან, 530 ათასი - ნიგერიიდან, 400 ათასი ბარელი ვენესუელადან და ასევე მექსიკის ყურიდან - 330 ათასი ბარელი (ქარიშხლების: კატრინისა და რიტას გამო). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ როგორ გაზარდეს ამ ნედლეულის მოხმარება აზიის ქვეყნებმა, განსაკუთრებით, ჩინეთმა, მაშინ გასაგები გახდება ნავთობის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის ძირითადი მიზეზები.

ანალიტიკოსების აზრით, ნავთობზე ფასების მატება დიდხანს არ გასტანს, რადგან უკვე დაწყებულია ინტენსიური მუშაობა ალტერნატიული საწვავის მოპოვების მიზნით. ამ სფეროში ჭეშმარიტი რევოლუცია მაშინ დაიწყება, როდესაც ავტომობილებში ბუნებრივ აირს გამოიყენებენ. ასეთი საწვავი ეღირება უაღრესად იაფი. კერძოდ, აირის ის მოცულობა, რომელიც ერთი ლიტრი ბენზინის შესაბამისი იქნება, ეღირება დაახლოებით ნახევარი დოლარი.

ალტერნატიული საწვავის მოპოვებაზე განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობენ ამერიკის კონტინენტზე - ბრაზილიაში და შეერთებულ შტატებში. ეს არც არის გასაკვირი. შეერთებული შტატები ხომ მთელი მოპოვებული ნავთობის მეოთხედს მოიხმარს. ამ ქვეყანაში სასწრაფოდ ახდენენ რამდენიმე ქარხნის გადაიარაღებას, რომლებიც ხორბლისაგან ტექნიკური ეთილის სპირტს იღებენ, რომელსაც ალტერნატიულ საავტომობილო საწვავად გამოიყენებენ. ამერიკის სხვადასხვა ორგანიზაცია მთავრობისაგან იმ პროგრამების წახალისებას ითხოვს, რომლებიც საწვავის ალტერნატიულ წყაროდ ეთანოლის აქტიურ გამოყენებას ითვალისწინებს.

დღეისათვის ამერიკაში 4.6 მილიარდი გალონი საწვავი სპირტი იწარმოება, ხოლო ახალი საწარმოების გახსნის შემთხვევაში, წარმოების მოცულობა 8 მლრდ გალონამდე გაიზრდება. ექსპერტების განცხადებით, ამგვარი პროგრამების ამოქმედებამ შტატების პროვინციებში დიდი ოდენობით ინვესტიციების მოზიდვას შეუწყო ხელი, რაც თავისთავად ფერმერული მეურნეობების განვითარებას იწვევს.

ამასთან, ახალი საწვავი არა მხოლოდ ნავთობის კარტელების ასეთი უსაზღვრო შემოსავლების ერის დასასრული იქნება, არამედ ის გახდება იმის მომასწავებელიც, რომ ევროპის ქვეყნების ბიუჯეტებს აღარ ექნებათ უზარმაზარი შემოსავალი ნავთობის მოხმარების სფეროდან. იმაზე, რომ ასეთი პერსპექტივა არც ისეთი შორეულია, ისიც მეტყველებს, რომ ტოიოტამ და ჰონდამ უკვე დაიწყეს ისეთი ავტომობილების წარმოება (თუმცა ამას ჯერჯერობით არასერიული სახე აქვს), რომლებიც წყალბადზე იმუშავებს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ 20-25 წლის შემდეგ მსოფლიოში, დღევანდელთან შედარებით, ნავთობის მოხმარების მაჩვენებელი განახევრდება. გამომდინარე იქიდან, რომ მრავალ ქვეყანაში ნავთობის მარაგები მომავალში უფრო გაიზრდება (ირანში, საუდის არაბეთში, ერაყში, რუსეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, ყატარში, ვენესუელაში და ბრაზილიაში) უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ნავთობის ფასი მკვეთრად აღარ გაიზრდება.

აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ნავთობის წილი მსოფლიო ენერგომოხმარებაში 2030 წლისათვის 33%-მდე შემცირდება (2003 წელს დაფიქსირდა 38%). სამინისტროს ექსპერტთა აზრით, ნავთობის მოხმარების შემცირებაში დიდ წვლილს ნავთობზე რეკორდულად მაღალი ფასები შეიტანს. სწორედ ეს ვითარება აიძულებს მომხმარებლებს მიმართონ ალტერნატიულ და უფრო იაფ ენერგიის წყაროებს - ნახშირი, გაზი, ბიოსაწვავი. აქვე საინტერესო იქნება წარმოვადგინოთ სურათი იმის შესახებ, თუ ძირითად ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში რა მდგომარეობაა ამ ძვირფასი ნედლეულის არსებობისა და მოპოვების მხრივ:

| ქვეყანა | მთელი მარაგები (მლნ ბარელი) | დღიური მოპოვება (მლნ ბარელი) |
|---|---|---|
| საუდის არაბეთი | 267000 | 8,8 |
| კანადა | 179000 | 1,6 |
| ირანი | 132000 | 3,9 |
| ერაყი | 115000 | 1,5 |
| კუვეიტი | 104000 | 2,1 |
| არაბეთის ემირატ. | 98000 | 2,2 |
| ვენესუელა | 79000 | 2,7 |
| რუსეთი | 48000 | 7,3 |
| ლიბია | 39000 | 1,5 |
| ნიგერია | 36000 | 2,5 |
| აშშ | 21000 | 5,4 |
| ჩინეთი | 18000 | 3,3 |
| მექსიკა | 13000 | 3,8 |
| ბრაზილია | 11000 | 1,5 |
| ალჟირი | 12000 | 1,7 |
| ნორვეგია | 8000 | 2,9 |
| ანგოლა | 6000 | 0,9 |
| დიდი ბრიტანეთი | 4000 | 1,8 |
| ინდონეზია | 4000 | 1,1 |

გარდა ზევით წარმოდგენილი მაჩვენებლებისა, რომლებიც მსოფლიოში ნავთობის საკმაო მარაგებზე მიანიშნებენ, ოპტიმისტურ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც ნავთობზე ფასის ზრდა სერიოზულ გავლენას ველარ მოახდენს მშპ-ს წარმოების ტემპებზე, აქვს კიდეც თავისი მყარი სხვა საფუძველი. 1980 წელს საშუალოდ, მსოფლიოს მასშტაბით, 1000 დოლარის ეკვივალენტური მშპ-ს საწარმოებლად საჭირო იყო 78 დოლარის ღირებულების ნავთობის მოხმარება. წინასწარი შეფასებების თანახმად, 2006 წელს აღნიშნული მოცულობის მშპ-ს საწარმოებლად საჭირო იქნება მხოლოდ 41 დოლარის ღირებულების ნავთობი.

ექსპერტების აზრით, დღევანდელი ფასების მატება მსოფლიო ეკონომიკისათვის ისეთი კატასტროფული აღარ იქნება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 70-იან წლებში. თუმცა, ცხადია, მაღალი ფასები ნავთობზე გარკვეულად მაინც შეაფერხებს მშპ-ს წარმოების მოცულობების ზრდას. ამას გამოცდილებაც გვიდასტურებს: 70-იანი წლების შემდეგ მსოფლიო ეკონომიკის წინსვლის ყოველი შეფერხება ნავთობის ფასების ზრდით იყო განპირობებული.

## მსოფლიო ბანკი აზერბაიჯანს ბაქოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროგრამის მოსამზადებლად გრანტს სთავაზობს

მსოფლიო ბანკი აზერბაიჯანს, ბაქოში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის მოსამზადებლად გრანტს სთავაზობს. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის ტრასპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მუსა პანახოვმა აცნობა. პანახოვის განცხადებით, თუ ბანკთან მოლაპარაკება ახლო მომავალში დაიწყება, წლის ბოლოსათვის შესაძლოა, შეთანხმება მოხდეს, ხოლო მომავალი წლის დასაწყისში უშუალოდ პროექტის მომზადება დაიწყება.

2000-2001 წლებში კომპანია Central Consultant Inc.-მ და Nipon Koei Co. Ltd-მ იაპონიის საერთაშიროსო თანამშრომლობის სააგენტოსთან და აზერბაიჯანის წარმომადგენლობასთან შეთანხმებით, ქალაქ ბაქოში საქალაქო ტრასპორტის სისტმის გამოკვლევა ჩაატარა. გამოკვლევებიდან გამომდინარე, მომზადდა 2020 წლისათვის ბაქოს სატრანსპორტო სისტემის განვითარების გეგმა. იაპონურ კომპანიასთან შეთანხმებით, საქალაქო ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით, პროექტის რეალიზაცია 2020 წლამდე დაახლოებით 1,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. დღეისათვის ბაქოში ავტო-ტრასპორტის რიცხვის ზრდა სწრაფად მიმდინარეობს, როგორც ეს იაპონელმა სპეციალისტებმა იწინასწარმეტყველეს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანი და ჩინეთი საკონტეინერო მატარებლის ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაათას მარშრუტში ჩინეთის ჩართვასთან დაკავშირებით იმსჯელებენ

საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთისა და ჩინეთის ტრანსპორტის მინისტრების დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელიც 27 ივლისს ასტანში გაიმართება, ჩინეთის მხარე საკონტეინერო მატარებლის ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმაათას მარშრუტში ჩინეთის ჩართვასთან დაკავშირებით იმსჯელებს. ამის შესახებ, სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა აცნობა. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ჩინეთს დიდი ინტერესები აქვს და მატარებლის მუშაობის პირობები უკვე მიიღო.

დღეისათვის აზერბაიჯანი, საქართველო და ყაზახეთი განიხილავენ საკონტეინერი მარშრუტის ყაზახეთისა და ჩინეთის საზღვრამდე - დოსტიკის სადგურემადე გაგრძელების საკითხს. გადაზიდვების განხორციელებისას ერთიანი ტარიფი 22 ცენტი ტონა\კილომეტრზე იცვლება. საკონტეინერო მატარებელი 2005 წლის 24 დეკემბერს იქნა გაშვებული. ტვირთის ტრანსპორტირება ხორციელდება ფოთის პორტიდან ბაქოში, პორტ აქტაუს გავლით ყაზახეთში და პირიქით.ექსპერტები ამბობენ, რომ არსებულ დროში, რუსეთის ფედერაციის დემპინგური ფასების პოლიტიკიდან გამომდინარე, საერთო ტვირთის ნაკადის დაახლოებით 3-4%, რომელიც მიდის ევროპიდან აზიაში და პირიქით, წელიწადში 150 ათას კონტეინერს შეადგენს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## რუსულმა მხარემ განზრახ ჩაკეტა "ზემო ლარსი" - განაცხადა ოვანეს ოვანესიანმა

"რუსულმა მხარემ განზრახ ჩაკეტა "ზემო ლარსი", - ასეთი განცხადება გააკეთა 14 ივლისს კლუბ "პასტარკში" სომხეთის ლიბერალ-პროგრესული პარტიის წარმომადგენელმა ოვანეს ოვანესიანმა. მისი თქმით, "ზემო ლარსი" არის სომხეთისა და რუსეთის ერთადერთი დამაკავშირებელი საავტომობილო გზა. ოვანესიანის განცხადებით, ჩაკეტილი გამშვები პუნქტი დესტაბილიზაციას და სომხეთის მხრიდან რუსეთისადმი უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. სომხეთ-რუსეთის მიმართულებით და პირიქით საავტომობილო ტვირთები, რუსული მხარის მიერ საზღვრის დაკეტვამდე, მხოლოდ ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტიდან გაედინებოდა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ოცნებაში გაცვლილი ღირსების წამი




C2

ლიპი: „ზიდანი გულწრფელად შემეცოდა!"



C3

მიმხდომი დაცვა გაირღვა



C4

## ვითომ კრივი

არა გვგონია, საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იმით იყოს კმაყოფილი, რა დღეშიც არიან მისი შეგირდები პლოვდივში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე. ათკაციანი ნაკრებიდან ერთადერთი, ვინც ჯერჯერობით წინ მიიწევს, კახაბერ ჟვანიაა, რომელმაც 69 კგ წონით კატეგორიაში ორი ეტაპი გაიარა. ესპანელ მარიანო ჰილარიოსა და მოლდაველ ვიტალი გრიშუკის დამარცხების შემდეგ ჟვანიამ მეოთხედფინალში ირლანდიელ როი შეანთან ჩხუბის უფლება მოიპოვა. მათი ორთაბრძოლა ხვალ გაიმართება. კახაბერ ჟვანიას და ნაკრების კიდევ ორ წევრს - ლევან ღვამიჩავასა და ბექა ლობჟანიძეს ირლანდიის სახელით ასპარეზობას სთავაზობენ. თუმცა, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი და კახეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული პეტრე ცისკარიშვილი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური აცხადებენ, რომ ქართველ მოკრივეებს აქაც კარგ პირობებს შეუქმნიან იმისთვის, რომ საქართველოში დარჩნენ.

ისევ პლოვდივს დავუბრუნდეთ და გუშინდელ შედეგებზე ვთქვათ, სადაც სანუგეშო არაფერია ერთის - 60 კილოგრამ წონითი კატეგორიისა. ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა კონსტანტინე კუპატაძემ ევროპის ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო, როდესაც ჩეხ მარტინ ჰალაჩს მოუგო. აი, დანარჩენებმა კი... 51 კგ წონაში გიორგი კილანავა მასპინძელ სალიმ სალიმოვთან დამარცხდა - 17:43.

იგივე ბედი ეწია კობა ფხაკაძესაც (57 კგ), რომელიც პირველივე წრეში დამარცხდა სომხეთის წარმომადგენელ ედგარდ მანუკიანთან - 17:31.

## კოკაიმ ისევ გაიმარჯვა

ივლისის ბაშოზე კარგად ასპარეზობს ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურია. კოკაიმ გუშინ მორიგი ბრძოლა მოიგო, მისი მეტოქე აღმოსავლეთ კონფერენციის მეცხრე მაიგეშირა იოშიკაზე იყო. ქართველმა მებრძოლმა ჰატაკიკომის ილეთით დაამარცხა მეტოქე. ეს სუმოში ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ ილეთად ითვლება. კოკაიმ მეტოქე ფაქტობრივად კონტრშეტევაზე დაიჭირა. ილეთის გაკეთება იოშიკაზემ დაიწყო, ლევანმა ოსტატურად მოიგერია შეტევა და შემდეგ თავად გააკეთა მომგებიანი ილეთი.

ცხრა დღის შემდეგ კოკაის 6 გამარჯვება და 3 მარცხი აქვს. იმისთვის, რომ ცაგურიამ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს, საჭიროა კიდევ ორი ორთაბრძოლის მოგება. დღეს კოკაის მეტოქე დასავლეთ კონფერენციის მეათე მაიგეშირა ივაკიამა იქნება. ივაკიამა გამოცდილი სუმოისტია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი ხუთჯერ დაუპირისპირდა თავის დღევანდელ მეტოქეს და მხოლოდ ორჯერ დაამარცხა. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგის მიხედვით კოკაი უფრო მაღლა დგას, დღევანდელ ორთაბრძოლაში სერიოზული მეტოქე ჰყავს.

## უეფამ მსაჯები დაასახელა

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან მიიღო ფაქსი, რომლის თანახმად ფარერების ნაკრებისა და საქართველოს მატჩს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩრდილოირლანდიელი არბიტრები, ხოლო უკრაინა-საქართველოს ასევე შესარჩევ შეხვედრას ჩეხი მსაჯები მოემსახურებიან. ფარერების ნაკრებთან მატჩით საქართველო შესარჩევ ტურნირს იწყებს - ტოპმიოლერის გუნდი მეტოქეს 16 აგვისტოს ქალაქ ტოფტირში გაეჯიბრება. ჩრდილოირლანდიელი მსაჯების ბრიგადა ასეთია: მაიკლ როსი (მთავარი მსაჯი); დევიდ როდფერნი, ჯონ მაკდაუელი (თანამსაჯები); დევიდ მალკოლმი (მეოთხე მსაჯი). უკრაინის ნაკრებს ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი 6 სექტემბერს კიევში შეხვდება. ჩეხ მსაჯთა ოთხეული: იაროსლავ იარა (მთავარი მსაჯი); პატრიკ ფილიპეკი, ანტონინ კორდულა (თანამსაჯები); მიხალ პატაკი (მეოთხე მსაჯი).

## დარასელიამ გეზი ყაზახეთისკენ აიღო

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ვიტალი დარასელია ყარაგანდის „შახტარში" აპირებს კარიერის გაგრძელებას. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ერთ-ერთმა რუსულმა სააგენტომ.

გასულ სეზონში დარასელია თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა, თუმცა, სეზონის დასრულებისთანავე გადაწყვიტა კლუბის შეცვლა.

## სფფ-ის მსაჯთა კორპუსის შეკრება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კორპუსი 14 ივლისიდან ქობულეთშია შეკრებაზე, სადაც 25 ივლისამდე დარჩება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ძალისხმევით, ამ შეკრებაზე სხვადასხვა თაობის 65 მსაჯის შეკრება მოხერხდა. გამოცდილ მსაჯებთან ერთად ფიზიკურ და თეორიულ ცოდნას იმაღლებენ ახალგაზრდა, პერსპექტიული არბიტრი ვაჟები და გოგონები.

მსაჯთა კორპუსს სამედიცინო სფეროში კონსულტაციას უწევს სფფ-ის ექიმი ვალერი ახალკაცი.

მსაჯთა კორპუსის შეკრება ტარდება ფიფა-ს მიერ შედგენილი ახალი წესების თანახმად, რომელიც 2007 წლის 1 ივლისიდან შედის ძალაში. ახალ წესებში გამძლეობასთან ერთად აქცენტი კეთდება სისწრაფეზე. ამ ეტაპზე ქართველი მსაჯები წარმატებით ასრულებენ დასახულ ამოცანებს.

პერიოდულად ხერხდება უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების ამხანაგური მატჩების მომსახურება და მათი გარჩევა.

## მილანი იშლება

გუშინ გავრცელდა ორი ინფორმაცია, რომლებიც, ვფიქრობთ, არ ესიამოვნებათ იტალიური „მილანის" გულშემატკივრებს. გუნდს ტოვებს ერთდროულად ორი წამყვანი ფეხბურთელი - კაკა და პირლო.

ანდრეა პირლოს შეძენა „ჩელსის", „მანჩესტერს", „არსენალს", „ბაიერნს" და „რეალს" სურთ. რაც შეეხება კაკას, მადრიდის „რეალი" ამ ფეხბურთელში 50 მილიონ ევროს იხდის. თავად კაკა აცხადებს, რომ მილანში ცხოვრება მოსწონს, თუმცა ალბათ არც მადრიდზე იტყვის უარს.

# დავით უსტიაშვილი: „ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწევთ"

მიხეილ აბაიშვილი

ლისაბონში დასრულდა ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის პირველი ჯგუფური ტურნირი 20 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის, რომელშიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები კარგად გამოვიდა. ფინეთის ძლიერ გუნდთან მარცხის (81:87) შემდეგ ჩვენმა გუნდმა ჯერ ისლანდიელებს სძლია (88:80), შემდეგ, გადამწყვეტ მატჩში, ჰოლანდიის ძლიერ ნაკრებს მოუგო (106:64), ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და დღეიდან მეორე ჯგუფურ ტურნირში ჩაებმება. დღეს ჩვენი ნაკრების მეტოქე იქნება ჩეხეთის ძლიერი გუნდი, ხვალ - უკრაინა, ხოლო დასკვნით მატჩს ქართველები პოლონელ თანატოლებთან გამართავენ. თუ ჩვენი გუნდი მეორე ჯგუფურ ტურნირში პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებს, ნახევარფინალში გავა. ფინალისტობა კი A ჯგუფის საგზურს მოგვიტანს, რაც ჩვენს ნაკრებს მომავალი წლიდან საუკეთესოთა კომპანიაში ასპარეზობის უფლებას მისცემს.

„24 საათი" ლისაბონში ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს დავით უსტიაშვილს.

**- ნაკრებმა მძიმედ აიღო სტარტი - ფინეთთან დავმარცხდით. ფინეთის ახალგაზრდული გუნდია ასე ძლიერი თუ ვერ ითამაშეთ?**

- ფინელებთან მარცხს რამდენიმე მიზეზი აქვს. მათ ნამდვილად ძლიერი ნაკრები ჰყავთ, რაც ტურნირის დაწყებამდე ამხანაგურ მატჩებშიც გამოჩნდა. ფინელები A ჯგუფის რამდენიმე გუნდს შეხვდნენ და ზოგი მათგანი დაამარცხეს კიდეც. ჩვენ კი ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე შევიკრიბეთ და მხოლოდ ვივარჯიშეთ - მატჩები ვერ ვითამაშეთ. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ყველაფერი იღონა სპარინგმატჩების დასაგეგმავად. უკრაინელებთან და თურქებთან მოვილაპარაკეთ კიდეც, მაგრამ მათ ბოლო მომენტში უარი თქვეს. დიდი იყო შანსი, რომ უკრაინას ამ ტურნირზე შევხვედროდით. ასეც მოხდა - მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთ ქვეჯგუფში ვართ. როგორც ჩანს, უკრაინელებს ამის გამო არ სურდათ ამხანაგურ მატჩში შეხვედრა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი სათამაშო პრაქტიკის გარეშე მოგვიხდა ტურნირში ჩაბმა. ამის მიუხედავად, ფინელებთან გამარჯვების შანსი მაინც გვქონდა. როცა მატჩის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, ორ ქულას ვაგებდით და ორჯერ მოგვეცა ანგარიშის გათანაბრების შანსი. ჯერ ფარქვეშიდან ვერ ჩავაგდეთ საკმაოდ იოლი ბურთი, შემდეგ სამქულიანი ტყორცნა ასცდა მიზანს. სამაგიეროდ, ფინელებმა ამ ორი შეტევის შემდეგ ურთულესი სამქულიანი ჩაგვიგდეს - დაახლოებით 7 მეტრის მანძილიდან ტყორცნეს. ფინეთის ნაკრები 5 ქულით დაწინაურდა, ხოლო ჯარიმების აღების ტაქტიკამ არ გაამართლა - მეტოქემ სხვაობა შეინარჩუნა.

გაგრძელება C2 გვერდზე



პირველ ჯგუფურ ეტაპზე გიორგი ცინცაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.



## დავით კოვზირიძის სვეტი

### ოცნებაში გაცვლილი ღირსების წამი

ზიზუ - ამ სახელით მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. ასეთი პატივი ბევრს არავის რგებია, თითზე ჩამოსათვლელ ტიპებს და ზიზუც ხომ ეგაა, იშვიათობა, რომელსაც ფეხბურთი რამდენიმე ათწლეულში ერთხელ შობს. თავის დროზე დიეგომ ხელით გაიტანა და უფრო დიდი გახდა. ახლა ზიდანმა იმ ნაბიჭვარს თავი ატაკა და ისიც გადიადდა სამუდამოდ.

მე ძალიან მინდოდა, რომ ამ კაცს მეორედ აეწია თასი. მერე რა, რომ ბრაზილიას ვგულშემატკივრობ და მაშინაც და ახლაც სწორედ მან დააფხრიწა ბურთი თავზე ჩემს საყვარელ გუნდს. წლევანდელი ბრაზილიის ნაკრები საერთოდ ცალკე სალაპარაკო თემაა და მას აუცილებლად დავუბრუნდები მომავალში.

ზიდანი იმსახურებდა ფეხბურთიდან ორგზის გამარჯვებულად წასვლას, მაგრამ ის უფრო მაგრა წავიდა. მან წააგო, მაგრამ მოიგო. ასეც ხდება. ზნეობა სხვა განზომილებაა. ხშირად ფაქტებზე ბევრად ღონიერი. მე ვერავინ დამიმტკიცებს, რომ მარკო მატერაცი მსოფლიო ჩემპიონია, ხოლო ზინედინ ზიდანი - ვიცე-ჩემპიონი.

ის რომ მოედანზე დარჩენილიყო, ალბათ, ფრანგები მოიგებდნენ, კაპიტანი თასს ეამბორებოდა, მეგობრებთან ერთად იცეკვებდა, სტადიონს შემოურბენდა, გასახდელში შამპანურით იწუწნავებდა და ვერავინ ვერასდროს გაიგებდა, რა უთხრა მატერაციმ. მაგრამ მას ცხოვრების ბოლომდე, ყოველი დაძინების წინ გაახსენდებოდა ის წამი და შერცხვებოდა იმის, რომ მსოფლიოს ორგზის არაკაცი ჩემპიონია.

გურამ დოჩანაშვილმა დაწერა ზუსტად ეს - ადამიანი შეიძლება თვალთმაქცობდეს, მაგრამ არსებობს ერთი წამი, როდესაც მან ზუსტად იცის, თუ ვინაა სინამდვილეში. ზიზუ ამ წამს სუფთა შეხვდა და ამაში ყველაზე დიდი ჯილდო, ყველაზე დიდი სიხარული გაცვალა. ღირდა ამად? რა თქმა უნდა, ღირდა, რადგან სწორედ ეს წამია ადამიანის ცხოვრების საზომი.

აპლოდისმენტები ზინედინ ზიდანს!

■ ■ ■

მატერაციმ ჩრდილში მოაქცია მეოთხე იტალიური ტრიუმფი. ამ გუნდის თამაშს ორჯერ დავესწარი: ნახევარფინალზე დორტმუნდში და ფინალზე - ბერლინში. მანამდე იტალიელებს ბევრი არც არაფერი უჩვენებიათ, დიდი ენერგიის ხარჯვით გავიდნენ მძიმე პროლეტარული ჯგუფიდან, იწვალეს ავსტრალიასთან და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნენ. ეს პირველად არ მომხდარა. ეს იტალიური გზაა თასამდე.

უკრაინასთან მეოთხედფინალის ჩათვლით მარჩელო ლიპი თავის გუნდს ძერწავდა და მასპინძლებთან გამოიყვანა კიდეც მაქსიმალურად ეფექტური, აწყობილი, უშეცდომო ნაკრები. ლიპის საფეხბურთო ფილოსოფიის მოყვარული არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ყოველთვის ვეთანხმებოდი საზოგადოებრივ აზრს მისი გენიალურობის შესახებ. ხოლო ის, რომ ლიპი აკადემიკოსია, მან გერმანელებთან ერთი შეცვლით დაამტკიცა, როცა მოედანზე იაკინტა შეუშვა. იაკინტამ, იაკინტამ კი არა, ლიპის გათვლებში ჩამჯდარმა საშუალო დონის ფორვარდის მოედანზე დროულად შეშვებამ დამატებითი ნახევარი საათი ცალკარად აქცია. ვუყურებდი იურგენ კლინსმანს და მეცოდებოდა. მან ველარაფერი მოიფიქრა და წააგო. ლიპიმ მას პაიკით მოუგო მაშინ, როცა ყველა გაცილებით სერიოზული ფიგურებისგან ელოდა საფრთხეს.

როგორც ყოველთვის, იდეალურად იყო აწყობილი ლიპის დაცვა - ფანტასტიკურად თამაშობდა ძამბროტა, კარგად შეცვალა ნესტა მატერაციმ და თან ორი უმნიშვნელოვანესი გოლიც შეაგდო, აღმოჩენად იქცა გროსო. აი, კანავაროს კი ულაპარაკოდ ეკუთვნოდა მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო, რომ არა ზიდანი. ან, რომ არა მატერაცი, როგორც გენებოთ. რამდენჯერმე საგანგებოდ დავაკვირდი კანავაროს მოქმედებას, როგორ ირჩევდა პოზიციას მაშინ, როცა ბურთი სამოცდაათ მეტრში იყო, როგორ აზღვევდა ყველას, ვინც ამას საჭიროებდა. ერთი-ორჯერ მან ჯერ მარცხენა ფრთაზე ჩაშალა მოწინააღმდეგის შეტევა, მერე მარჯვნივ დაეხმარა თავისიანებს, ბოლოს საკუთარ სამფლობელოში დაითრია ბურთი და პირლოს ჩააბარა. ყველაზე ბევრჯერ გერმანიის სტადიონებზე ტაში ამ მკერდგაბერილმა ჯარისკაცმა დაიმსახურა. მცველმა. კარგია ეს ფეხბურთისთვის? საით მიდის ის 21-ე საუკუნეში და ვნახავთ ოდესმე 1982 წლის მსგავს გემრიელ ჩემპიონატს? ამაზეც ვიმსჯელოთ მომავალში, საინტერესო თემაა.

იტალიელებს ერთი უცნაური თვისება აქვთ - თამაშობენ იმ დონეზე, რა კლასის მოწინააღმდეგეც ჰყავთ. გავიხსენოთ ორი მატჩი, იტალია-ავსტრალია და იტალია-გერმანია. მათ შორის სულ რამდენიმე დღე იყო, რაც ნამდვილად არაა საკმარისი ავსტრალიური ხარისხიდან გერმანულზე გადასახტომად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარჩელო ლიპის გუნდი ჯერ კიდევ მერვედფინალში იყო მზად ა კლასის ფეხბურთის სათამაშოდ.

რატომ არ ითამაშა?

იმიტომ, რომ კატენაჩო ინიციატივის საშუალებას არ იძლევა. იტალიური ფეხბურთი ამ პრინციპზეა აგებული - გიყურებს, გიყურებს, აკვირდება შენს სტრუქტურას, შესაძლებლობებს, მინუსებს. პარალელურად უნაკლოდ ამუშავებს საკუთარ კართან აშენებულ ბეტონის კედელს, რომელსაც კატენაჩოს დაკვირვების ობიექტი უშედეგოდ ეხეთქება და ხშირად იღლება. დაქანცული და გამოკვლეული მეტოქის მიძინებაზე ადვილი კი არაფერია.

მოგვწონს თუ გვაღიზიანებს ეს საფეხბურთო მიმდინარეობა, მას შედეგი მოაქვს და როცა სასწორზე ოქროს თასი დევს, გემოვნებაზე კამათი მხოლოდ მისი მოპოვების ან ვერმოპოვების შემდეგაა მისაღები.

*მომავალ სამშაბათამდე*

# დავით უსტიაშვილი: „ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწევთ"

პირველი გვერდიდან

**- შემდეგ აუტსაიდერი ისლანდია დაამარცხეთ და მეორე ადგილისთვის ბრძოლაში ჰოლანდიას მოუგეთ...**

- არც ისლანდია იყო მაინცდამაინც ხელწამოსაკრავი. ეს გუნდი ტანმაღალი მოთამაშეებით გამოირჩევა. რამდენიმე კალათბურთელის სიმაღლე 210-212 სანტიმეტრს შორის მერყეობს. ჩვენ კი ერთი, შედარებით მაღალი კალათბურთელი გვყავს - ათანელიშვილი (207 სმ). მანაც მხოლოდ სამი წუთი ითამაშა და პერსონალური შენიშვნების გამო ადრე გამოეთიშა ბრძოლას. პრაქტიკულად, პერიმეტრის მოთამაშეებით მოგვიხდა მეტოქის დამარცხება. თან, რაკი შედეგში დარწმუნებული ვიყავით, ყველას მივეცი თამაშის საშუალება. ბევრი სროლა არ წაგვივიდა საშუალო და შორი დისტანციიდან. საბოლოოდ, რვა ქულის სხვაობით მოვიგეთ. ჰოლანდიასთან კი მაქსიმალური მობილიზებით ვითამაშეთ. ეს გუნდი მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად იყო ჩამოსული. მათ სრულიად შემთხვევით წააგეს ფინეთთან - მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე 5 ქულას უგებდნენ, მაგრამ ფინელებმა ბოლო ორ წუთში ოთხი სამქულიანი ჩაუგდეს. ჰოლანდიის ნაკრებთან ყველამ ძალიან კარგად ითამაშა, განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ეროვნული ნაკრების კანდიდატებმა.



*ვიქტორ სანიკიძემ ჰოლანდიასთან 27 ქულა და 17 მოხსნა მიითვალა.*

**- მომავალ მეტოქეებზე რას იტყვით?**

- ხვალ ჩეხეთს ვეთამაშებით. საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია. ჩეხებმა საკუთარ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს, ბოლო მატჩში მაკედონია დაამარცხეს და ფინალში გასვლის პრეტენდენტებად ითვლებიან. მეორე თამაში უკრაინასთან გვაქვს, რომელიც ქვეჯგუფში კონკურენტ ავსტრიასთან მარცხის შემდეგ მეორე ადგილს დასჯერდა. უკრაინელებმა ტურნირის დაწყებამდე ამხანაგური მატჩი გამართეს A დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერთან - ლიტვასთან და ერთი ქულით დამარცხდნენ. მესამე მეტოქე კი პოლონეთია. პოლონელებს ყველა ასაკობრივ ჯგუფში ძლიერი ნაკრები ჰყავთ და არც ჩვენი მეტოქეა გამონაკლისი.

**- რას გეგმავთ მეორე ჯგუფურ ეტაპზე?**

- ამ ტურნირში მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ეროვნული ნაკრებისთვის კანდიდატების მომზადება იყო. წარმატებული სტარტის შემდეგ გუნდმა საკუთარი ძალები ირწმუნა. ჰოლანდიელების დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ ნაკრებში ბრწყინვალე ფსიქოლოგიური განწყობაა. შევეცდებით, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწიოთ და უმაღლეს მიზანს მივაღწიოთ - ფინალში გავიდეთ, რაც ელიტ-დივიზიონში ასპარეზობის უფლებას მოგვცემს. არც ერთი კალათბურთელი ტრავმირებული არ არის და საბრძოლველად მზად ვართ.

# მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი გმირები და მოვლენები

სააგენტო goal.com-მა შეადგინა განვლილი მუნდიალის მთავარ მოვლენათა და გმირთა მცირე სია. შეიძლება ითქვას, რომ საიტის ჟურნალისტთა არჩევანი დიდად საკამათო არ არის.

### ჩემპიონატის სკანდალი

**ზიდანი და მატერაცი**

ჩემპიონატის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე ზინედინ ზიდანმა საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. მუნდიალზე კი 34 წლის ფეხბურთელი ისე თამაშობდა, რომ ბევრ ახალგაზრდას აჯობა. თუმცა მუნდიალის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ფრანგ ვარსკვლავს ნერვებმა უმტყუნა. იტალიელი მატერაცის პროვოკაციამ თავისი ქნა და ზიდანმა წითელი ბარათით დაასრულა კარიერა.

### მთავარი უიღბლო

**ხოსე ვილიარი**

ტურნირის მთავარ უიღბლოდ პარაგვაის ნაკრების ძირითადი მეკარე ხოსე ვილიარი უნდა მივიჩნიოთ. განგებამ ისე ინება, რომ პარაგვაელმა მეკარემ მუნდიალზე მხოლოდ 7 წუთი ითამაშა. პარაგვაელთა პირველივე მატჩში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ვილიარმა შვიდ წუთში გოლიც გაუშვა და ტრავმაც მიიღო, რომლის გამოც მისთვის მუნდიალი დასრულდა.



*იტალიელებმა ტრადიციას არ უღალატეს.*

### ტრადიცია

**თითქმის ისე, როგორც 1982 წელს**

ამჯერად მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალები წმინდა ევროპული გამოდგა. უკანასკნელად ასეთი რამ 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა. ამ წელს ნახევარფინალებში იტალია, გერმანია, საფრანგეთი და პორტუგალია თამაშობდა, 1982-ში კი სუპერტრიოს პოლონეთი დაემატა. ისევე, როგორც 1982 წელს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ამჯერადაც იტალიის ნაკრებმა მოიპოვა.

### მისტიკა

**ინგლისელები და პენალტების სერია**

1990 წელი. იტალია. ინგლისის ნაკრები პენალტების სერიაში გერმანიის ნაკრებთან მარცხდება. მას შემდეგ თითქოს ინგლისის ნაკრები დაწყევლილია. მას შემდეგ ამ ნაკრებს პენალტების სერიაში არც ერთი მატჩი არ მოუგია. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ისევ გერმანელებთან დამარცხდნენ, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე - არგენტინასთან, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი - პორტუგალიის ნაკრებთან. ისტორია გამეორდა 2006 წელსაც - ინგლისი პენალტების სერიაში ისევ პორტუგალიამ დაამარცხა.

### მთავარი სისულელე

**რატომ დაარტყმევინეს პენალტი ტრეზეგეს?**

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრები ფინალში გავიდა, რეიმონ დომენეკის რეპუტაციაზე ამას კარგად მაინც არ უმოქმედია. ტურნირის განმავლობაში მან არაერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. ყველაზე უცნაური კი დომენეკის ბოლო საბედისწერო გადაწყვეტილება იყო, როდესაც მან პენალტების სერიაში თერთმეტმეტრიანის დარტყმა ტრეზეგეს ანდო. მთელი ტურნირის განმავლობაში დომენეკი ისე ექცეოდა ტრეზეგეს, რომ ფეხბურთელს შეიძლება არასრულფასოვნების კომპლექსიც კი გასჩენოდა. ფინალურ მატჩში კი მინდორზე სულ რამდენიმე წუთის შესულ ტრეზეგეს პენალტის დარტყმა დაავალა. რა გასაკვირია, რომ სწორედ დავიდმა დაღუპა ფრანგები.

### მწვრთნელი

**მარჩელო ლიპი**

რა თქმა უნდა, ლიპი და ამას ბევრი საუბარი არ სჭირდება. ამ ტიტულოვანი მწვრთნელის ჯილდოების კოლექციას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიღა აკლდა და ლიპიმ ეს მწვერვალიც დალაშქრა.

# ჟულიო ბაპტიშტა: „კაკას კონკურენციის არ მეშინია!"

ჟულიო ბაპტიშტა იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც მუშა და შრომისმოყვარე ფეხბურთელებს ეძახიან. ცნობილი ამბავია, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი საერთო ვარჯიშის შემდეგაც რჩება მოედანზე და მარტო განაგრძობს ვარჯიშს. ალბათ ამიტომაცაა, მადრიდის „რეალში" ახალი მწვრთნელის ფაბიო კაპელოს მოსვლის შემდეგ ეჭვი არავის გასჩენია, რომ ბაპტიშტას ძირითადში ყოფნას საფრთხე დაემუქრება. თავის მხრივ, ფეხბურთელი ამბობს, რომ კაპელო ის მწვრთნელია, ვინც ყველაზე მომთხოვნი გამოდგა იმათ შორის, ვისთანაც ბაპტიშტას აქამდე უმუშავია.

**- როგორ მოგწონთ ახალი მწვრთნელი?**

- აშკარაა, რომ თავისი საქმე კარგად იცის. იცის, რა უნდა და როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს. ყველაფერთან ერთად, საკმაოდ მკაცრიცაა.

**- მასზე მკაცრი არავინ ყოფილა, ვისთანაც აქამდე გიმუშავიათ?**

- არა. ყველაზე მეტად ვანდერლეი ლუშემბურგოს შევადარებდი. თუმცა სენიორ ფაბიო ოდნავ უფრო მომთხოვნია. ბუნებრივია, ყველა მწვრთნელს მუშაობის საკუთარი სტილი აქვს. ფეხბურთელები იძულებული ვართ, მათ ხასიათს




მოვერგოთ და მათი მოთხოვნები შევასრულოთ.

**- თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დიდი პრესის ქვეშ გიწევთ ვარჯიში...**

- სეზონის განმავლობაში ფეხბურთელებს მუდმივად ზეწოლის ქვეშ უწევთ ყოფნა. ეს ბუნებრივიცაა. მით უმეტეს, სეზონის დაწყების წინ.

**- შესაძლოა, განახლებული სეზონიდან თქვენი თანამემამულე კაკას გვერდით მოგიხდეთ თამაში. „სანტიაგო ბერნაბეუზე" კაკას გადმოსვლით კი, შანსია, ძირითადიდან ამოვარდეთ...**

- „რეალი" ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდია და აქ მოთამაშე თითოეული ფეხბურთელი ყოველ წუთს შეიძლება აღმოჩნდეს სკამზე. კაკასთან ერთად მითამაშია. დიდებული ფეხბურთელია, მაგრამ მისი კონკურენციის არ მეშინია.

**- გერმანიაში განცდილი მარცხის შემდეგ თქვენს ბრაზილიელ თანაგუნდელებს თუ ესაუბრეთ?**

- რობერტო კარლოსსა და რონალდოს შევხვდი. ცხადია, ორივე შეწუხებული და იმედგაცრუებული იყო ჩემპიონატის ნაადრევად დატოვების გამო.

**- რონალდო როგორ გრძნობს თავს მუხლის ოპერაციის შემდეგ?**

- კარგად. მუხლი ჯერ კიდევ შარშან აწუხებდა. კარგია, რომ გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება. სხვა გზა არც ჰქონდა. იმედი მაქვს, ამ სეზონში ფორმის პიკში იქნება.

**- სულ უფრო ხშირად ისმის, რომ კაპელოს მოსვლასთან ერთად „რეალში" იტალიელი ფეხბურთელებიც მოვლენ...**

- ვერაფერს გეტყვით. ეს კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა. მე ის ვიცი, რომ წელს ახალი ტიტულები უნდა მოვიგოთ. ამ მიზნის მისაღწევად ფაბიო კაპელო ისეთ ფეხბურთელებს მოიყვანს, ვინც ამაში დაგვეხმარება. მნიშვნელობა არა აქვს, იტალიელი იქნება თუ არა.

## ინფოთეკა

### გერმანია აფრიკას დაეხმარება

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. ამ ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის ისეთი სტადიონები, რომლებზეც ამ დონის მატჩები გაიმართება. გადაწყდა, რომ სამხრეთაფრიკელებს გერმანელი არქიტექტორები დაეხმარებიან. ბერლინური კომპანია Gerkan Marg and Partner- სი სამხრეთ აფრიკაში სამ სტადიონს ააშენებს. კერძოდ, სტადიონები აშენდება კეიპ ტაუნში, დურბანში და პორტ ელიზაბეტში. ყველაზე დიდი დურბანის სტადიონი იქნება, რომელიც 85 ათას მაყურებელზეა გათვალისწინებული.

### თურქები ფრანკფურტში ითამაშებენ

ევრო 2008-ის პირველ საშინაო მატჩს თურქეთის ნაკრები გერმანულ ქალაქ ფრანკფურტში გამართავს. 6 სექტემბერს თურქები მალტის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. როგორც იცით, თურქები ფიფამ მკაცრად დასაჯა თურქეთ-შვეიცარიის მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტის გამო. თურქეთის ნაკრებს სამი მატჩის გამართვა მოუწევს ნეიტრალურ სტადიონზე. თუ პირველი შეხვედრის ადგილი უკვე გარკვეულია, ჯერ უცნობია სად უმასპინძლებს თურქეთის ნაკრები მოლდოვასა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს. ეს მატჩები, შესაბამისად, 11 ოქტომბერს და 28 მარტს უნდა გაიმართოს.

## ინფოთეკა

### სენდროსი ისვენებს

შვეიცარიის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის" მცველი მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული ტრავმის გამო მომავალი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს. „მეთოფეთა" ხელმძღვანელობის განცხადებით, სენდეროსმა გუნდთან ერთად ვერ დაიწყო საწვრთნელი პროცესი და, საეჭვოა, რომ სეზონის დაწყებისთვის მწყობრში ჩადგეს.

### კენჭისყრის დღე გაირკვა

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპისა და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 28 ივლისს ნიონში გაიმართება. წილისყრის პროცედურა თბილისის დროით 14.00 საათზე დაიწყება.

### 12 მილიონი ვან ნისტელროიში

თუ „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალურ ვებგვერდს დავუჯერებთ, რუუდ ვან ნისტელროი უახლოეს დღეებში გადავა მადრიდის „რეალში". მანკუნიანური კლუბი დათანხმდა გაყიდოს ფორვარდი. „რეალმა" ვან ნისტელროის სანაცვლოდ „მანჩესტერს" 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა. მადრიდის „რეალის" ფანები ვან ნისტელროის ყიდვის წინააღმდეგი არიან. ესპანურმა მედიამ ჩაატარა გულშემატკივართა გამოკითხვა და გაირკვა, რომ სამეფო კლუბის ფანების 66 პროცენტს ვან ნისტელროის ყიდვა არასწორად მიაჩნიათ.

### ბუფონი იტალიაში დარჩება

იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა უარყო მადრიდის „რეალისა" და ლონდონის „არსენალის" შეთავზებები. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, ბუფონი იტალიიდან წასვლას არ აპირებს, თუმცა, არც „იუვენტუსში" დარჩება. „მისი მიზანია დარჩეს იტალიაში და გააგრძელოს თამაში სერია A-ში. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რომელ კლუბში გადავა ჯიჯი", - აცხადებს ფეხბურთელის აგენტი.

### მხოლოდ ორი მატჩი

იტალიის ნაკრების მცველი მარკო მატერაცი სკუადრა აძურას ორ უახლოეს საერთაშორისო მატჩს გამოტოვებს. მართალია, ფიფას დისციპლინარულ კომიტეტს ჯერ არ დაუსრულებია მატერაცი-ზიდანის ინციდენტის გამოძიება, მაგრამ იტალიურ მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მაქსიმალური სასჯელი, რომელიც მარკოს ელის, ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაა.

### კანავარო უკვე მადრიდელია

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო ფაქტობრივად უკვე მადრიდის „რეალის" ფეხბურთელია. კანავარო შეუთანხმდა „რეალს" პირადი კონტრაქტის პირობებზე და უახლოეს დღეებში ეს ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდება. „იუვენტუსიდან" „რეალში" ასევე გადადიან ძამბროტა და ემერსონი.

### მარადონა გერმანელმა პიანისტმა მოხიბლა

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონა გასულ მუნდიალზე არგენტინის ნაკრების მთავარი გულშემატკივარი იყო, თუმცა, დიეგო ვერ დაესწრო გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალურ მატჩს, რადგან ტურნირის ორგანიზატორებმა მარადონას ერთ-ერთ თანმხლებ პირს ბილეთი არ მისცეს. ამის გამო დიეგომ ამ პრინციპულ დაპირისპირებას სასტუმროს ბარში ადევნა თვალი. როდესაც არგენტინელები პენალტების სერიაში დამარცხდნენ, დიეგოს თვალზე ცრემლი მოსდგომია, ბარის პიანისტმა კი ლეგენდის დასამშვიდებლად ცნობილი სიმღერა „Don't cry for me Argentina" დაუკრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დიეგომ ეს ისტორია არგენტინელ ჟურნალისტებს უამბო და აღნიშნა, რომ გერმანელი პიანისტის საქციელით აღფრთოვანებულია.

### „არსენალს" სავიოლა არ სჭირდება

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ცნობა, რომ არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა ლონდონის „არსენალში" გადადის. „მეთოფეთა" ფრანგმა მწვრთნელმა გუშინ უარყო ეს ინფორმაცია.

„სავიოლა საერთოდ არ გვაინტერესებს. თავად ამ ფეხბურთელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ გუნდში ფორვარდი ნამდვილად აღარ გვჭირდება. თავად განსაჯეთ: გვყავს ანრი, როსიცკი, რეიესი, ადებაიორი, უოლკოტი, ალიდაიერი, ლუპოლი. რაში მჭირდება კიდევ ერთი თავდამსხმელი", - აცხადებს ვენგერი.

# „ოლდ ტრაფორდზე" ცხრა წლის შემდეგ




ერიკ კანტონამ ცხრა წლის წინ დატოვა „ოლდ ტრეფორდი", თუმცა დრომ ვერ გააქარწყლა ის დიდი სიყვარული, რასაც „მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივრები დღემდე განიცდიან ფრანგი ლეგენდის მიმართ.

ბოლო დროს მას ხშირად ასახელებენ მანჩესტერელთა თავკაცის, სერ ალექს ფერგიუსონის შემცვლელად და მშობლიურ კლუბში დაბრუნებასაც უწინასწარმეტყველებენ. ამ დღეებში კანტონა ინგლისს ეწვია და „მანჩესტერ იუნაიტედის" ოფიციალური ჟურნალის „იუნაიტედ მეგეზინისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში „ოლდ ტრეფორდზე" გატარებული წლები გაიხსენა.

**- ცხრა წლის შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე" დაბრუნებულს ყველაზე მეტად რა გახსენდებათ?**

- განსაკუთრებულად არაფერი. მარტო აქ ყოფნითაც უზომოდ ბედნიერი ვარ. დღემდე მახსოვს ის მღელვარება, რასაც გვირაბიდან გამოსვლისას განვიცდიდი. გულშემატკივრებთან ერთად ჩვენ ერთი დიდი გუნდი ვიყავით და ვცდილობდით მოედანზე ბოლომდე დავხარჯულიყავით, რათა მიზნისთვის მიგვეღწია.

**- ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ „იუნაიტედში" მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდებით, თუ იგრძნობთ, რომ კლუბს სჭირდებით. როგორ ფიქრობთ, დადგა ეს მომენტი?**

- „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემთვის ყველაზე დიდი კლუბია მსოფლიოში და ჩემი საფეხბურთო ცხოვრების დაუვიწყარი მომენტებიც მასთანაა დაკავშირებული. მე დღემდე მიყვარს ეს კლუბი და თუ ვიგრძნობ, რომ ვჭირდები, აუცილებლად დავბრუნდები. ბუნებით შემოქმედი ადამიანი ვარ და, როგორც ფეხბურთელმა, მინდა რაღაც სიახლე შევქმნა. ყოველთვის მინდოდა განსაკუთრებული ვყოფილიყავი. მინდა, რომ განსაკუთრებული იყოს ჩემი საყვარელი გუნდიც.

**- ალექს ფერგიუსონთან ერთად მუშობა რომ შემოგთავაზონ, დათანხმდებით?**

- ის საუკეთესო სპეციალისტია მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია. ჩემი აზრით, ფერგიუსონი კიდევ კარგა ხანს დარჩება კლუბის თავკაცად. რაც შემეხება მე, თუ „ოლდ ტრეფორდზე" დავბრუნდები, მხოლოდ მთავარი მწვრთნელის რანგში.

**- ცოტა ხნის წინ სერ ალექსმა განაცხადა, რომ უეინ რუნის ისეთივე გავლენა აქვს გუნდში, როგორიც თქვენ გქონდათ ერთ დროს...**

- რუნი იმდენად ნიჭიერი ფეხბურთელია, რომ მართლაც დიდი გავლენა აქვს „მანჩესტერში". მაგრამ ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თუმცა ყველა თვისება აქვს, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს. ზოგჯერ ისეც არის ხოლმე, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს საუკეთესოობას. მაგრამ თუ რუნი მწვერვალზე ავა, კარგა ხანს აღარ ჩამოვა.

**- უკვე სამი წელია „მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერლიგას ვეღარ იგებს. თქვენი აზრით, ვერც წლევანდელ სეზონში მოახერხებენ „ჩელსის" უკან ჩამოტოვებას?**

- დარწმუნებული ვარ, განახლებულ სეზონში მოვლენები სხვანაირად განვითარდება. „მანჩესტერი" მომავლის გუნდს აშენებს, „ჩელსი" კი დღევანდელი დღით ცხოვრებას ამჯობინებს. ლონდონელები ყოველწლიურად ახალ ფეხბურთელებს იძენენ, რასაც ზოგჯერ ცუდი შედეგი მოაქვს.

**- ალექს ფერგიუსონსა და ჟოზე მოურინიოს შორის თუ ხედავთ რაიმე მსგავსებას?**

- ორივე მათგანი გამარჯვებაზე ორიენტირებული სპეციალისტია. მათ დიდი გავლენა აქვთ თავიანთ განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ორივე კარგად ახერხებს პრესის პროვოკაციული შეტევების მოგერიებას. მათ კარგად იციან სად, რა, როდის და რატომ თქვან.

**- თქვენი და „მანჩესტერის" გულშემატკივრის ურთიერთობას ერთხელ „სიყვარულის ისტორია" უწოდეთ. დღემდე გრძნობთ ამ სიყვარულს?**

- რა თქმა უნდა. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მათ არ დამივიწყეს. არადა, ამის ყველა პირობა აქვთ - ისინი ხომ ყოველწლიურად ახალი ვარსკვლავების თამაშს უყურებენ „ოლდ ტრეფორდზე". მათი სიყვარულის წყალობით, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დღემდე „მანჩესტერის" ფეხბურთელი ვარ.

# ლიპი: „ზიდანი გულწრფელად შემეცოდა!"

2006 წლის 9 ივლისის ღამეს თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელი შეემატა. გასული საუკუნის 90-იან წლებში მარჩელო ლიპი ჯერ საკლუბო დონეზე ბრწყინავდა, წლეულს კი ყველაზე მაღალი მწვერვალი დაიპყრო.

ჩემპიონატის მოგების შემდეგ ტრიუმფატორმა სპეციალისტმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო - იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი განაცხადა.

იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტთან საუბრისას მარჩელო ლიპიმ განვლილი მუნდიალი შეაფასა.

**- სინიორ ლიპი, გამოტყდით, ჩემპიონობის ღამეს გერმანიაში რაიმე სისულელე ჩაიდინეთ?**

- გულწრფელად გეტყვით: თასის მოგება სისულელეების გარეშე ვიზეიმე. სისულელეებისთვის არ მეცალა.

**- გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ რას საქმიანობთ?**

- ჩემს მშობლიურ ქალაქ ვიარეჯოში ჩავედი. მონატრებული ოჯახი ვინახულე. მეგობრები და ახლობლები მთელი ერთი თვე არ მენახა. როცა ჩემი გუნდი რომელიმე ტურნირზე გადამწყვეტ მატჩს ატარებს, მე და ჩემს მეგობრებს ერთი ტრადიცია გვაქვს - ჩვენთან, ვიარეჯოში, ზღვა და თევზაობა ჩვენებურების საყვარელი გასართობია. თითქმის ყველა ვიარეჯოელს საკუთარი ნავი აქვს. გადამწყვეტი მატჩების წინ მეგობრებს ვთხოვ ხოლმე, რომ ნავი თავისი აღჭურვილობით გამიმზადონ. ჩემი გუნდის წაგების შემთხვევაში რამდენიმე დღით მარტო გავდივარ ზღვაში. ეს სირცხვილისგან გაქცევის საუკეთესო საშუალებაა. მოგების შემთხვევაში კი ზღვაში მეგობრებთან ერთად გავდივარ და ერთად ვმხიარულობთ.

**- ახლაც ასე მოხდა?**

- არა. ამჯერად ქალაქში ისეთი სიხარული იყო, რომ მარტო ზღვაში გასვლით ვერ შემოვიფარგლე. ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე დაუვიწყარი დღეები იყო.

**- საკუთარ თავს ისტორიულ პიროვნებად თვლით?**

- რაღაც თვალსაზრისით - კი. ჩემი კოლეგებიდან ბევრი ვერ დაიკვეხნის ვერც მსოფლიო ჩემპიონატის მოგებით და ვერც საკლუბო დონეზე მიღწეული ბევრი ტიტულით. მე კი აქამდე ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და სკუდეტო მქონდა მოგებული. თუმცა, მსგავსი შეგრძნება, რაც მსოფლიო თასის მოგებისას დამეუფლა, არასოდეს მქონია. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმ ჭეშმარიტებაში, რომ მსოფლიო ჩემპიონატი განსაკუთრებული ტურნირია.

**- პირადად თქვენთვის რას ნიშნავს მსოფლიო ჩემპიონატი?**

- პირადად ჩემთვის ეს ტურნირი ყოველთვის ვარდისფერ ოცნებას ჰგავდა. ფეხბურთელობისას, 1974 წლის ფინალურ ეტაპზე, „სკუადრა აძურას" განაცხადში ვერ მოვხვდი. საშინლად იმედგაცრუებული ვიყავი. ასე რომ, ამჯერად ოცნებაც ამიხდა და ოცნებაზე მეტიც.

**- იტალიის ნაკრების ჩემპიონობაში თქვენს წვლილს როგორ შეაფასებთ?**

- ცხადია, უდიდესი წვლილი მიუძღვით ფეხბურთელებს. გერმანიაში სწორედ მათ გამოამჟღავნეს ჩემპიონისთვის შესაფერისი ჟინი და ხასიათი. ეს კი ფეხბურთში ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მე, უბრალოდ, ვეხმარებოდი მათ.

**- ბევრი ადამიანის აზრით, ფინალის პენალტებით მოგება უსამართლობაა...**

- ამ აზრს ვერ გავიზიარებ. თერთმეტმეტრიანების სერიაში ნაკრების თითოეული მოთამაშის ინდივიდუალიზმი, ფსიქოლოგიური მდგრადობა და მიზანდასახულობა იკვეთება. ყველა ამ თვისების გამოსავლენად ჩემი გუნდი მზად იყო. ჩემმა შეგირდებმა ხუთიდან ხუთივე გაუტანეს ფაბიენ ბარტეზს. ასე რომ, იმის თქმა, თითქოს შემთხვევით გავიმარჯვეთ, ლოგიკას მოკლებულია.

**- იმასაც ამბობენ, რომ დამატებით დროში უპირატესობას საფრანგეთის ნაკრები ფლობდა, იტალია კი დასუსტებული ჩანდა...**

- ამაში მართლაც არის სიმართლის მარცვალი. დამატებითი დროის მეორე ოვერტაიმში იტალიელები უფრო დაღლილები იყვნენ, ვიდრე ფრანგები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაუმსახურებლად გავიმარჯვეთ.

**- თუმცა, მატჩის მოგების რეალური შანსი უფრო სამფეროვანთა მხარეს იყო, როცა საჯარიმოს ცენტრიდან ზიდანმა თავით უძლიერესად დაარტყა...**

- საბედნიეროდ, ბუფონმა გვიხსნა. საერთოდ, ჯიჯიმ მთელი ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. მაგრამ ზიდანის დარტყმის შემდეგ იმასაც მივხვდი, რომ ეს დომენეკის გუნდის ბოლო შანსი იყო.

**- ზიდანის გაძევებაზეც გაგვიზიარეთ თქვენი აზრი...**

- ფეხბურთი, ისევე როგორც ცხოვრება, დაუნდობელია. მაშინაც კი, როცა საქმე ლეგენდებს ეხება. არ მინდა იმ ეპიზოდის დაწვრილებით გახსენება, მაგრამ ზინედინ ზიდანი გულწრფელად შემეცოდა...

**- როდის მიხვდით, რომ მუნდიალს თქვენ მოიგებდით?**

- ფინალამდე კარგა ხნით ადრე. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფურ ეტაპზე ძირითადი მეტოქის - ჩეხეთის ნაკრების დამარცხება იყო. ამ წარმატების წყალობით ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით, რამაც მერვედფინალში ბრაზილიასთან შეხვედრა აგვაცილა.

**- ესე იგი, ფიქრობთ, რომ, ყველაფერთან ერთად, გაგიმართლათ კიდეც?**

- რა თქმა უნდა. ფეხბურთში ხომ იღბალიც საჭიროა. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩეხებთან დამსახურებულად გავიმარჯვეთ. უკრაინა და ავსტრალია ძლიერ მეტოქეებად არ ითვლებიან. გამოდის, რომ ნახევარფინალამდე, ფაქტობრივად, გზა ხსნილი გვქონდა. ნახევარფინალი კი ის ეტაპია, სადაც ყველაფერს უნდა ელოდე. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა.

**- გულშემატკივრებმა ჩემპიონატის საუკეთესო მატჩად გერმანია-იტალიის ნახევარფინალი დაასახელეს. თქვენც ამ მატჩს გამოყოფთ?**

- არასოდეს დამავიწყდება ის მომენტი, როცა ბუნდესნაკრებს 60 ათასი გერმანელის თვალწინ გამოვგლიჯეთ მოგება. ეს ფანტასტიკა იყო. მსგავსი დონის მატჩები ფსიქოლოგიურად კარგად მოქმედებს მოთამაშეებზე. ასეთი გამარჯვების შემდეგ ფეხბურთელების შეჩერება თითქმის შეუძლებელია.

**- იტალიის ნაკრებში ვის თვლით ქარიზმატულ ლიდერად?**

- ჩვენს გუნდში თითქმის ყველას აქვს ქარიზმა, ოღონდ ეს სხვადასხვანაირად ვლინდება. მაგალითად, პერუცი არასოდეს ყვირის, ერთი შეხედვით, მშვიდი და გაწონასწორებულია, მაგრამ ამავე დროს საკუთარ შესაძლებლობებში ასი პროცენტითაა დარწმუნებული. ჯენარო გატუზო, პირიქით, მძიმე წუთებში თანაგუნდელების დამუხტვის უბადლო ოსტატია. კედელს გაიტანს, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწევს. უპირობო ლიდერია ალესანდრო დელ პიერო. თამაშის შეგრძნების თვალსაზრისით და მოედანზე გამომჟღავნებული ინტელექტის მხრივ მას ვერავინ შეედრება.

**- საკლუბო დონეზე გამოცდილი მწვრთნელი ხართ. რა განსხვავებაა საკლუბო და სანაკრებო მოღვაწეობას შორის?**

- კლუბში ყოველდღიურად ხვდები შენს განკარგულებაში მყოფ ფეხბურთელებს. მათთან ერთად მარტო კი არ ვარჯიშობ, სადილობ, ისვენებ. ასე რომ, კლუბის თავკაცს ფეხბურთელის „გადაკეთების" უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს.

ნაკრებში ამას ვერ გააკეთებ, რადგან ფეხბურთელებს ორ თვეში ერთხელ ხვდები. თუმცა, ნაკრების თავკაცის უპირატესობა ისაა, რომ მის განკარგულებაში ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელები არიან.

**- რა პრინციპებით ხელმძღვანელობს ნაკრების თავკაცი, როდესაც დიდი ტურნირების წინ გუნდში ფეხბურთელებს იძახებს?**

- უპირველეს ყოვლისა, ყველა ღირსეულ მოთამაშეს თავის გამოჩენის შანსი უნდა მისცეს. ნაკრების კარი განაცხადების ჩაბარების ბოლო წუთამდე ყველასთვის ღია უნდა იყოს.

**- დაბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვით. ახლა რას აპირებთ?**

- ნუ ჩქარობთ, ყველაფერს მალე შეიტყობთ.



## მაგათმა კონტრაქტი გააგრძელა

მიუნხენის „ბაიერნის" მთვარმა მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. მაგათის მუშაობით „ბაიერნის" ხელმძღვანელობა კმაყოფილია, რაც ახალი კონტრაქტის გაფორმების შემდეგაც გახდა ცხადი. მომავალ სეზონში მიუნხენურ კლუბს გერმანიის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება და ჩემპიონთა ლიგის მოგება აქვს მიზნად დასახული.

## ივანკოვიჩის ნაცვლად კუალენოი

ირანის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნლის პოსტზე ამირ კუალენოი დანიშნა. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ირანული ფეხბურთის მესვეურებმა თანამდებობა დაატოვებინეს ბრანკო ივანკოვიჩს. ირანში ჩათვალეს, რომ ივანკოვიჩმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

## ტორესი „ატლეტიკოს" ტოვებს

მადრიდის „ატლეტიკოს" მთვარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ განაცხადა, რომ გუნდის ლიდერმა ფერნანდო ტორესმა შესაძლოა კლუბი დატოვოს.

„მე ვესაუბრე ფერნანდოს და მისგან გუნდში დარჩენის გარანტია ვერ მივიღე. არ გამოვრიცხავ, რომ ტორესმა „ატლეტიკო" დატოვოს", - აცხადებს აგირე. თუ ტორესმა მართლაც გადაწყიტა წასვლა, ის ზაფხულის სატრანსფერო ბაზრის ყველაზე მსუყე ლუკმად იქცევა. ევროპული ფეხბურთის თითქმის ყველა გრანდს სურს ნიჭიერი ესპანელი ფორვარდის შეძენა.

## დაფმა „არისტოკრატობა" აღარ ისურვა

ირლანდიის ნაკრების ფორვარდი დემიენ დაფი მომავალ სეზონში „ტოტენჰემში" ითამაშებს. ირლანდიელი ფეხბურთელი „ჩელსის" ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და ამიტომ განიზრახა კლუბის შეცვლა. „დეზები" ფეხბურთელში 11 მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდიან. კონტრაქტი უახლოეს სამ დღეში გაფორმდება.

## სერბებმა მწვრთნელი იპოვეს

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე სერბეთის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობა დატოვა ილია პეტკოვიჩმა და სერბები კარგა ხანს ვერ ახერხებდნენ მისი შემცვლელის მოძებნას. არადა, ერთ თვეში სერბეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი აქვს გასამართი.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ სერბეთის ფეხბურთის ფედერაციამ ხავიერ კლემენტესთან მიაღწია შეთანხმებას. კონტრაქტი ორწლიანია. კლემენტეს ამ ხნის განმავლობაში 700 000 ევროს გადაუხდიან.

## ტურამი „იუვენტუსს" დატოვებს

ტურინის „იუვენტუსის" ფრანგმა მცველმა ლილიან ტურამმა განაცხადა, რომ აუცილებლად დატოვებს ტურინის „იუვენტუსს".

„პრაქტიკულად არარეალურია ჩემი დარჩენა ტურინულ კლუბში. სერია B-ში თამაშს არ ვაპირებ", - აცხადებს ლილიან ტურამი.

ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს თამაშს ფრანგი მცველი. სამაგიეროდ თითქმის გადაწყდა, რომ ტურამის მეგობარი და თანაგუნდელი პატრიკ ვიეირა „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავა.

## ბრაზილიაში ტევესის ტრანსფერით დაინტერესდნენ

ბრაზილიური სასამართლო დაინტერესდა „კორინთიანსის" არგენტინელი ფორვარდის კარლოს ტევესის ტრანსფერის დეტალებით.

სასამართლომ კლუბს 14 დღე მისცა იმისთვის, რომ სასამართლოს წარუდგინონ ტრანსფერის სრული დოკუმენტაცია. შეგახსენებთ, რომ „კორინთიანსმა" ტევესი 2005 წელს 15 მილიონ ევროდ იყიდა.

## ბენაიუნს გრანდები იწვევენ

ლონდონის „ვესტ ჰემის" ებრაელი ნახევარმცველის იოსი ბენაიუნის გადაბირება „არსენალსა" და „ლივერპულს" სურთ. თავის დროზე „ჩაქუჩებმა" ესპანურ „რასინგს" ბენაიუნში 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. ახლა ფეხბურთელი 6 მილიონად არის შეფასებული. ებრაელ ფეხბურთელს „ვესტ ჰემში" ერთი სრული სეზონიც კი არ უთამაშია.

## მერტეზაკერი „ვერდერში"

ბრემენის „ვერდერი" უახლოეს დღეებში დაასრულებს კონტრაქტის გაფორმებას გერმანიის ნაკრების 21 წლის მცველ პერ მერტეზაკერთან. გასულ სეზონში ახალგაზრდა მცველი „ჰანოვერის" ღირსებას იცავდა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა თანხას გადაიხდის ბრემენული კლუბი ფეხბურთელში. თავიდან ივარაუდებოდა, რომ მერტეზაკერი ფრანკ ფარენჰორსტში გაიცვლებოდა, მაგრამ „ვერდერის" ხელმძღვანელებმა ამ ფეხბურთელთან განშორება არ ისურვეს და მერტეზაკერში ალბათ სოლიდურ თანხას გადაიხდიან.

## მორატი: „ინტერი" ჩემპიონია

„ინტერის" მფლობელმა მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი გასული სეზონის ჩემპიონად უნდა გამოცხადდეს. „სკუდეტო „ინტერს" ეკუთვნის. უნდა გავარჩიოთ ბინძური და სუფთა თამაში. მეამაყება, რომ ჩემი გუნდი პატიოსნად თამაშობს და ცნობილ სკანდალში არ არის გარეული. თუ სკუდეტოს „ინტერს" არ მიაკუთვნებენ, გამოდის, რომ ფედერაციის ყველა ჩინოვნიკი ჩაფლულია კორუფციაში", - აცხადებს მორატი.

## მოურინიოს რჩევა

„ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუსთვის უკეთესი იქნება, თუ „მანჩესტერს" დატოვებს. „კრიშტიანუ უნიკალური ფეხბურთელია. მას უდიდესი მომავალი აქვს. მართალია, ჩვენ ახლო ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ ხშირად ვხვდებით. ჩემი აზრით, უკეთესი იქნება, თუ „მანჩესტერს" დატოვებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ჩემპიონობის შანსი", - ამბობს მოურინიო. ამავე დროს, როგორც პორტუგალიელი ფეხბურთელის დედა ამბობს, მისი ვაჟი მომავალ სეზონშიც „მანჩესტერში" ითამაშებს.

## ოუენს ტრავმა გაურთულდა

მაიკლ ოუენს მორიგი პრობლემა შეექმნა - მსოფლიო ჩემპიონატზე მიღებული ტრავმა უაღრესად სერიოზული აღმოჩნდა. ფეხბურთელს უკვე გაუკეთეს ერთი ოპერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ გაირკვა, რომ მხოლოდ ერთი ოპერაცია საკმარისი არ არის. მაიკლი გუშინ კიდევ ერთხელ ეწვია აშშ-ს, სადაც მას განმეორებითი ოპერაცია უნდა გაუკეთდეს.

## ტოგოური განაჩენი

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი სკანდალი ტოგოს ნაკრებს დაუკავშირდა. ამ გუნდის ფეხბურთელებს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მუნდიალის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის განკუთვნილი პრემიები არ მისცა და მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ფეხბურთელებმა კინაღამ ბოიკოტი გამოაცხადეს. ეტყობა, ტოგოს ფეხბურთის ფედერაციამ ამ საქმისთვის ახლა მოიცალა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თანამდებობა დატოვა ფედერაციის ოთხმა მაღალჩინოსანმა, რომლებსაც ფეხბურთელებისთვის ფუჭი დაპირების მიცემა ედებათ ბრალად.

## ლემანი ძირითად მეკარედ რჩება

გერმანიის ნაკრების ახალი მწვრთნელი იოახიმ ლიოვის განცხადებით, ნაკრების ძირითად მეკარედ იენს ლემანი დარჩება. ახლა ასეთი განცხადების გაკეთება ალბათ უადგილოცაა, რადგან ოლივერ კანმა უკვე დაასრულა სანაკრებო კარიერა და ლემანს ფაქტობრივად კონკურენტი არ ჰყავს.

## ვენგერი სხვისი უბედურებით არ ისარგებლებს

არსენ ვენგერის განცხადებით, „არსენალი" არ აპირებს ტურინის „იუვენტუსის" ფეხბურთელების ყიდვას. „ტურინულ კლუბში ფეხბურთელებს მაღალ ხელფასებს უხდიდნენ. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება სხვა გუნდი, რომელიც მათ ასეთივე ხელფასს გადაუხდიდა. „არსენალს" ნამდვილად არ შეუძლია ასეთი ხარჯის გაღება. ამიტომ ტურინული კლუბის ფეხბურთელების შეძენას არ ვაპირებთ", - აცხადებს ვენგერი.

## რა ღირს ჰიდინკი?

როგორც იცით, რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად გუუს ჰიდინკი დაინიშნა. სხვადასხვა რუსული სააგენტოების ინფორმაციით, რუსები ჰიდინკს სეზონში 2 მილიონ ევროს გადაუხდიან. თუმცა, მაღალკვალიფიციური მწვრთნელის ყოლა მხოლოდ ეს თანხა როდი დაჯდება. გუშინ ჰიდინკი რუსეთში ჩაფრინდა. ახლა ის მოსკოვის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში ცხოვრობს. რუსმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ სასტუმროს ნომერი, რომელშიც ჰიდინკმა დაიდო ბინა, 2025 დოლარი ღირს.

## „ფიორენტინა" ტონის შენარჩუნებას აპირებს

მოგეხსენებათ, „ფიორენტინა" მომავალ სეზონს სერია B-ში გაატარებს. ამიტომ საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ ფლორენციული კლუბი დატოვოს იტალიის ნაკრების ფორვარდმა ლუკა ტონიმ. კლუბის პრეზიდენტმა დიეგო დელა ვალიმ განაცხადა, რომ არაფრით არ შეელევა ფორვარდს. „ტონი გუნდში დარჩება და დაგვეხმარება, რომ სერია A-ში დავბრუნდეთ. ფეხბურთელს არაფრის დიდებით არ გავყიდით. ტონის ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს. ამიტომ მის ტრანსფერზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია", - აცხადებს „იების" პრეზიდენტი.

## ცისფერი ოლიმპიადა

ამ დღეებში აშშ-ს შტატ ილინოისის ქალაქ ევანსტოუნში მიმდინარეობს ჰომოსექსუალთა მეშვიდე თამაშები. სპორტსმენები ოლიმპიურ სახეობებში ეჯიბრებიან ერთმანეთს. როგორც ამბობენ, საწყლოსნო სახეობები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ამავე ქალაქში ჰეტეროსექსუალებმა საპროტესტო მიტინგები მოაწყვეს, ტურნირის ჩაშლა მაინც არ მოხერხდა.

## ნამატი ბექჰემების ოჯახში

სულ ცოტა ხანში დევიდ და ვიქტორია ბექჰემებს მეოთხე შვილი ეყოლებათ. ვინც მსოფლიო ჩემპიონატს ადევნა თვალი და ტრიბუნაზე მყოფი ვიქტორია დაინახა, ამ ინფორმაციაში ეჭვი შეეპარება. ინგლისის ნაკრების ექსკაპიტნის მეუღლეს ორსულობის არაფერი ეტყობოდა. ამჯერად ბექჰემებმა ბავშვის აყვანა გადაწყვიტეს. ვიქტორიას უკვე დიდი ხანია სურდა ქალიშვილი, მაგრამ წყვილის ყველა მცდელობა „წარუმატებლად" დასრულდა - ვარსკვლავურ წყვილს სამი ვაჟი ჰყავს. ამიტომ დევიდმა და ვიქტორიამ გადაწყვიტეს გოგონა იშვილონ.

მათ ყველა საჭირო დოკუმენტი უკვე შეაგროვეს და ცოტა ხანში პატარა აფრიკელ გოგონას იშვილებენ.

## „ლანსი" ადგილს ითხოვს

საფეხბურთო კლუბ „ლანსის" პრეზიდენტმა ჟერარ მარტელმა თხოვნით მიმართა უეფას, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში დაუშვან. მარტელის აზრით, არასწორია, რომ იტალიური კლუბების დასჯის შემდეგ გამოთავისუფლებული ადგილები ისევ იტალიელებს დაუთმეს. „გათავისუფლებული ადგილები იტალიის ჩემპიონატში მე-7 და მე-8 ადგილებზე გასულ გუნდებს არ უნდა მისცენ. ჩემპიონთა ლიგა ყველაზე პრესტიჟული ტურნირია. სამართლიანი იქნება, თუ იტალიელების დასჯის შემდეგ გათავისუფლებულ ადგილებს გერმანიას და საფრანგეთს დაუთმობენ - ამ ქვეყნებმა ხომ პატიოსანი თამაშის პრიზი მოიპოვეს", - აცხადებს მარტელი.

# მიმხდომი დაცვა გაირღვა

სამხრეთული რაგბის პირველი სამწრიანი სამი ერის მეორე რაუნდში ავსტრალიამ, ვინც სტარტზე ზელანდიაში მწარე მარცხი იწვნია, შინ უმაგალითოდ დიდი სხვაობით და თანაც ნულზე მოსრა აფრიკა და მის ნაცვლად ირბ-ის რეიტინგში მესამე ადგილზე თავად მოკალათდა.


ავსტრალიამ სამხრეთ აფრიკაზე არნახული გამარჯვება მოიპოვა.

### ავსტრალია 49:0 აფრიკა

სამი ერის დასაბამიდან აქამდე გამართულ 61 მატჩში მსგავსი შედეგი არ აღნუსხულა. ბოკეს, ვინც წელს მონათვლის ასი წლისთავს აღნიშნავს, უარესად (3:53) ოთხი წლის წინ, ინგლისშიღა წაეგო, ვოლაბიზს კი აფრიკა, 1933 წლიდან მოყოლებული, უდიდესი სხვაობით (32:6) ბრისბენშივე ეძლია შვიდი წლის წინათ.

ცხრა წლის წინ ავსტრალია აფრიკაში 22:61 დამარცხდა და სამაგიერო ახლაღა გადაუხადა მეტოქეს, ვისაც ველარ გამოადგა განთქმული მიმხდომი დაცვა. ერთი რომ, კივმა რეფმა ძალზე მკაცრად განსაჯა ოფსაიდის წესის წკიპზე მოთამაშე ბოკე და მეორეც, ცქვიტი მეტ გიტოს წყალობით ოზებმა ბევრჯერ გაარღვიეს იაპთა მწყობრის შუაგული, სადაც სტუმრებმა ერთობ მოისაკლისეს დაშავებულები, ბეკი ჟან დეფილიერსი და მლლეტელი სხალკ ბერგერი.

ამინდის პროგნოზად ცვალებადი მოღრუბლულობა და დროდადრო წვიმა რომ იყო გამოცხადებული, მედია და მონაწილენიც ბლომად ჭიდილსა და ჩახურულ თამაშს ელოდნენ, მაგრამ ჩინებული ბურთაობა კი გაჩაღდა. ზელანდიაში შერცხვენილი ოზთა შერკინება კრიტიკამ გააგულისა და ვეება ბურებს ოდნავ თუ დაეჩაგვრინა, მასპინძელთა ვირტუოზმა ბეკებმა კი გაამასხარავეს მეტოქე. ჰოდა, ბობოლა საითმა „პლანეტ რაგბმა" მოსწრებულად შენიშნა, პიანინოზე დამკვრელებმა პიანინოს მზიდავები ძალიან დაიბრიყვესო.

ავსტრალიის სამი ლელო ფორვარდთა ანგარიშზეა და სამიც ბეკებისაზე. აფრიკამ მეტ-ნაკლებად კარგად მატჩის მესამე მეოთხედშიღა ითამაშა, მაგრამ მაინც ამაოდ დაშვრა. ახლებმა (სპისი, ნდუნხანე) ხომ ვერ ივარგეს და ვეტერანებმაც (მეტფილდი, მონთგომერი) ველარ იყოჩაღეს, პივოტი იაკო ფანდერვესტჰეიზენი კი დაცვაშიც ცოდავდა და შეტევაშიც. ერთი სიტყვით, ბოკემ ბოლო სამ სეზონში უსაძაგლესად ითამაშა.

### ხელები უცახცახებდათ

საწყისი პინგ-პონგისა და დაზვერვის შემდეგ ბებერმა სთივენ ლარქემმა 1999 წლის მსოფლიო თასი გაიხსენა და 38 მეტრიდან არეკნი დაკრა. მალე ჩია მულატმა რიკი იანარმა ვირგლა სთერლინგ მორტლოქს სახეზე ხელი უშნოდ მოუცაცუნა, მაგრამ ვოლაბიზის კიკერმა ძელს გაარტყა ჯარიმა, ხუთი წუთის შემდეგ კი ბურმა ბერმუხამ, ოს დიურანმა შერკინებაში რომ დაჯაბნა გაი შეპარდსონი, უფალმა ჰონისმა, მასპინძელთა გასაკვირადაც კი, ჯარიმა მათ უბოძა და კრის ლეითემმა თავისი ნახევრიდან მარცხენა ალამს დაუმიზნა ბურთი.

ხუთმეტრიან დერეფანში ავსტრალიამ ქრესტომათიული მოლი ააგორა და ლელო სატვირთოს მისაბმელად მდგარმა ჯერემი პოლმა შეიტანა. აქედან მოყოლებული, იაპებს ხელები აუცახცახდათ. იაკომ რომ დააგდო ბურთი და ფეხი მიარტყა, მსაჯს შეედავა, არეკნს ვარტყამდიო (70 მეტრიდან!). კოლეგას არ ჩამორჩა მონთი და მორტლოქმა ახლოდან შეაგდო ჯარიმა, მეორე ლელოზე კი ასაკის გამო შეზანტებულმა ლარქემმა მაინც თავბრუ დაახვია უმარდეს ბრაიან ჰაბანას, ჯორჯ გრეგანმა კი პირდაპირ დააკვრევინა გრეგ ჰოლმსს და ჯეელმა ბურჯმაც ბოლო სამ ტესტში მეორე ლელო ჩაიწერა.

პირველი ტაიმის ბოლო ათი წუთი ბოკემ 14 კაცის ამარა ითამაშა, რადგან გიტოს რეიდის შემდეგ ვიქტორ მეტფილდმა თამაშგარედან მოიგერია ბურთი და სინბინში წაბრძანდა. გიტომ კიდევ მოაწყო გარღვევა. ფორვარდებმა აურიეს, მაგრამ გრეგანმა ნაშეგირდალს გაუხერხა მოკლე პასი და ესეც კარში შეფრინდა. მეორე ტაიმში ოზთა ჰავბეკად სემ ქორდინგლი შევიდა და გუნდი არანაკლებ მწვავედ აბურთავა, მაგრამ არც იანარის შემცვლელი ფური დიუპრე დარჩა ვალში და ბოკე სამ (!) ლელოს გადაარჩინა.

აფრიკამ ბარე ათი წუთი კარგად უტია, მაგრამ ერთხელ იაკომ მიქარა, მეორედ მორტლოქმა გააკავა მონთგომერი, ბოჭვაზე ბოკეს თერნოვერები შეემთხვა, გადამწყვეტ მომენტში კი პოლ ჰონისმა შერკინებაში უსწოროდ მიწოლისთვის ტოკს ფანდერლინდე დააჯარიმა. 30 ქულით დაწინაურებულმა ავსტრალიამ განსაცდელს თავი რომ დააღწია, გაიჯეჯილა, მაგრამ ქორდინგლს ლელოში შეტანილ ოვალში დიუპრე შეეზიარა.

### ავსტრალია 49:0 აფრიკა

**ავსტრალია:** ლეითემი, ჯერარდი, მორტლოქი, გიტო, ტუნქირი; (10-9) ლარქემი, გრეგანი კაპ / ჰოლმსი, პოლი, შეპარდსონი; შარფი, ვიკერმანი; ელსომი, სმითი, ფეივა * (მ) რესბოუნი, როჯერსი, ქორდინგლი / ჰარდმანი, ბაკსტერი; ჩიზომი, ვო;
მწვრთნელი: ქონოლი
**6 ლელო:** პოლი, ჰოლმსი, გიტო (ორი), ლეითემი, ჩიზომი
**5 გარდასახვა:** მორთლოქი
**2 საჯარიმო:** მორტლოქი; ა: ლარქემი
**აფრიკა:** მონთგომერი, ნდუნხანე, ფური, ოლიფიე, ჰაბანა; (10-9) ფანდერვესტჰეიზენი, იანარი / დიურანი, სმიტი კაპ, ფანდერლინდე; როსუ, მეტფილდი; ფანიკერკი, სმითი, სპისი (მ) პოლსე, ბოსმანი, დიუპრე / კუცია, ენდრიუზი; ფანდენბერხი, კრონიე;
**მწვრთნელი:** ვაითი
**სინბინი:** მეტფილდი (31)
**რეფერი:** ჰონისი ზელანდია. ბრისბენი, სანკორპი (45 978) - 3:0(6ა) 10(17) 13(20) 20(26) 23(32) 30(38) / 37(59ვ) 42(66) 49:0(76)

### დავმდგარიყავით და გვეცქირაო?

მეოთხე, პრემიის მომტანი ლელო გიტოს გადაკიდებულიდან გავიდა. ლოტე ტუნქირმა ბურთი რომ მოხსნა, წაიქცა, მაგრამ მაინც მიაწოდა ლეითემს. ამას იქვე მეორე ლელოც გაჰქონდა, მაგრამ სველი „სამითი" ხელიდან გაუსხლტა. ლელოში შეიჭრა ორმეტრიანი ნეითან შარფი და ისევ დიუპრემ ალაგმა, ბოლო ორი ლელო კი ძირით აფრიკელის, კლაიდ რესბოუნის ნახელავია: ექსდურბანელი ჯერ ფრთაზე გაიჭრა და მისგან ლელოში შეგორებულ ბურთს გიტო ბოკეთა ცხვირწინ დაახტა, მერე კი ნაიაპარმა ოვალი კიდიდან უცებ შემოაგდო და მარკ ჩიზომი ლელოში შებრძანდა.

ნამატჩევს გრეგანი შაქარივით დადნა და შენიშნა, ბოკეს გემოზე ძლევა წინათაც შეგვეძლო, მაგრამ საქმეს თავს ვერ ვადგამდითო. ვოლაბიზის გურუმ, ჯონ ქონოლმა კი ბრძანა, გამარჯვება თავში არ უნდა აგვივარდეს, მით უფრო, თუ მეორე ტაიმში მოვეშვით და რამდენჯერმე ნაღდი ლელო ვერ გავიტანეთო. ბებერი „ნაქლზის" (მჯიღი) აფრიკელმა კოლეგამ, ჯეიქ ვაითმა მოიბოდიშა, აბა, ასეთი ანგარიშის მერე რაღა უნდა ვთქვაო. ბოკეს კაპიტანი ჯონ სმიტი კი საზოგადოებას შეჰპირდა, ზელანდიას კაცურად ვეთამაშებით და აღარ შევრცხვებითო.

ძლეული გუნდის სკიპერი და მწვრთნელი მსაჯსაც გადასწვდნენ. ვაითი გამოტყდა, რაღაც არ მახსენდება, ჩემი შეგირდები ოფსაიდის გამო ამდენჯერ (13) დაჯარიმებულიყვნენო და ეგეც იკითხა, აბა, უნდა ვმდგარიყავით და გვეცქირა, თუ ავსტრალია როგორ იბურთავებდაო. სმიტმა ეგ აზრი განავითარა, რომ ჰონისი ყველა საორჭოფო ვითარებაში მასპინძლებს მიემხრო (ასევე მოიქცა აფრიკელი კაპლანი პირველ რაუნდში).

მეტიც, რეფმა ოზები ბოჭვაზე თავიდანვე ნებაზე მიუშვა, დარღვევას კი მარტო ბოკესას ხედავდა. ამით ვოლაბიზი გალაღდა, გათამამდა და ბევრითაც დაწინაურდა, ბოკე კი საბოლოოდ წახდა. სხვაფრივ, თამაშის დაწყებიდან ნახევარი საათი იყო გასული, ბურთი დროის 70 პროცენტი ავსტრალიას ეპყრა და ბოკეს უკვე 15 ბოჭვა გასცუდებოდა. ერთი სიტყვით, აფრიკელებმა იდედლეს: მარცხის მიზეზი საკუთარ თამაშში უნდა ეძიონ და არა განზე.

*მასალა მომზადებულია საიტზე:*
*http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm*

# „რენო" და „მაკლარენ-მერსედესი" ხმებს უჩივიან

*„საფრანგეთის დიდი პრიზზე" „მაკლარენ-მერსედესისა" და „რენოს" თავკაცებს დრო ფუჭად არ დაუკარგავთ. საჯინიბოთა ბოსებმა უარყვეს გავრცელებული ხმები, თითქოს ფრანგული საჯინიბოს მრბოლი ფერნანდო ალონსო მაკლარენელებთან 2007 წლისთვის დადებული ხელშეკრულებისგან თავის დაღწევას ცდილობს.*
*ყოველ შემთხვევაში, ამაში გვარწმუნებდა ფრანგული სატელევიზიო ქსელი TF1. „ტელევიზიონშიკთა" ნათქვამს უმალ მოჰყვა „მერსედესის" ბოსის ნორბერტ ჰაუგის კომენტარი: სრული სიცრუეა, თითქოს ალონსო გაისადაც „რენოში" უნდა გამოვიდესო. ჰაუგისგან განსხვავებით, ტყუილ-მართალში გარკვევა უჭირს „რენოს" მთავარ ინჟინერს პეტ სიმონდს: წარმოდგენა არა მაქვს რა ხდება და რომ ვიცოდე კიდეც, მაინც არაფერს ვიტყვიო.*



ალონსოს „რენოდან" გადასვლა-არგადასვლაზე ბევრს საუბრობენ.

ჩვენ კი, ვითარებაში გასარკვევად, ჯობს თანამიმდევრობა დავიცვათ.

ერთი სიტყვით, „საფრანგეთის დიდი პრიზიდან" მეორე დღეს, ესე იგი, გუშინ, მაკლარენელებმა თქვეს, რომ 24 წლის ფერნანდო ალონსო ისევ მათთანაა დაკავშირებული და კონტრაქტი 2007 წლიდან შევა ძალაში.

...შარშან „რენოს" ესპანელმა მსოფლიო ჩემპიონმა ფორმულა 1-ის სამყარო შოკში ჩააგდო თავისი განცხადებით, თითქოს ფრანგულ საჯინიბოს მეტოქეთა ბანაკზე - „მაკლარენ-მერსედესზე" ცვლიდა.

და მაინც, „საფრანგეთის დიდი პრიზის" დროს გავრცელებული ხმები იმაზე მიგვანიშნებს, რომ ალონსოს, შესაძლოა, მაკლარენელებთან დადებული ხელშეკრულების გადახედვა სურდეს.

ვარაუდობდნენ, რომ „რენოს" ბოსს ფლავიო ბრიატორესა და ალონსოს მაკლარენელებისგან მრბოლის ხელშეკრულების გამოსყიდვა უნდოდათ, რადგან „მაკლარენ-მერსედესი" შორსაა საუკეთესო ფორმისგანო.

მიუხედავად ამისა, მაკლარენელთა აღმასრულებელი დირექტორი მარტინ უიტმარში დარწმუნებულია: ალონსო გაისად შეუერთდება გუნდს და ამავე დროს უარყოფს ფაქტს, რომლის მიხედვით ბრიატორე ესპანელის გუნდში დატოვებას ცდილობს.

„არა მგონია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა გვქონდეს, - Autosport-თან საუბარში აცხადებს უიტმარში, - მგონია, რომ ხელშეკრულება აკადემიურად გვაქვს შედგენილი, ხოლო ის ხმები, რომლებმაც ჩემამდე მოაღწიეს, იმისკენ იყო მიმართული, რომ იტალიელი ჯენტლმენი (ბრიატორე) ცდილობდა ალონსო იძულებული გაეხადა ხელშეკრულება დაერღვია.

ჯერ ერთი, არ მჯერა, რომ მას ამის გაკეთება უნდა. და, საერთოდ, ჩვენი პირობები საკმაოდ მკაცრია".

რაც შეეხება თავად ბრიატორეს, რომელსაც ჰკითხეს, აპირებს თუ არა ალონსოს გუნდში შენარჩუნებას, მან გავრცელებული ხმები უარყო: „არ ვიცი, საიდან ვრცელდება ეს ხმები. ეს ყველაფერი საპირველაპრილო ხუმრობას ჰგავს. მე არც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ვაიძულებ ვინმეს და არც მის დარღვევას".

„საფრანგეთის დიდი პრიზის" შემდეგ ჩემპიონატის ლიდერსა და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს შორის ქულებში სხვაობა 19-დან 17 ქულამდე შემცირდა. წინ კიდევ შვიდი რბოლაა.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია
სარბიელი
სპორტი
24 საათი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი" საიდენტიფიკაციო კოდი 202051876, მის. ლებლიანას N4, შიდა შემოსავლების ფარგლებში აცხადებს ტენდერს ცენტრის მე-3 სართულის კაპიტალური რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა:

ცენტრის მე-3 სართულის კაპიტალური რემონტი.

დაინტერესებულ პირებს გასაწევი მომსახურების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ მათი მოთხოვნის შესაბამისად სატენდერო კომისიის აპარატში (ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. N4, "აკად. გ. ჩაფიძის სახ. Gგადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი", VIII სართული, ადმინისტრაცია).

2. მიწოდების სასურველი ვადა -- 2006 წლის 1 ოქტომბერი.

3. დაინტერესებულმა იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად (დედანი და ერთი ასლი), დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 7 აგვისტოს 10:00-დან 15:00-მდე, სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

***იურიდიული პირისათვის***

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები (მოსამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა შესაბამისი სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ე) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

***ფიზიკური პირისათვის***

ა) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

***როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისთვის***

ა) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ანალოგიური სამუშაოებზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

| | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1<br>2 | | | | |

ბ) ბოლო 3(სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (ირიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები).

გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

სატენდერო წინადადებების და საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას აქვს უფლება მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლი გადახდის შემდეგ, 18 ივლისიდან 6 აგვისტომდე, ანგარიშზე:

საქართველოს ბანკი, ცენტრალური ფილიალი. Mმის: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N140.

მიმღები "აკად. გ. ჩაფიძის სახ. Gგადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი".

ბანკის კოდი: **220101502;**

ანგარიშსწორების ანგარიში: **200467136**

საიდენტიფიკაციო კოდი: **202051876**

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, თათია მგელიაშვილი. ტელ: 526296

**სატენდერო კომისი**

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატი, პროდუქტისთვის "Kaspersky Anti-Virus Corporate for SendMail/Qmail/Postfix with Milter API CIS and Baltic Edition", საკონკურსო წესით შეისყიდის ერთწლიან ლიცენზიას 800 მომხმარებელზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია "კასპერსკის ლაბორატორიის" ოფიციალური პარტნიორის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოწოდება უნდა მოხდეს ოპერატიულად შემსყიდველის მისამართზე, სასურველია უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

1. "კასპერსკის ლაბორატორიის" ოფიციალური პარტნიორის დამადასტურებელი დოკუმენტი (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი),
2. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
3. წინადადება,

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 20 ივლისის 15.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 92-12-64.

## განცხადება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ დაცვის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 7 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში დაცვის მომსახურების შესყიდვის შესახებ შეტანილ იქნეს შემდეგი სახის დამატება:

"დაცვის ობიექტი: თსსუ-ის სპორტული ცენტრის შენობა".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს

### კონკურსს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების ვაკანტურ თანამდებობებზე

**საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიზნები და ამოცანები**

საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს, რომლის მიზანია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა მინდობილ ტერიტორიაზე.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში რესურს- ცენტრი:

ა) ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მიმდინარე პროცესების კვლევას, ზედამხედველობას.;

ბ) კონტროლს უწევს სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებას;

გ) თვალყურს ადევნებს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მიერ განათლების სფეროში მოქმედი კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული სხვა აქტების შესრულებას;

დ) ხელს უწყობს სამინისტროს მიერ სახელმწიფო ენის განვითარებისა და გავრცელების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების, სპეციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;

ე) შესაბამისი ღონისძიებების გატარებით ხელს უწყობს სამინისტროს მიერ შემუშავებული ნოვაციების და პროგრამების დანერგვას სამოქმედო ტერიტორიაზე;

ვ) ხელს უწყობს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ - საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებებსა და სამინისტროს შორის ინფორმაციის გაცვლას და თანამშრომლობას;

ზ) შესაბამისი ღონისძიებების (ტრენინგების, სემინარების და სხვა.) ორგანიზებით ზრუნავს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ადამიანური რესურსების განვითარებაზე. ხელს უწყობს მათთვის პროფესიულად მნიშვნელოვანი რესურსების დროულად და თანაბრად განაწილებას;

თ) ასრულებს მეურვეობისა და მზრუნველობის ფუნქციებს კანონმდებლობით დადგენილი წესით; უზრუნველყოფს შვილად აყვანის, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის პროცესის კოორდინაციას, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოებას და შესრულებული სამუშაოს შესახებ (პერიოდულად ან საჭიროების შემთხვევაში) ანგარიშის წარდგენას სამინისტროში; კურირებს ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების და სპეციალურ საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობას.

ი) ხელს უწყობს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას;

კ) ასრულებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

**კონკურსი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე ცხადდება საქართველოს შემდეგ რეგიონებში :**

**1. კახეთი:**

1.1 ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

1.2 დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

1.3 საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**2. ქვემო ქართლი:**

2.4 თეთრიწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

2.5 მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**3. მცხეთა - მთიანეთი**:

**3**.6 დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**3**.7 თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**4. იმერეთი:**

4.8 წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

4.9 ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

4.10 ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

4.11 ხონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**5. რაჭა - ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**:

5.12 ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**6. სამცხე - ჯავახეთი:**

6.13 ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

6.14 ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

6.15 ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული.

**7. შიდა ქართლი:**

7.16 ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

7.17 ერედვის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

7.18 თიღვის თემის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

**8. სამეგრელო, ზემო სვანეთი:**

8.19 მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი - 1 საშტატო ერთეული;

თანამდებობრივი სარგო - 350 ლარი

**კონკურსის პირობები**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა იმ პირისათვის, რომელიც აკმაყოფილებს "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ეEმუხლის, აგრეთვე "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საჯარო მოხელეთა და მოსამსახურეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების წესისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის N212 და "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის თანამდებობისათვის წაყენებული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" 2006 წლის N216 ბრძანებებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ კი:

- აქვს უმაღლესი განათლება;
- ფლობს კომპიუტერულ (საოფისე) პროგრამებს;
- იცნობს შემდეგ ნორმატიულ აქტებს:
- საქართველოს კონსტიტუცია;
- "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი;
- "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- "განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;
- საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის N31 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულება;
- აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ფლობს ორგანიზატორულ უნარ-ჩვევებს;
- ფლობს რომელიმე უცხო ენას/ენებს (სასურველია);
- აქვს ანალიტიკური აზროვნება;
- უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო განათლების სფეროში.
- არის 21 წელს მიღწეული, არა საპენსიო ასაკის.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა, მიმდინარე წლის 18-დან 31 ივლისის ჩათვლით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში (უზნაძის ქ. N52) უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. წერილობითი განცხადება (საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე დიდებულიძის სახელზე);
2. სააპლიკაციო ფორმა (სამინისტროს მიერ შემუშავებული სტანდარტული ფორმა რომელიც გაიცემა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სამდივნოში, აგრეთვე სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე - www.mes.gov.ge);
3. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომი) ასლი;
4. ერთი ფოტოსურათი (3X4);
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (ასლი);
6. შრომის წიგნაკი (ასლი).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ
საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სამდივნოს
შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,
დ. უზნაძის ქ. N52
ტელ: 96 41 59
95 01 76

# განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო" (მის: ქ. თბილისი 0119, წერეთლის გამზირი N144) "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ერთეტაპიან ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის", "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

***2. შესასყიდი მომსახურება*** - ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი საგანმანათლებლო და საინფორმაციო ლიტერატურის გამოცემა 6 878 სტანდარტული გვერდი არანაკლებ 10 ეგზემპლარად; ხმოვანი ლიტერატურის ჩაწერა და გამოცემა 28 554 სტანდარტული გვერდი არანაკლებ 9 ეგზემპლარად; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის უსინათლოთა სამკითხველო დარბაზში დაცული ხმოვანი ლიტერატურის გამრავლება არანაკლებ 9 ეგზემპლარად, უსინათლო პირთათვის გამოცემულ პროდუქციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

***3. მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადები*** - 2006 წლის აგვისტოდან 31 დეკემბრამდე.

4. ტენდერში მონაწილეობისათვის დაშვებულია სუბ-კონტრაქტორების გამოყენებაც. 5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დახურულ კონვერტში) სამ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 აგვისტოს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144 (მე-12 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბ-კონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

**6.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) იურიდული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და/ან ლიკვიდაცია;

ე) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი არ არიან მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის;

**6.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

**6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების და/ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ანალოგიურ საქმიანობაში გამოცდილების შესახებ;

დ) ინფორმაცია შემსყიდველის მიერ დროებით სარგებლობაში გადაცემული საშუალებების უსაფრთხო განთავსებისა და დაცვის შესახებ (დაცვის სპეციალურ სამსახურებთან ხელშეკრულების ასლი ან განზრახვათა ხელშეკრულება);

ე) ინფორმაცია აუდიო-ლიტერატურის გახმოვანებაში მონაწილე პირების (მსახიობების) შესაბამისი გამოცდილების შესახებ;

